

805
E-8

ო მ ა ვ ა ნ ა ლ ი

თ ვ ი უ რ ი კ უ რ ნ ა ლ ი

წ ე ლ ი წ მ დ ი შ ე ც ხ რ ე .

N^o V

8 1 0 6 0, 1902

ტ ე ლ ი ბ ა

GOOGLES FOR DOG BOOKS ON THE WEB

முனைக்கூ

I.—**ათეონი ზურაბიჩი** — (ეტიუდი) შ. ათაგვისპირელისა
(დასასრული)

II.—**ტორპედია**. — ღრამა 5 მოქმედებად, გაქტე-ჴუ-
გლისა, თარგმანი ჭ. უაფიასისა (გაგრძელება)

III.—**მებრძოლი**. — (ამბავი ბურ-ინგლისელთა ომიდან)
თ. ს.—o

IV.—**თელავის რევოლუცის გაიოზის სიტყვა სუავლის
შესახებ**. — s. სახესნაშვალისა

V.—**უცხოეთის მიმოხილვა**. — სამხრეთი კურიკა და ინგლი-
სი

VI.—**ათეონი ზურაბი**. — საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყი-
სიდან დამოუკიდებლობის დაქარგვამდე. — ფრან-
გულიდან ნათარგმნი ვ. ს.

ଅ ମ ର କ ପ ତ ପ

ତୃତୀୟ ଶ୍ରେଣୀ

ଶ୍ରେଣୀଫଳ ମୁଦ୍ରଣ

No V

୮୧୦୬୦, 1902



ପ୍ରକଳନ

୨୦୦୩ ତଥା ୧୦୦୪ ସାଲରେ ବିଭାଗ ମୁଦ୍ରଣ

1902

Дозволено цензурою, Тифлисъ, 25 Июня 1902 г.

შინაანსი

გვ.

I.—ანტონ ზურაბიჩი. — (ეტიუდი)	ქ. ანაგვისმარელისა (დასასრული)	1
II.—ტორეპვებადა. — დრამა 5 მოქმედებად, გაქცე-ჭუ- გასი, თარგმანი ქ. ედუარდისა (ვაკრძელება)	23	
III.—შებრძოლი. — (ამბავი ბურ-ინგლისელთა ომიდან) თ. ს—ი	61	
IV.—თელავის ამაზონის გაიოზის სიტყვა სფავლის შესახებ. — ა. სახენაშვილისა	1	
V.—უცხოეთის მიმოხილვა. — სამხრეთი დურიკა და ინგლი- სი	17	
დ ა გ ა ტ ე ბ ა. — საბაზოდეთის ქველი ისტორია დასაწყი- სიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. — ფრან- გულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა	97—128	

— ამ შეუ ზამთარში ატამს ვინ მოგვიტანს?

— გახლავთ, ბატონო! ცოცხლად არის შენახული წვენ-ში...

— მოგვიტანე, გრიგოლ, ორი კერძი.

გრიგოლი სწრაფად გატრიიალდა. ჭაბუკა კი მოიღრუბ-ლა. სახეზე ეტყობოდა, რომ ეწყინა. იმას ეგონა, რომ ვე-მასხრებოდი და უფრო მოსამსახურისგან იწყინა...

— რა ვიცი, მალხაზ, მგონი შენ მოსამსახურეებიც და-რიგებული გყავს. განა სოფლად რომ მასწავლებლად ვარ, ამისთვის მასხარად უნდა ააგდებინო ვიღაც გურულს?! — საშინ-ლად შუბლის მოქმედებიც და თავის დალუნვით მომმართა.

— ჭაბუკა, მაგრე რად დაშიბლეირე?! იქნება გგონია, რომ დაგუინი?! — ლიმილით დავეკითხე და მინდოდა მეთქვა რამ, მაგრამ აღარ დამაცალა; ისე გულ-ჩაწყვეტით წამოიძახა:

— მალხაზ, შენგან მაგას არ მოველოდი!.

— კაცო, შენი მასხარად აგდება აზრად არ მომსვლია და, თუ...

— ეგაა სამწუხარო, რომ კიდევაც თავს მართლულობ! ძალიან ვწუხვარ, რომ აქ სადილად შემოგყევი!.. — უფრო გულმოსულად მომმართა და ბოთლის ჭიქა შემოუწყარუნა:

— ბიჭო, მოდი აქ! — დაუძახა მრისხანე ხმით.

ჭაბუკა და მე ერთად ვსწავლობდით საშუალო სასწავ-ლებელში. მთელი ექვსი წელიწიდი ამხანაგები ვიყავით. ერ-თად გავათავეთ საშუალო სასწავლებელი. შემდეგ კი ცხოვ-რებამ სხვა და სხვა გზა გვიჩვენა და, აი, ათი წლის შემდეგ შემხვდა. მე ვერც კი ვიცანი. ის წინ გამეფიცრა და მკითხა: თქვენ ჭინჭარაშვილი არა ხართო?

— დიალ, ბატონო, მაგრამ თქვენ... — აღარ დამათავებინა კითხვა. გადამეხვია და ლოშნა დამიწყო:

— მალხაზ, მალხაზ, რამდენიხანია ერთმანეთი აღარ გვი-ნახავს?. ბიჭო, ჭაბუკა მენაბდე აღარ გახსოვს?!.. შენი ამხა-ნაგი?!.. მოსეირნენი ცერად გვიცეროდნენ. თუმცა თბილი-

სის ქუჩებზედ თავის გრძნობების ასე ღიად გამოთქმა იშვიათი არ არის, მაგრამ მაინც ამ წამს — მეტოვეთა ახალი კანონის შემოღების შემდეგ — ყველას არ ეპიტნავა. მეც არ მეპიტნავა ქაბუკას ასეთი გულ-ახდილი ლოშნა და სწრაფად რესტორანისკენ გავიწვიე. უკვე საღილობის დრო იყო. ღვთის წინაშე გამეხარა, როცა მისი გვარი გავიგე და მით უფრო რესტორანისკენ გავიწვიე, რომ თავისუფლად გვეთქვა რამ...

საღილის დროს ბევრი ვიცინეთ; ბევრი ავი და კარგი მოვიგონეთ ჩევნი ექვსი წლის ერთად ყოფნის ღროისა...

კარგია ხოლმე ხანდის-ხან განვლილ ცხოვრებიდგან მოგონება!.. ავია თუ კარგი, სულ ერთია, ყველა გულს გხებდება, ყველას ძალა უნებურად უდარდელ ცხოვრების ხანაში გადაჰყევხარ და იმ დროისებურად გულს გიტოკებს... ავი იქმნება, თუ კარგი ამ მოგონებიდან, ყველა წარსულია, მეორედ იგი აღარ განმეორდება და მხოლოდ ამისთვის არის სასიამოვნო...

ათი წელიწადი იყო, რაც ჩემი ამხანაგი ქაბუკა მენაბდე არ მენახა. სიხარულით მივეგებე, სიამოვნებითვე ვისადილეთ და საღილის დასასრულისას ასეთი საყვედური, მერე უმიზეზო, რასაკვირველია, ასე სასიამოვნოდ მომართულ ჩემ სხეულს საშინლად მწვავედ ეჩველიტა ქაბუკას უკანასკნელი მოქმედება.

მრისხანედ ბოთლს ჭიქა მიარტყა და ჯიბილან ქისა ამოილო, რომ საღილის ფასი გარდაეხადა...

მეწყინა. „ლმერთო, — უნებურად გამეფიქრა, როდესაც მის მოხუშულს სახეს შევხედე: — ხომ სამუდამოდ შემიძლებს, რომ ატმის მოტანა არ დაიკადოს და წასვლაზე გაჯიუტდეს?! რა ცურა რამ კმარა, სულ უბრალო გაუგებრობაც კი, რომ აღამიანმა აღამიანი, გინდაც მეგობარი, მგლად იცნოს?!“

აღამიანის ბუნება შეუწყნარებლად მეჩვენა. წამს ვინატ-რე კიდევაც, რომ არ მოეტანა ატამი, ეს უბრალო მიზეზი მისი აღელვებისა, გაშმაგებისა, რომ სამუდამოდ გაეწყვიტა ჩემთან კავშირი და აღარა დროს ხვევნა-კოცნა არ დაეწყო.

რად მინდა იმისთანა მეგობარი, როდესაც ჩემი სული მისთვის
გაუგებარია, ჩემი გულის მოძრაობას ყურსაც. არ უგდებს და
სულ უბრალო უმიზეზო ეჭვი გონებას უბნეს? გამოკვლევა-
გაჩრეკა რატომ არ უნდა?!.

მეწყინა, როდესაც მის ალიაქოთხე გრიგოლმა. ატმით
სავსე თეფშით მოირბინა, და თავი ჩავლუნე. ჭაბუკა კი გაშ-
ტერებით დააკერდა სავსე თეფშს.

— ეს რა არის — მრისხანედ დაეკითხა გრიგოლს.

— ატამი!..

თავი მაღლა. ავწიე და უგულოდ მზერა დავუწყე ჭა-
ბუკას, რომელიც კოვზით ატრიალებდა ატმის ნაკრებს.

ჯერ შუბლის მოქმედებით, ურწმუნო თომასავით რამდენ-
ჯერმე გადაატრიალა ატმის ნაკერი, უსუნა და უკბიჩა. პირიც
ჩაიტკბარუნა...

სახე გაუბრწყინდა ჭაბუკას. უეცრივ თვალები შემომა-
კყიტა და მხიარულად შემომხახა:

— კაცო, მართლა, თითქოს მარიამობისთვეში ჰყუცკვნი
ატამის და შეექცევიო, ისეთი გემო და სუნი აქვს!..

— კაცო, — განაგრძო შემდეგ, როდესაც მის აღტაცება-
ზე კრინტი არ დავძარი: — ჩვენში, თუნდ, აი, იმ სოფელში,
სადაც მასწავლებლად ვარ, აუარებელი ატამი ფუჭდება, ტყუი-
ლად იღუპება..., ამაში რას გამოგვართმევენ?..

— ოთხ აბაზს! ორი კერძია!

— აი, აი, რა ოხრად იყარება ფული? ხომ სულ სამი
ატმის ხორცია და ოთხი აბაზი?!. სადაც კაცის გონება!? ჩვენ
გლეხს რომ ჭკუა ჰქონდეს, ხომ...

— ჭკუის სასწავლებლად არიან სოფლებში, მასწავლებ-
ლები მიწვეულნი. — ცოტა არ იყოს, დაცინვით ვუოხრი ჭა-
ბუკას.

ჭაბუკა გაშრა, ვიწრო შუბლზე ხელი. გადისო და შემ-
დეგ თითების მტვრევა დაიწყო. ეტყობოდა, ჩემი სიტყვები
გულს ჭახვითად დაესო...

— სოფლის მასწავლებლებს გარკვეული პროგრამა გვეძლევა ხელში და ...

— ჲაბუკ, — გავაწყვეტინე სიტყვა, რომ მეათსჯერ ერთი და იგივე სულელური გამართლება არ შომესმინა: — შენ წელან ანტონ ზურაბიჩე რაღაც დაიწყე და კი აღარ ...

— მართლა, მართლა, კაცო, ანტონ ზურაბიჩის გვარი აღარ მაგონდება?.. ნუთუ შენ... — გაუხარდა კიდევაც, რომ სხვა საგანზე შეიძლებოდა ბაასი!

— თხილაძეზე ხომ არ ამბობ?

— ჰოო, თხილაძე, თხილაძე! — სიხარულით წამოიძახა ჲაბუკამ და ატმის ჲამაც კი მიატოვა... ეხლა კი მრმაგონდა ანტონ ზურაბიჩი და ისაც კი, ერთხელ რა საშინლად გაშიწყრა, როდესაც შე გულ — უბრყვილოდ მიემართე: „ანტონ!“ მინდოდა მეთქვა რამ, მაგრამ იმან სწრაფად შუბლი, დიდი გადადკვლეცილი შუბლი შეიჭმურვნა და მრისხანე ხმით სიტყვა შემაწყვეტინა: „ძალლი იყოს შენი ანტონი! მე... რით ვერ გაიგე?... ანტონ ზურაბიჩი მქვითან!..“

უთუოდ ყველას ასე ჩაგონა, რომ ამხანაგები ყოველთვის „ანტონ ზურაბიჩომით“ მიჰმართავდნენ. ხოლმე. არ ვიცი, რამ აიძულა თხილაძე, რომ უეჭველად იმისა სახელისთვის, მამის სახელიც მიეკოსებინათ, რადგანაც შემდეგ თუმცა ორი წელიწადი კიდევ ერთად ვსწავლობდით, ისე უცნაურად მეჩვენა მისი წყრომა, რომ ხმა აღარ გამიცია და სრულებით შევსწყიტე მასთან ყოველგვარი კავშირი...

— ჰო, თხილაძის ამბავი მინდოდა მეთქვა..., — დაიწყო ჲაბუკამ ხმის ამოწმენდით და ელვასავძრა გასრიალებრული მოგონება ანტონ ზურაბიჩე შემაწყვეტინა.

ამავე ღრმის ბოთლის ხელი მთავრო, შეავსო ჲიქები და უეცრივ წარმოსთქვა:

— ღმერთმა გაუმარჯოს ყველა ჩვენ ამხანაგებს! მართალია, ბევრი ჩვენგანნი სულ სხვა და სხვა გზას დაადგა. რქმნება საზიზღარ უზაპაც ბევრი დაატვა, მაგრამ იქ; სასწავლებლის

კედლებ შუა, ყველანი ერთმანეთს ვგვანდით; ეჭ, რომ დაგვი-
ბრუნდებოდეს...

— ღმერთმა გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. — სიტყვა გავა-
წყვეტინე, რადგანაც საშინლად მეზარებოდა მოსმენა.

აგრე, ჩემი ძევლი ამხანაგი რამდენი შემხვედრია და უვე-
ლას თითქმის სიტყვა სიტყვით ერთი და იგივე გაუმეორებიათ.
უოველთვის მწუხარების ღიმილს მგვრიდა მათი სიტყვები და
ვცდილობდი სხვა საგანზე ჩამომეგლო ბაასი.. ვწუხდი, რომ
სულ ახალგაზდანი, ოცდა ათი წლის ვაჟკაცნი გავლილ ცხო-
ვრებაში ექებდენ სიამოვნებას და მის დაბრუნებას ნატრობდნენ.
ჩემთვის უოველთვის გაუგებარი იყო, როდესაც ადამიანი წარ-
სულს იგონებდა და იმაზედ აღტაცებით ლაპარაკობდა; წარ-
სული უკვე გავლილია, ავი იყო იგი, თუ კარგი, უკვე ჩაჰ-
ბარდა უამთავითარებას: იგი უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ
აწყო და მომავალი მრწამს. წარსული მხოლოდ მომავალის
მაჩვენებელი უნდა იყვეს, გამამხნევებელი და არა სავალალო.
თუ ავი იყო წარსული, უნდა ვეცადოთ მომავალში თავიდან
ავიცინოთ, და თუ კარგი — უკეთესი შევიძინოთ. ორსავე
შემთხვევაში ბრძოლა გვმართებს და არა ტირილი. როდესაც
წარსულზე ადამიანი ჰვოდებს და ვალალობს, მაშინ იგიც ისე
დამარხულია, როგორადაც წარსული...

კიდევ ერთხელ ამიმღვრია გული ჭაბუკას სიტყვებმა, და
ამისთვის ვეცადე შემეწყვეტინებინა სიტყვა.

— ჭაბუკი, ანტონ ზურაბიჩის ამბავი არ გინდა დაიწყო?!

— ეხლავე, ეხლავე, ჩემო მალხაზ! — მიპასუხა და საესე
ჭიქა გამოცალა...

— ანტონ ზურაბიჩზე კი! — და პირი სიცილად ისე გულ-
უბრყვილოდ გაეპო, რომ მეც უნებურად გავიღიმე...

— ამ ხუთი წლის წინიდ, — განაგრძო ჭაბუკიმ ღიმი-
ლით: — ზაფხულში იმერეთისკენ ვმოგზაურობდი. უეურივ რეი-
ნის გზის საღვურის ახლო სოფელში ჩვენი ანტონ ზურაბიჩი
თავშიშველი დამხვდა სკოლის წინ — ზედ: „ამა და ამ სოფლის
სკოლა“, ეწერა. ვიდრემდის ანტონ ზურაბიჩს დავინახავდი, წა-

ვიკითხე. ლრმად ჩაფიქრებული იყო, გადატკვლეცილი შუბლი მწუხარებით შეჭნაოჭებოდა და თვალის ქუთუთოვები კიდევ, ეტყობოდა, ბევრი ტირილისაგან შეჭუპებოდა...

მაშინვე ვიცანი.

— ანტონ ზურაბიჩი?! — გულ-წრფელად შევძახე და დაბა-ლი ლობიდან საკოცნელად გადავეწოდე.

სოფელში, ხომ იცი, ნამეტნავად უცხო სოფელში, ნა-ცნობის შეხვედრა რას ჰნიშნავს? ჰო, და მე საშინლად გამე-ხარა, როდესაც ანტონ ზურაბიჩი ვიცანი. იმანაც მაშინვე მიცნო და გულ-წრფელად, ისე, როგორც შენ, გადმომე-ხვია...

სალამ-ქალამ, მოკითხვა-მჩქითხვა და...

უეცრივ შევკრთი... ანტონ ზურაბიჩის შექმუხვნილი შუბლი და შეშუპებული თვალები რომ დავინახე, პირველში, ვიღრემდის გადავეხვევოდი, ვიფიქრე: „ცხოვრებას ბევრი რამ შეუძლიან, ათას კეცად აგვინაოჭებს სახეს“, მაგრამ ეხლა, რო-დესაც სახლიდან ტირილი, გოდება გამოესმა...

— ეს რა ამბავია, ანტონ ზურაბიჩი?! — გაკვირვებით შე-ვეკითხე.

— ცოლი გადამეცვალა!.. — მოკლედ მიპასუხა და ლმო-ბიერად შემომხედა.

ლვითის წინაშე, გულწრფელად დავღონდი და:

— აი, აი! — წამოეძიხე.

— ეჭ, რას იზამს კაცი, — ნუგეშის კილოთი დაიწყო ანტონ ზურაბიჩმა: — სიკვდილი ყველას ხვედრია...

კინაღამ წავიფრუტუნე, ისე უეცრივ გადამეწმინდა მწუ-ხარება, და სიცილი მომაწვა გულს: „ამ კაცს ცოლი მოუკვდა და მე კი მანუგეშებს მეთქი“ — გავიფიქრე უეცრივ, როდესაც იმან ამ კილოთი დაიწყო ბაასი. მაგრამ უეცრივ: „უთუოდ გაგიუდა საცოდავი, რომ...“ გამიელვა იმის შემდეგ აზრმა; და ისევ მწუხარებით ამევსო გული...

— მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ის სულ იმას მეხვე-წებოდა: „ჩემი სამშობლო ერთხელ მაინც მაჩვენეო“. აი, ავად...

მყოფობის დროსაც იმას მეხვეწებოდა, რომ წამეუვანა სამშობლოში. მაგრამ, ხომ იცი მასწავლებლის დღე, სად წავიტყვანდი? მეგონა, მორჩებოდა და ამისთვის არ შევიწუხე, თავი. ნეტავი წამეუვანა! ეხლა ამოდენა ხარჯი აღარ დამაწვებოდა. თაქს. იქ მოკვდებოდა და შშობლები მარას უზავდნენ, თუ არ დაჰმარხავდნენ?! დეპეშა გავუგზავნე, მეგონა, მოვიდოდნენ. იმის შშობლები და დამეხმარებოდნენ აქაურ ხარჯის გაწევაში. ოცი თუმანი პირს არ მომწმენდავს. ის კი არა და, იქიდან, აი რა პასუხი მომივიდა: — ამოილო დეპეშა და წამიკითხა: — „აქ წამოასვენე მიკვალებული.. ჩვენ მამა-პაპის სასაფლაოზე გვსურს ჩვენი შვილის დასაფლავება...“

— მოდი და ეხლა ღმერთი. ჰყითხე. იმათ? — წამოიძახა
წყრომით ანტონ. ზურაბიჩეა: ასე ჰგონიათ ყურთუკან მეს-
ხლნენ, რომ თავი მიუბრუნო მიცვალებულს და იმათთან მიუი-
ტანო...

ცხადად დავინახე, რომ ანტონ ზურაბიჩი. ჰწერებდა მხოლოდ ხარჯის გაწყვაზე, ისევ სიცილი შომივიდა-და. უკრივ მასხარად აკდების საოქროლელი აშე შალა....

— სადაური იყო შენი ცოლი?.. — შევაწყვეტინე სიტყვა
ანტონ ზურაბიჩს ლიმილით:

— ହା ବୀପୁ, କୁପୁ, ଡି, ଫାରତଲୀଙ୍ଗାନାଦ...—ଏ ଦ୍ଵାଦୟାଶକ୍ରେଣ୍ଡ
ଏରତି ଫାରତଲୀଙ୍ଗ କ୍ଷାତ୍ରୀଙ୍କୁ, ରାମପ୍ରେସି ରଜିନ୍ଦ୍ର ଘନିଲି ଆଳନା...

— შე კაი კაცო და... — დავიწყეთ თითქმის ფრუტუნი: — აღლე და „ფას-დაღებით“ გაუგზავნე მიცვალებული მშობლებს!..

ଅନ୍ତିମ କୁରାଦିକିମା ପୂର୍ବିକଙ୍ଗପିଲ୍ ଶୁଭଳିଶୀ ବିକାରୁଣିତ
ଶେଷର ନିର୍ମାଣିତ ହୁଏ;

— ոչ, լմբերտմա ցովազգութեան, հռոմ Շեմեցը, տուրքի թէ
եռմ զյու մուզույիշեցը?!. — Եսմորիսած և այս ցածրնիցն զըցնում
լու եղան դամուկուն:

— წამო, კაცო, პური გემშიები! ერთი კარგა შევზარ. ხოშდეთ და მერე მიცვალებულის თავდა-რიგს შევუდგეთ!..

!წრაფად თვალწინ წარმომიდგა, თუ ჩვენ ანტონ ზურაბის მასხარად როგორ აიგდებდნენ საღურზე, როდესაც მიცვალებულის „ფას-დადებით“ი სურვილს გამოაცნადებდა და:

„არა!—გავითიქრე წამს! ამის მოწმედ არ მინდა ვწყო შეთქი და ვიცროე:“

— ფეხად მივლივარ, რაღვანაც საჩქარო საქმე მაქვს!..

— კარგი; შეკაცო, ერთი დოქტორინ მაინც გამოვცალოთ და ცოტა პური მაინც შევჭამოთ, თვარა, აგერ გუშინ-დექლს აქეთ არა მიჭამია-რა:.. უ კაი სიტყვა რო მითხარ, სიმიშილო ვიგრძენ... კუნტრუშით გაიქცა ანტონ ზურაბის სახლისკენ, საიდგანაც ვაი-ვაგლახი გამოისმოდა, და საჩქროლ ხელაშით და ხორაგულობით სავსე, თეჯშით ჩემკენ მომავალ ანტონ ზურაბის თვალი შევასწრა: მაშინც გავტრიალდი, ვითომ არ დამინახავს, და გზად წავედი, მაგრამ ანტონ ზურაბის ლრიალზე შეუძლებელი იყო, რომ უკან არ მიმექედნა. იმას საღლაც დაეწყო თავისი ტვირთი და ლრიალით უკან მომდევდა, მოსვლის უმაღლ მკლავში ხელი გამიყარა და ეზოსკენ გამწია:

— კაცო, მშიერი იქმნები, ცოტა რამ შევჭამოთ და მე-რე შენ საქმეზე წადი: ურთი წუთით არა გაფუქდება-რა...

კირს უფრო ადვილად მოიშორებდი, როგორც შევატყუ, ვიღირე იმას, და ამისთვის დავთანხმდი. თან ისაც მანუგეშებდა, რომ ერთი წუთით მიწვევდა და, მაშასადამე, პურისკამის შემდეგ უფას-დადებითზე გაგზავნის მოწმედ არ გამხდიდა...

დავყევი... მხიარულად გამოვცალეთ ხელმდა ცოტა მომაუყო თხელი ლვინით სავსე. სიამოვნებით უბაასობდით ჩვენ ამხანაგებზე, ვიგორნებდით ჟველას, შენც კი მოგიგონეთ... მიცვალებული სრულებით დაგვავიშუდა...

— კაბუკი, ემ წუთს აქ დავიბადები!.— წამოიძახა ანტონ ზურაბისმა, როდესაც თავის ჭიქაში ხელადა ჩაწურა და წა-მოდგა.

მაგრამ მკლავი მაგრად დავუჭირე და დავწიე. თუმცა თხელი ღვინო იყო, მაინც მეშინოდა დათრობისა, და, თუ დავთვრებოდი, უნდა იქ დავრჩენილიყავ, რადგანაც, თუ ღვინო მომერია, დამბლად ვვარდები.

აქ დარჩენა კი ჩემთვის სასურველი არ იყო, რადგანაც მიცვალებულის „ფასის-დადება“ თვალიდან არ მშორდებოდა...

სწრაფად წამოვდექი, უკანასკნელი ჭიქით შენდობა ვუთხარი ახლად მიცვალებულს და:

— მშვიდობით, თორემ დამიგვიანდება! — ვუთხარი.

ჩემი აჩქარებით დალონებულმა დალვრემით გამომიწოდა ხელი და უეცრივ ისევ შუბლი, თითქოს ლრუბლიან ცას სასტიკმა ქარმა დაუქროლაო და სულ განფანტაო, სწრაფად მოეწმინდა და აღტაცებით:

— ოჲ, რა მაღლობელივარ, რომ დღეს შემთხვევით ჩემ მხსნელად აქ გაჰნდი!!... — წამოიძახა...

II

შარშან ზაფხულს კიდევ დავხეტიალობდი სოფელ-სოფელ. ჩვეულებად მაქვს ზაფხულობის ხეტიალი. ცოლი არსად მყავს, შვილი და რა გავაკეთო, თუ არ ვიმოგზაურე. ერთგან ნაამხანაგარ მღვდელს შეჰვდები, მეორეგან მასწავლებელს, მესამეგან კიდევ ნაცნობს, ან ნაამხანაგარსვე. მამასახლისს, მწერელს და სხვას. ჩვენი ამხანაგები ხომ სულ სოფლებში. არიან დაბნეულები. და მერე, იცი, პირველდაწყებითი სწავლიდგან რამდენი ამხანაგი გვყოლია! ერთხელ პირველ კლასში ნამყოფი ამხანაგი შემხვდა ერთ სოფელში. მწერლად არის. ხომ გახსოვს, ჩიკვილაძე?...

— აი, როგორ მოგავონოო?!... — დაიწყო მოგონება, როდესაც ამხანაგის გვარის ხსენებაზე ჩავთიქრდი: პო, ბუთხ ხუზა, ჩასუჯებული არ იყო, თითქმის უველაზე პატარა!..

— პო, პო, მომავონდა, რაღაც იკლიკანტური სახელი ერქვა...

— ჰო, მეც არვიცი იმის სახელია. რო ვიცოდე კიდევაც, უერ გამოვთქვამ, ისეთი ახირებული სახელი ერქვა... იმერეთში ხშირად შეჭხვდები ისეთ სახელებს, როგორც; „სოკრატი“, „ქეცნოპონტი“, „ღომინიკა“, „უკუჭუშკა“, „ბოლესლავი“, „ზდისლავი“, „ოლიმპიადა“, რომელთაც ქართულ სახელებთან არავითარი კავშირი არა აქვთ; ასეთ სახელებსაც შეჭხვდები, რომელთაც არც ერთ ენის ადამიანის სახელებთან კავშირი არა აქვთ. მაგალითად: „ლოკომოტივი“, „რელსა“, „დონდუკოვი“, „სტრელკა“, „შერემეტივი“, „კარსაკოვი“...

— ხა, ხა, ხა!.. — გულიანად გადვიხარხარე, ისე მეუცხოვა კაბუკის ზედი-ზედ ჩამოთვლა ამ უცნაური სახელებისა...

— კი არ გეხუმრები, — ცოტა შემკრთალად წამოიძახა ჩემ ხარხარზე: — ღმერთმანი, ყველა ეს სახელები იმერეთში ბევრსა ჰქვიან.. როცა გავიგონე და მეუცხოვა, გამოვიკვლიე და დავრწმუნდი, რომ ნათლობის სახელები იყო.

— უცნაურია, ღმერთმანი, უცნაური!..

— უცნაურია, მა რა არის?! რა იმერეთი, ქართლ-კახეთ-შიაც იშვიათად შეჭხვდები ნამდვილ ქართულ სახელს: ან სპარსული, ან კიდევ, რა ვიცი, რა ჯანდაბური სახელი არ შეგხვდება, და ქართული კი... არც ერთი... ან ერთი-ორი... გვარები ხომ სულ შეკვეცილ-მოგლეჯილებია... ეს სულ ჩვენი მღვდლების ბრალია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლის ნათლობის სიები რომ გადაპჩხირიკო წლის ბოლოს, ადვორნიკის. სახელით მონათლულ ბავშვებსაც ამოიკითხავ... ჩვენ: რომ მღვდლები... ხა, ხა, ხა!.. უეჭველად მინდა გიამბო ერთი „პატარა რომანი“ იმათ ცხოვრებიდან!..

სიამოვნებით გადიხარხარა კაბუკიშ და შემდეგ მომიბრუნდა:

— რომელ ქუჩაზე გიკირავს სახლი?..

— ამა და ამ ქუჩაზე.. — ვუთხარი ჩემი აღრესი და დავუმატე: მაგრამ მე შინ ვერ მნახავ.. სახლში მხოლოდ დასაძინებლად მივდივარ ხოლმე. თუ გინდა, ხვალ-საღილობის დროს აქ მოდი და მიამბე. ძალიან საყურადღებოა, იმათ ცხოვრებით

დან რამე ვიცოდე; მე ხომ სულ ამ ქალაქში ვარ გამომწყვდე-
ული და სრულისა არა ჰიტი-რა...

— უეპველად, უეპველად მოვალ, მე აქ ერთი კუირით
ჩამოველი.. თუ ხვალ არ გეცალოს, ზეგ მაინც შემოიარე. მე
ყოველ-დღე აქ ვისადილებ ამ ერთ კვირას. მით უფრო მინდა
გიამბო „პატარა რომანი“, რომ უმთავრეს გმირად მე ვიყავი...“

— უეპველად ხვალ მოვალ სამ საათზე. ებლა-კი, მგონი;
ანტონ ზურაბიჩი დაგვავიწყდა...“

— არა, ანტონ ზურაბიჩი არ დამვიწყებია. ჩიკვილაძეც
იმისთვის მოვიგონე, რომ მეთქვა, მოგზაურობის დროს რო-
მელ ნაამხანაგარს არ შექვედები ჩვენ სოფლებში. ის ხომ
პირველ კლასიდან დაგვშორდა და აგერ რამდენი წლის შემ-
დეგ მიცნა: პირველად მე სულ ვერ ვიცანი. იმან კი მიცნა.
ჩვენ გათავებამდის პირველი კლასის ამხანაგები სულ მიგვაჭი-
წყდა; ჩვენ გონებაში მხოლოდ უკანასკნელი დროის. ამბებრ
დაბინავდნენ; იმათ კი, ვინც პირველ, ან მეორე კლასიდან
გავიდა ცხოვრების ტალღებში საცურავად, მათთვის სასწავ-
ლების უკანასკნელი ხანა იყო ის დრო და ამისთვის დაწვრი-
ლებათ ახსოვთ ყოველისფერი იმ დროისა. ჩიკვილაძემ იმ-
დენი რამ მომაგონა ჩემი ბავშვობისა, რომ სრულებით მე აღზრ
მახსოვდა; აღმიღვინა თვალშინ ყოველისფერი მაშინდელი ცხოვა-
რებისა. ებლა ჩიკვილაძე ისეთი პატარა კი არ არის!.. ახმახი,
მხარ-ბეჭიანი, კმაყოფილი თავის ბედით, მშვენიერი — თითქმის-
მზის უნახავი ცოლი ჰყავს... შეძლებულიცა. შენისთანას და
ჩემისთანას ათს იყიდის და გაჭყიდის... შაგრამ ი ბავშვობის
დრო რომ მოიგონა, ცრემლები მრადგა თვალებზე და ინატ-
რა: „ნეტავი ისევ იმ ხნისანი ვიყვეთო და ისევ ერთად ვსწავ-
ლობდეთო!...“

ბოთლის წამოავლის ხელი. ჭიქებზე ღვინის დასასხმელად,
მაგრამ ღვინო აღარ იდგა ბოთლში და შეპყვირა:

— ბიჭო!.. ერთი-პასთლიც მოიტა!

— ანტონ ზურაბიჩიც და ჩიკვილაძეც მოულოდნელად
შემხვდნენ... — დაიწყო ცოტა სიჩუმის შემდეგ:

მე კი, სწორედ გითხრათ, დაუსრულებელი... ყველაფერი ზიზღს მგვრის, თუნდაც იგი ნეტარება იყვეს, და ეს კი აღარ ათავებს. „ხვალაც თუ ესე გააჭიანურა“...—ტანი შემიურეოლდა ამ ფიქრზე და გარდაწყვეტით წარმოვსთქვი, რასაკვირვებლია, უსიტყვოლდ: „არა, ამ ერთ კვირას შენ დმ რესტორანში ვერ მიხილავ, თუ შემთხვევით ქუჩაში არ დამიჭირე და უნებურად შენი „პატარა რომანი“ ძალით, როგორც დღეს. „ან ტონ ზურაბიჩი“; არ მომახვიდე... დღეს კი შენი მსხვერპლი ვარ“...

მოსამსახურემ ერთი ბოთლი ლვინო კიდევ მოიტანა. ჭაბუკიმ შეავსო ჭიქები და:

— მგონი, თავი შეგაბეჭრე?!.. მაგრამ ეხლავე გავათავებთ....

— არა! ძლიერ სასიამოვნოა ყველა. შენი ნაამბობის მოსმენა...—ვუპასუხე, რომ ჩემი გადაწყვეტილებისთვის არ მეღალატნა. დღეს იმის მსხვერპლი ვიყავი.

— შარშან ზაფხულს, სრულებით მოულოდნელადა დაიწყო, როდესაც ჭიქები ჩიკვილაძის სადღეგრძელოდ გამოვცა-ლეთ:—ან ტონ ზურაბიჩის ცოლის სოფლისკენ მივემგზავრებოდი. ის შემთხვევა კიდევაც დამავიწყდა. არც კი მომგონებია, რომ ანტონ ზურაბიჩის ცოლი იმ სოფლიდან იყო, საითან უ უნდა მივდიოდი. ჩემთვის სრულებით უცნობი სფურველი იყო და ამისთვის ჯერ ისევ შორიდან, ვიდრემდის შეჯ ჩიოდი სოფელში, სოფლის ხუფს, როგორც ჩვეულებად აქვს, სინჯვა და ვუწყე, მის კიდეებს... ბევრი იმისთანა სოკელია საქართველოში, რომ სულ პატარა, როგორც საყდ ჩის გუმბათი, ისე პატარაა მათი ხუფი, მიიხედ-მოიხედავ თუ არა, მაშინვე ხუფის კიდეებს დაინახავ... იქ მთა, აქ მთა, გარს მთები და ცაც ხუფად წამოხურული პატარაა... ამ სოფელს კი რო თვალი გადავავლე, სადღაც იკარგებოდნენ მისი ხუფის კიდენი. და თვით ნიადაგს ზე-პირს გამოვაყოლე თვალი: მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო, რომელიც წაფერფლილი იყო, როგორც მკათა-თვის დღეებში იცის, და მთლად პაერიც ამ ხუფსა და ზე-ნიადაგი

შუა მომწყვდეული წაფერფლილი იყო, თითონ ხუფიც... ამ მღვრიე ხუფსა და ნიაღაგ შუა მომწყვდეულ ჰაერში ირეოდა ალაგ-ალაგ ხალხი, გაყვითლებული მცენარეულობა და მღვრიე ჰაერს ბუქს უერთებდნენ... მგონი მკიდნენ... თვალი ჩემ მახლობამდის მოვაცურე და ამღვრეულ ჰაერში საფლავის ქვების შორის ორი ადამიანი, ქალი და ვაჟი დამხობილიყვნენ ერთ საფლავის ქვეზე...

არ ვიცი რად, იმატი ნახვა მომინდა და მათი მწუხარების მოსმენა. ცხენი მაშინვე იქით მივაშურე. ვიღრემდის მივიღოდი, ვფიქრობდი: „თუ შემამჩნიეს, ვკითხავ გზას, ან კანცელარიას... თუ არა, ყურს დავუგდებ“.

შორი-ახლოს შევაყენე თუარა ცხენი, მაშინვე არივემ თავები შალლა აიღეს და პირ-დაპირ მე შემომხედვეს.

შევკრით უეცრივ. ანტონ ზურაბიჩი იყო და ქალი კი უცნობი. მშვენიერი, ახალგაზდა. წამს ყველაფერმა თავში თავში გამირბინა: ანტონ ზურაბიჩს მიცვალებული ცოლი წამოულია თუ „ფას დადებით“ არა, როგორც ვასწავლე, სხვანაირად. ამ ზაფხულს არ ვიცოდი სად მასწავლებლობდა მის შემდეგ, მეგონა-კია, რომ იქავე, იმერეთში წამოსულა მიცვალებულის სა- ქავად. ის ქალი უთუოდ ცოლის ნათესავი იქმნება. და, ახ, მეკი უიქრობდი მაშინ!..

ყოველიჭ ეს ისე სწრაფად გამეფიქრა, რომ მათ შემო- ხედვისა და მე უშ. ანტონ ზურაბიჩის სიხარულით წამოძახვის: „კაბუკი!.. ანტონ ზურაბიჩ!..“ შუა წამს არ გაუვლია... სი- ხარულით გადავუჩვიენით, როცა ცხენიდან გადმოვხტი, და მაგრად ჩავკოცნებ, ურთმანეთი....

— ნება მიბორ წარმოგიდგინო ჩემი: მეულლე!.. — უეც- რივ შეწყვიტა ჩვენი აღტაცებული სალამ-ქალამი და ჩვენთან ახლოს მოსულ ქალისკენ ხელი გაიშვირა... .

სწორედ გითხრა, ვერ მივხვდი. მეგონა, საფლავისკენ მიშვერს მეთქი ხელს და!

— ჴო, საწყალი მახსოვს... — წამოვიდახე სახის უეცარის შეკმუხვნით...

— რა სატირლად მოემზადე; ა... . . .

— მე ბუზის ტოლის ვეღარ მამჩნევს! — ტუჩის აშექრით შეაწყვეტინა ახალგაზიდა ქალმა ანტონ ჭურაბიჩის სიტუაცია და წყრომით მიტრიალდა.

— უკაცრავად, უკაცრავად!... — წავილულლულე და ქალთან მივედი.

დავრწმუნდი, რომ ეს ქალი ანტონ ჭურაბიჩის ცოლია და უეცრივ იმ აზრმაც გამოელვა თავში: უთუოდ შვილი დაა-საფლავეს აქ და ორივე იმისთვის დასტიროდნენ... .

— მაპატიეთ, ქალბატონო!.. — შევევედრე ქალს.

— მელო, ეს ის არის, რომელზედაც მე გიამბე! — დაი წყო ანტონ ჭურაბიჩა.

და მეკი სულ ტანში მოვიშალე იმის სიტუაციაზე. უეცრივ მომაგონდა ჩემი მასხარაობა მიცვალებულის „აფას-დადებით“ გაგზავნაზე და გავწითლდი...

— განა არ მივხვდი, რომ მარტო წინანდელი შენი ცოლი ახსოვს?!.. მე-კი... მე-კი... — და ისეც ტირილისგან დაწილებულ თვალებზე ცრემლები შეეგუბა...

შევწუხდი. მიწის გასკდომაც ვინატრე, რომ ეს მშვენიერი ქალი უნებურად ავატირე. ალარ ვიცოდი, რა მეთქვა. ქალისკენ მივიწიე, რომ ჩემ მწუხარე სახისთვის მაინც შემოეხედნა და ეგრძნო, რომ გულ-წრფელად ვწუხვარ შეცდომის გამო, მაგრამ აღვირი არ მომყვა, რადგანაც ჩემი დამშეული ცხენი სულ მეორე მხარისკენ კისერ მიღრეცილი ტუჩებს ნარ-ეკალს უპოტინებდა....

— აჩუ, შე მუდრეგო! — უეცრივ წამოვიძახე, ალვირს მძლავრად მოვწიე მთელი ჩემი სხეულის სიძლიერით და წავიჲოქე, რადგანაც ცხენმა მოულოდნელად კისერი თითონვე მოილრიცა, რომ ახლა ჩემკენ ნარები მოეკორტნა...

— ხა, ხა, ხა, ხა!... — თითქოს ვერცხლის სიმები ააწკრია-ალესო, ისე დამეყარა თავს ქალის ხარ-ხარი წაფირქვავებულს. ამ დროს ვიგრძენ ანტონ ჭურაბიჩის ხელები და პატარა, რის შეხებამაც სულ მომაღუნა, ხელები მხრებში....

გაგუნგვლილი ტანისამოსი გავიძერტყე მოქუშვილი სახით
და უეცრივ ჭუდი მოვუხადე:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. — და ხელის ჩამოურ-
თმეველად ცხენზე შეჯდომა დავაპირე...

ორივემ თავ-დავიწყებით მკლავებში ჩამავლო ხელი და
უზანგამდის არცე მიმიშო...

— ააარა, დღეს არსად გაგიშვებთ!.. — გრძნობით წამო-
იძახა.

— არ მიცნობ და იმიტომ გარბიხარ?!. იქნება პირველსა
ვჯობდე? — მითხრა თვალების დაშტერებით, რამაც სითბოებით
დაშირბინა სხეულში...

— ღმერთს გეფიცები, მალხაზ, — უეცრივ. მომშართა მე:
ისეთი სითბო ჯერ არ მიგვრძნია ქალის თვალების წყალო-
ბით, როგორც მაშინ!..

— ჰოდა, ჯერ კარგად გაიცანი მელო და მაშინ გაიქ-
ცი, თუ ბიჭი ხარ?!. — დაუშატა ცოლის სიტყვებს ანტონ ზუ-
რაბიჩმა.

— ანტონ ზურაბიჩ!.. — ლმობიერად მივმართე ანტონ.
ზურაბიჩს: — ხომ კარგად იცი, რომ შენ პირველ ცოლს სრუ-
ლებით არ ვიცნობდი? მაშ...

— არ იცნობდი?!. — თვალის კილოების გაგანიერებით
წამოიძახა მელომ...

— ჰო. მართლა, მე სრულებით არ მომგონებია მეთქვა,
რომ ეს მხოლოდ მაშინ ვნახე, როცა სახლში მიცვალებული
საწყალი ნინო მესვენა... მანამდის, რაც სწავლის შემდეგ
გავშორდით, არ მენახა...

— მაშ ნინოს, ამის პირველ ცოლს არ იცნობდი?!. —
დამეკითხა სრულებით გამოცვლილ სახით მელო.

— აკი მოგახსენებთა არა მეთქი, და, ჯი, ანტონ ზურა-
ბიჩიც მემოწმება...

— ამიტომ... — დავიწყე ცოტა არ იყოს თამამად: — თქვენ
ნება არა გაქვთ მიკიუინოთ, რომ ანტონ ზურაბიჩის პირველ

ცოლს, რომელსაც არ ვიცნობდი, უფრო პატივს ვსცემდე, ვადრე თქვენ, მეორეს!..

— ეგ სულ ერთია!.. — სრულებით უგულოდ წამოიძახა ქალმა: — დღეს ჩვენი სტუმარი ხართ!..

მისი უეცარი გაბრწყინება და ისევ მოღრუბლება... ჰმ!.. სწორედ გითხრა, ვერა გავიგერა, და ისევ ენა დამება...

— კაცო, მხიარულად დაიწყო ანტონ ზურაბიჩა: — მაშინ რა კაი ბედზე შემხვდი!.. შენ რო წახველი, მაშინვე...

მეკი ამ სიტყვებზე ავწითლდი. ვიფიქრე, ეხლა-კი გამლანდავს მეთქი, და სწრაფად ისევ: „მშვიდობით!“ ვუთხარი.

— ეე, ახლა კიდევაც გამენაზები?!.. სად ჯანაბას გინდა, წახვიდე? დღეს არსად გაგიშვებთ, და დილაზე საცა გინდა წალი. — მკლავში ხელი წამავლო და წინ წამწია.

— არა, მელო, დღეს ჩვენი სტუმარია?! — მერე თავის ცოლს მიჰმართა, რომელიც საფლავის ქვას დაჲშტერებოდა.

— მე კიდევაც გავიბუტე!.. — ისე გულ უბრყვილოდ წამოიძახა, რომ ხმის ამოულებლივ გავყევი ანტონ ზურაბიჩს საფლავის ქვისკენ, სადაც მისი ცოლი იდგა.

ანტონ ზურაბიჩიც ჩაფიქრდა. გამეხარდა და ვიტიქრე: „იქნება ფას-დადებითი გაგზავნაზე არა მითხრას რა მეთქი.“ საფლავის ქვასთან შევდექით. გაოცებულმა უკან დავიხიე და ხან ანტონ ზურაბიჩს მივაშტერე თვალები და ხან კიდევ მის ცოლს, რომლებიც საფლავის ქვას დაჲშტერებოდნენ და, ყტყობოდათ, ორივეს ცრემლები ეგუბებოდათ...

„აქ განისვენებს კალექსკი ასესორის. ანტონ ზურაბიჩ თხილაძის მეულლის ნინო ტუხოვნას გვამი:“ ორ ენაზე ამოვიკითხე ეს. აღნიშნული იყო აგრეთვე გარდაცვალების დროც. ყველაფერი ამერია: ორივეს ცრემლები, წინანდელი ცოლი ეხლანდელის საფლავზე თავის ხლა... რას ჰნიშნავდა?“

— ანტონ ზურაბიჩ! — შევყვირე უეცრივ აკანკალებულის
ხმით: თუ ღმერთი გრწამს, ამიხსენი!..

— რა აგიხსნა, კაცო? — შემომხედა ანტონ ზურაბიჩმა
და გაკვირვებით დამეკითხა.

მელომაც შემომაშტერა თვალები..

— აი... აი... ია... ჰო! .. — სულ დავიბენი. რის კითხვაც
მინდოდა, ვეღარ გავტედე და რაღასაც ვლულ-ლულებდი...

— ხა, ხა, ხა, ხა! .. — გადიხარხარა თავისებურად, რამაც
შუბლი შემაქმუხვინა, გონება ამირია და:

— როგორ მოახერხე შენი მეუღლის გვამის გადმოტა-
ნა? .. — უეცრივ კი იმაზე ვკითხე, რის ამბის გაგებასაც ვერი
დებოდი.

— ჰოოო! .. ხა, ხა, ხა, ხა! .. — გულიანად გადიხარხარა
ანტონ ზურაბიჩმაც და ჩამოჯდა საფლავის ქვაზე.

იმას მელო მიუჯდა გვერდით.

— აკი წელან დავიწყე, კაცო, რო შემაწყვეტინე. ეხლა-
ვე გიამბობ, ჯერ დაჯექი! — ამ სიტყვებით მკლავი დამწია და
თავის მეორე გვერდით დამსვა...

— საშივენი ჩამოვმწკრივდით ანტონ ზურაბიჩის პირველი ცო-
ლის საფლავის ქვაზე...

— გამომემშვიდობე თუარა, მაშინვე, — დაიწყო ანტონ
ზურაბიჩმა, და მეც ძალა უნებურად ყური უნდა დამეგდო. ჩემი
ცხენი კი გამალებით ხან იქით მწევდა და ხან აქეთ. თან ფე-
ხებს ატკებდა, კუდს დაულალავად იქნევდა და უწყალოდ
იშხეპავდა გვერდებს, უკანა ფეხებს, რაღგანაც საღამოს ჭამის
მოტანებაზე აუარებელი ბუზი ეხვეოდა. და უფრო მწვავედ
ჰქებენდა. — საღვურის უფროს მივმართე და ჩემი მწუხარება
ვაუწყე.

ეშმაკურად ჩაიცინა და მკითხა:

— „ძალიან გინდა შენი მიცვალებულის გვამის გაგზა-
ნაო“?

— ძალიან კი არ მინდა, მაგრამ—ვუპასუხე მე—დასამარხი ფული არა მაქვს და თანაც, აი, რა დეპეშას მწერენ!..

ამოვულე ჩემი სიმამრის დეპეშა და მივეცი. იმან წაიკითხა. ჩაფიქრდა და ისევ შემეკითხა:

— „შეძლება ააქვს შენს მიმამრს?“

როცა ანტონ ზურაბიჩი ამას მიამბობდა, მე ჩემი მემართებოდა, ოფლში ვცურავდი...“

— მდიდარია, მდიდარი!.. წამოვიყვირე მე... სულ კოჭბებითა აქვს ფული მიწაში ჩაფლული!..

— „მაშ კარგიო.—მიპასუხა იმან: მიცვალებულის ფასლადებით გაგზავნა კი არ შეიძლება, და შენ სიმამრს კი აქ მოვიყვანთო.“

მაინც შენი მადლობელი ჟარ. შენ რომ არ გერჩივა, სადგურის უფროსს არ მივმართავდი. ის კარგად მიცნობდა და ამისათვის, მგონი, ასე მხურვალედ იმისთვის მომექუა.

ჩაჯდა ი მამაცხონებული და წერა დაიწყო...

— „აბა, ამას რომ წაიკითხავს შენი. სიმამრი, მოვა თუ არა!..“ ერთი-ორი წუთის შემდეგ დაწერილი ქაღალდი მომაწოდა.

„თუ არ მოხვალ,—ამოვიკითხე ეს: ფას-დადებით გამოგიზავნი შენ ქალს და ორივე სირცხვილს ვჭამთ. რადგანაც მე, გამოვგზავნი თუ არა, წყალში გადავვარდები და თავს დავილრჩობ, სირცხვილი სულ შენ მოგეხვევა.“

— „პაა, ანტონ ზურაბიჩ, მოვა შენი სიმამრი, თუ არა?“— დამეკითხა სადგურის უფროსი, როდესაც წავიკითხე და ქაღალდი გადავატრიალე.

— რა ვიცი?—ეპევით ვუპასუხე.

— თუ არ მოვიდეს, ამ დეპეშის ფასს დაგიბრუნებ...

ეს დეპეშა „დავარტყით“ და...

— ხა ხა ხა!.. რამდენიმე საათის შემდეგ რა პასუხი მომიტიდა?.. თითონ სადგურის უფროსმა მომიტანა:

„არ შემარცხვინო, შოვდივარო“—მწერდა ჩემი სიმამრი... მე და სადგურის უფროსი ღვინოს ჩავუჯექით და როცა ერთმანეთს ვეღარ ვხედავდით ღვინის გამო, ხუთიოდ ჩემი სიმამრი თავს წამოგვადგა... ჩემი სიმამრი ერთი იყო, მაგრამ, როცა ის მოვიდა, ხუთად მომეჩვენა...“

მეორე დღეს, ღვთის წყალობა გაქვს, მე იმას რამდენიმე ეკატერინე *) დავაძერ...

როდესაც ორი დღის შემდეგ საფლავში ჩაშვებას უპირობდენ, კუბის ძლივას-და ამგლიჯეს...

ანტონ ზურაბიჩი მოიღრუბლა ამ სიტყვებზე, სახე და ემანჭა და უეცრივ ქვითინით: „საბრალო ნინო... ჩემი ნინო...“—დაემხო საფლავის ქვას...

მაშინვე წამოვდექი და მელოს შევხედე, რომელსაც ანტონ ზურაბიჩისავით სახე დაჰმანჭოდა, და რომელიც ის იყო საფლავის ქვაზე თავის ხლას აპირობდა. მე არც კი შემომხედა...

კინალამ გადვიხარხარე, როცა გავიფიქრე, რომ მეღა მაკლია, დავემხო და თავი ქვას ვახალო!

— კაცო,— მივმართე ანტონ ზურაბიჩის და მხარზე ხელი წავავლე რამდენიმე წუთის შემდეგ:—მგონი მე დაგავიწყიდი?

— ახ, კაცო, რას ამბობ, რას?...—უეცრივ გადაეწმინდა სახე და მხიარულად დაიწყო: მერე... დაჯე, კაცო, ფეხზე რას უდგეხარ?—დამსკა ისევ საფლავის ქვაზე და თითონაც გვერდით მომიჯდა...

— აი, სულ ესე მკლავს ეს ამოწყვეტილის შეილი.!— ღიმილით მითხრა მეორე ცოლმა, და ისაც გვერდით მოუჯდა

*) ეკატერინეს ათ-თუმნიან ქადალდის ფულს. ეძრხიან.

— ხა, ხა, ხა, ხა!... — გადიხარხარა ანტონ ზურაბიჩა:— დავიწყებ თუ არა ტირილს, ესაც ამყვება ხოლმე და ხა, ხა, ხა ხა!..

— ჰო, ჰო, იხარხარე, შენი თავის მზემ!.. — სიცილით წაჰკრა მუჯლუგუნი მეორე ცოლმა...

— მალხაზ, ძმობას გეფიცები, ვერა გავიგე-რა!..

— რას მეფიცები, როდესაც, აი, გისმენ და მეც ვერა გამიგია-რა!. მანც არა ჸყითხე? მე კი ვკითხავდი მეორე ცოლს თუ ის რაღათა ტიროდა... — დავეკითხე ჭაბუკის, რომ დროით დაებოლოვებინა.

— როგორ არ ვკითხე, მაგრამ იმისმა პასუხმა არ დამაკმაყოფილა. იცი, რა მიპასუხა?.. „ეს რო ატირდება ხოლმე, მეც გული მიჩუყდება და ტირილი მომდისო... არა ვიცი, თუ ისეთი სულელია... არა მგონია, სხვა რამე უნდა იყოს... ან-ტონ ზურაბიჩა კი დაშოშმინების შემდეგ განაგრძო:

— სამ თვეს არ გაუვლია ამის შემდეგ, რომ—მე ხომ იმის შემდეგ ამ სოფელში ვითხოვე მასწავლებლის ადგილი და, რაღვანაც თავისუფალი იყო, მომცეს—აი, ეს, ამიჩინეს— ამ სოფლიდან არის. არც კი იცნობდა ჩემ პირველ ცოლს— და მეც მომეწონა. ეხლა, ჩემო ჭაბუკი, როგორც მხედავ, ერთ ცოლს ზედ ვაზივარ და მეორეს კი გვერდით ვუზივარ!. გაათავა თავისი თავ გადასავალი ანტონ ზურაბიჩა და ორი-ვეს. ხელები გადაგეხვია:


— აბა, ეხლა კი წავიდეთ, ჩაი დავლიოთ და შემდეგ: კარგ ვახშამს შევექცეთ... აგერ, შენი ცხენიც შშიერია. უნდა მოვუაროთ!..

წამოვდექით სამიუნი. ისინი ძალიან მხიარულად იყვნენ, მაგრამ მე კი,— ეხლაც ვერ გამომირკვევია იმ ქალის საქციელი. ვახშმის დროს კიდევ არამდენჯერმე შევეკითხე და ყოველთვის ერთსა და იმავეს თავისებურის კასკასით იმეორებდა...

— ექვე, ჩემო ჭაბუკი,— ვუთხარი მე და წამოვდექი: — იქმნება კიდევ შეჭხვდე ანტონ ზურაბიჩს და მაშინ უფრო კარგად ჩააკვირდები მის ცოლის სულის მოძრაობას...

— მართლა, კაცო, აქედგან პირ და პირ იმისკენ წა-
ვალ!.. — წამოდგა ისაც და ორივენი რესტორანიდგან გამო-
ველით.

უკვე შეგრილებულიყო, მაგრამ ჰაერი მაინც მტკრით
იყო გაფლენთილი და სუნთქვას გვიძნელებდა.



ტორპედაზა

დრამა გიქტორ ჰიუგოსი 5 მოქმედებად.

მორი მო მო დე გა გა

(სცენა წარმოადგენს კოროლის შავიოს დილინის მონასტრენში, ბურგოსში. ოთხ-კუთხი ეზოა, დერეფნებით. შემორცვლილი. ეზოში თრი ალავაფის კარია, გაღებული და შიგ ქალაქი მოჩანს. დერეფნების მარცხენა შხარეს კარები დაჭვვება, რომელშიც კიბე უნდა ჩანდეს. კარების მახლობლად სდგას რკინის სავარძელი, კოროლის დერბებით და გვირგვინით; გვირგვინს ზემოდან მოჩანს სმალი, რომლის წევტი აშენრილია. იქნება მახლობლად სდგას დიდი სკივრი; სკივრის-გვერდთ აქეთი დგანან არი ბერი).

პირველი სანახავი

დონ-სანჩიო და მარკიზ დე-ფუენტო.

(დონ-სანჩიო მდიდრულად არის ჩაცმული, სულ ფურთმავა, გვერდთ სმალი ჭკიდია).

სანჩიო. დიახ, სწორეთ რომ სიზმარია!

მარკიზ. არა, ეს კეშმარიტებაა, ცხადია.

სანჩიო. მე—ხელმწიფე ვარ!

მარკიზ. გრაფი და კოროლი ბურგოსისა,

სანჩიო. მე ვარ!

- მარგიზ.** ამ მაზრაში, თქვენი მბრძანებელის კოროლი დონ-ფერნანდოს შემდეგ, თქვენ პირველი კაცი ხართ. (სანჩის ხელსა ჭერცნის) თქვენ მოგენიჭებათ ყველა-ფერი—პატივის-ცეშა და ბეღნიერება.
- სანჩი.** დიახ! და დონნა-როზაზედ ჯვარსაც დავიწერ!
- მარგიზ.** თქვენი შეუღლება უნდა მოხდეს ერთს საათს უკან. გვირგვინს ამზადებენ, ეკლესიასა ჰმართვენ და ღმერთს გავედრებენ. ურგელის ეპისკოპოზმა უნდა დაგწეროსთ ჯვარი. თავდარიგის მიმცემი ყველაფ-რისა მე ვიქნები; კოროლშა მომანდო.
- სანჩი.** თქვენ ჩვენი მფარველი ხართ!
- მარგიზ.** მანამდისინ საკურთხეველს გაანათებდნენ, დონნა-როზა თქვენ აქ მონასტერში მოგელოდებათ; მე კი, ჟილ-დე-ფუენტლ, კარებს გაგიღებთ, რომ წესია-მებრ მიბრძანდეთ თქვენ საცოლოსთან და აქ მიბრ-ძანდეთ ერთად, ალთქმისა და მადლობის დასადებად თქვენის კოროლის წინაშე. კოროლსა ჰსურს, ჯვა-რის წერამდისინ თქვენ მოგელაპარაკოსთ. ასეთია წესი და რიგი თქვენის უუბრწყინვალესის ჯვარის წერისა. კოროლი აქ იქნება დერეფანშია.
- სანჩი.** პირ-და-პირ ეკლესიაში წასვლა მირჩევნია..
- მარგიზ.** ბატონი—მორჩილებაა საჭირო. კოროლი მხოლოდ ორ სიტყვასა ბრძანებს: „თანახმა ვარ“. ამ გვარი წესი ძველადგანვე არის დადებული, რადგანაც თქვენი გვირგვინი ემორჩილება კოროლის გვირგვინს.
- სანჩი.** აგრე იყოს!
- მარგიზ.** კანონ-დებულ წესებს უნდა დავმორჩილდეთ.
- სანჩი.** მაშ, ჩემი მამა.....
- მარგიზ.** თქვენი მამა—ჟორჟ, ინფანტი ბურგოსისა.
- სანჩი.** პაპა ჩემი?
- მარგიზ** (იქით). ჰმ! ამის პაპა—მე ვარ!
- სანჩი.** ინფანტის მამა კოროლი იყო.

მარკიზ. თქვენი მეფობა იქნება ხანგრძლივი და ბეღნიერი... ნება მიბოძეთ მხოლოდ, რომ მე გახლდეთ თქვენი ხელმძღვანელი.

სახჩო. სრულის მონდობილობით. არ, ვიცი, მაგრამ მეოუნია, რომ მე გიყვარებართ. ეხლა ხანს გაგიცანით; როდესაც თქვენ ჩემთან მოხვედით, ოჲ, როგორ შემეშინდა, როცა ბრძანება მომიტანეთ, რომ მე და როზა კოროლთან უნდა წაგეყვანეთ. როცა მოვედით, გული ჩემი თრთოდა, მეგონა რომ ჩვენ ვართ განწირული მსხვერპლი; ეხლა ბეღნიერი ვარ, რომ ჯვარს ვიწერო და თქვენთან ჩემ თავს მე სრულიად უშიშრათა ვსოვლი.

მარკიზ. სრულიად მომენდეთ! თქვენთვის მე ბეღნიერება მინდა და ამაზედ ვევედრები კიდეც მაღალ ღმერთს. თქვენ რომ რაიმე სენისაგან განკურნებისათვის დაგჭირდებოდესთ კაცის სისხლი, ისე, როგორც ოდესმე იოანნეს გრაფ რეტცს დასჭირდა, მე ჩემს ძარღვს გავიხსნიდი, რომ მენახეთ თქვენ აღმომსუნთქავი ჩემის სისხლით, იმ დროს, როდესაც მე თვითონ კი ვკვდებოდე! ოჲ, ჩემო მეფევ, ჩემო კოროლო, ჩემო მბრძანებელო! (იქით) ჩემო შვილო! (აშლის შემოვა გუჩო, რომელიც გაიგონებს აშ ბოლონდელი ტემპებს).

გუჩო (მარკიზს თვალს ადეგნებს, აქით): ვითომც და გულკეთილია. რა ამაყი შეხედულობა აქვს! ვაჲ! რა საქმე მაქვს ამ საიდუმლოსთან? კაცობრიობა ჩემთვის უცხოა. მე რომ შემძლოს ყოველი ბოროტების წინააღმდეგობა და სიკეთისათვის მიმეცა უპირატესი აღგილი, მარტო ერთი თითის გაქნევით — მაინც არ გავიქნევდი ფითსა. მე ქვემძრომი ვარ, თვალებს შაჲყეტ და ყველასთვის ვარ უვარგისი. ასეთია ჩემი სამსახური. (აშ დროს შემოვა საფლათების დასი ატრი-

კის გეგარდიისა, კასტილიის კორთლიისა, შეოფი ჭერცოგ ალავას შბრძნებლობის ქვეშ).

მარგაზ (დონ-სანჩის). აი, იქ, იმ დერეფნის იქით კოროლი იქნება და თქვენ მოგელოდებათ. (ავა დერეფანზედ და კარებს გააღებს. მერე სანჩის ანიშნებს, რომ მივიღეს მასთან). პრინც, მობრძანდით! ეს ჯარის დასსი გახლავსთ თქვენი საპატიო ამაღლა. (ელიპსრაკება ჩუმად სანჩის, მანამდინის ეს კიბეზედ ადიოდეს). როგორც რომ ბუკის ხმას გაიგონებთ, თქვენი ბრწყინვალება და გრაფინა—აქ მიბრძანდებით და კოროლის წინაშე დაიჩოქებთ. აპა, აგერ თვითონ კოროლიც! (დონ-სანჩი შევა კარებში და შემდეგ მარვიზ დე-ჭუენტ-ლიც. კარებს გაიხურვენ. შემოვა კორთლი და შემოჰუვება თავისი კაპელლანი).

მოორე სანახავი

კოროლი, გუჩი, ჭერცოგი ალავა, კოროლის გაპელლანი.

კოროლი (ჭერცოგ ალავას). ჰერცოგ! (ჭერცოგი შიუახლოვდება) როდესაც მე მოვიხსნი ამ ძეწკვს და იმას გადავ-ჰკიდებ...

ალავა. მესმის, მეფევ!

კოროლი (სალდათებს შეჭედავს). აპა, აქ არიან?! ძალიან კარგი! (ალავას) როდესაც ვიტყვი მე: „მომიცია შენთვის რაინდის წოდება, ამ დღიდან შენ იმეფე, და გაკურ-თხოს ღმერთმა“, — მაშინ, ჰერცოგ, თქვენ სუსველა-ნი იმის უკან წამოდგებით; ხმლებს ქარქაშებიდან ამოიღებთ და... უცებ აპკუწავთ!

ალავა. მესმის, მეფევ!

გუჩი (განზედ იტუვის, თარივე თავისს უღარუნებს გულში ჩა-კრავს). აღამიანნი უფრო საფრთხილო მდგომარეო-ბაში არიან, ვიდრე ეს ჩემი ტიკინები.

განკეღლასი (კორთლს ჩუმად ეტევის და მიუთითებს იმ სკივრს, რომლის გვერდით ორი ბერი დგას). აა, ტანთ-ჩასაცმელიც! სულ მზათ არის, როგორც მიბრძანეთ.

კორთლი. არა მგონია, რომ დაგვჭირდეს. მაგრამ, კარგი, აქ იყოს. იქ დადექი! (უჩვენებს ალაგს შორის-ახლოს. კა-შელლანი მიერა სკივრთან და ორს ბერთან დადგება. კო-რთლი მიუბრუნდება ალავას). შენ, ჰერცოგ, აქ იყავი! (იქით) მაინც და მაინც მე მინდა, რომ ხელთა მქონ-დეს ან ერთი და ან მეორე საშუალება.. (დერეფნის კარი გაიღება და იქიდან გამოვა შარკიზ დე-ჭუენტლ, რომელიც ნელ-ნელა სამოლის კიბეზედ. კორთლი დაინა-სავს რკინის სავარძელს და ათვალიერებს).

მესამე სანახავი

იგინივე და მარკიზი.

მარკიზი (იქით). ერთ საათს უკან ჯვარ-დაწერილი იქნება ჩემი მეფე და ჩემი გრაფი! ყაველ წამს, სიბნელეში ჩავარდნილი, თან და თან ნათელზე ამოდის; ეხლა, კიდევ ერთი წამი, და ის გახდება მფლობელად, ბეღნიგრი, ძლევა-მოსილი! უცოდველო შვილო, შენის ბრწყინვით გააპატიოსნე შენი ცოდვილი და საზიზლარი პაპა! და მე კი, მე— ესტირი! ღმერთო— ძლიერო, რა სიხარულსა გრძნობს ახლა ეს ჩემი ყოვ-ლად მცირე, საზიზლარი შავი გული! (ცრემლებს იწმენდს).

კორთლი (მარკიზს მიუბრუნდება). ა, ა! შენ აქა ხარ, მარკიზ!?

მარკიზი. (თავს დაბლა დახრის) მეფევ....

კორთლი. მიხარიან შენთან მუსაიფი. (უჩვენებს რკინის სავარ-ძელზედ) ეს რა სავარძელია? ან ეს ხმალი აქ რასა ნიშნავს?

მარკიზ: მეფევ—ეს გახლავს სატახტო სავარელი, რომელზედაც თქვენი წინაპარი, დონ-გარსი დაბრძანდებოდა ხოლმე და ეგ ხმალი—კოროლის ძალ-ღონის ნიშანია.

გორგოლი. რასაკვირველია, აქ, ამ საკოროლოში მე ისა ვარ, ვის ხელთ არის სიუ-ცხლე და სიკვდილი.

გუჩო (კოროლი). თქვენ ორნი ხართ. (ამ ფაზარავის რამდენიმე წამის წინათ, მარჯვენა კარებიდან გამოვა დაიტანია, რომელიც გაივლის ოთხ-კუთხიან ეზოს და გავა მარცხენა კარებში. ეს დაიტონია არის ორ-გვარ შემსანებლებისგან; ერთი ჯგუფი თეთრებში არიან ჩაცმული, მეორე კი—შავებში. ესენი მოდიან წყვილ-წევილად, ნაბიჯანაბიჯათ, ჰირის-სასებბზედ კაპიშონები აქვსთ ჩამოთარებული. რომელთაც თეთრები აცვიათ, კაპიშონები შავი აქვსთ და რომელთაც შავები აცვიათ — კაპიშონები თეთრები. კაპიშონებში გამოჭრილი არის შხოლფლდ აღგილი თვალებისათვის. დაიტონიას მოუძღვის ერთი ბერი, სულ შავებში შავი კაპიშონით და სელში უკირავს შავი ბაირადი, რომელზედაც თეთრ-ფრად დახატულია შეკვდარი კაცის თავი და იმის ქვეშ ჯვარებინად გადასმული კაცის ფრი თეძრის ძვალი. ეს დაიტანია, ანუ პროცესია, წევარად და ხმა-ამოუღებლივ გაივლის მთელს სცენას. გუჩო კოროლის ამ ბაირადზე უჩვენებს.)

გორგოლი (გუჩო). მართალია, წყეული ბერი!

გუჩო. დიახ, წყეულია, მაგრამ ყოვლად შემძლებელი! ტორკვემადის წინაშე—ყველა თრთის, თქვენც-კი.

მარკიზ. როცა ვხედავ ამ ბაირალს, თითქო კომლის სუნი მომდის-მეთქი და დაბრაწული ხორცისა.

გორგოლი. მარკიზ, ეს კაცები სად მიდიან?

გუჩო. მიღიან, რომ მოედანზედ დაიწვან თავიანთი თავი. თქვენ, მაგალითათ, მოქალაქე ხართ; თქვენ დაუკითხავად რაიმე სამწუხარო ამბავში ჩაგითრიეს, და

საკუთარს სახლში, ან სხვაგან საღმე უნებლიერ
 წარმოსთქვით რაიმე სისულელე. ბაგემან თქვენმან
 წარმოსთქვეს თუ არა მაგისთანა სიტყვა, მაშინვე
 გაფრინდება და წმინდა ტრიბუნალთან მიჰორინდება
 და მოულოდნელად ჩატორინდება ისეთს ყურში,
 რომელიც ღამეც კი ღია რჩება. მაშინათვე ორი
 წყება ამისთანა საზარელის მოჩვენებისა, შესაზარის
 ანაფორებით და საშიშარი ბაირალით დაიწყებს სია-
 რულს მონასტრიდან მოედნისაკენ, ხალხში ჩუმად
 და წყნარად მიღის ეს ლიტონია და ვერა-რა. შეა-
 ჩერებს მის სვლას. ყოველი გარბის და ერიდება
 ამ ლიტანიას. ესენი არიან ინკვიზიციის ფამილია-
 რები, ⁶⁸⁾ ესე იგი, ის პირნი, რომელთაც უნდა
 შეიპყრან დამნაშავენი.. ამათ წინაშე—ყველა
 თავს იხრის. ყველამ იცის, რომ ეს მოჩვე-
 ნება—მძლავრი მკლავია, რომელიც კაცს მაგრად
 ჩასჭიდებს. ასე და ამ რიგად დაღის მთელს ქალაქ-
 ში, როდესაც უნდა იყოს, ღამე თუ დღე; ჩუმად,
 უგალობოდ, მიღის მუნჯად, საზარლად, პირ-და-პირ
 თავის მიზანთან, ისე აი, როგორც ეხლა (ამ დროს
 გაიგლის ეს დიოტონია ეზოს სიღრმეში). თქვენ თქვენს
 სახლში ზიხართ დამშვიდებული, ლაპარაკობთ, მუ-
 საით ში ხართ, იცინით, ბავშვებს ეალერსებით და
 ჰქედავთ უცბად და მკვდარს თავს, პირ და პირ თქ-
 ვენთან მომავალს. ამ, რამდენი აღამიანია მაგათგან
 გადამწვარი! ვინ ჩამოსთვლის?! ის კაცი დაღუპუ-
 ლია, განწირულია, ვისთანაც ეს ბაირალი მიღის.
 (დიოტონია სრულებით გაფა გალავნიდან).

მარკიზ (კოროლს ჩუმად). მეფევ, ტორკებადა თქვენ აშკარად
 გეწინააღმდეგებათ; რომის პაპის და ტორკებადას

⁶⁸⁾ ფამილიარი,—ინკვიზიციის მსახურთა სახელი. ფამილიარობას
 უკეთესი გვარის შვილებიც კი კისრულობდნენ.

პირობა აქვსთ შეკრული; მიღის იმასთან, მოაქვს იმისი ბულლა და ესეც კმარა, რომ თქვენ და თქვენი გავლენა, ძალა და ლონე დამტირებული იყოს. ეს მრისხანე ბერი მეტად სარგებლობს. თავისს თანამდებობით. რამდენიმე წლის განმავლობაში ტორკვემადა თქვენი თანასწორი გახდა. (კოროლი მარკიზს უუს არ უგდებს, ფიქრშია წასული. მარკიზი გუჩის ეტუშის დაბლა) კოროლი ყურს არ მიგდებს.

გუჩი (დაბლა მარკიზს). იმიტომ, რომ თავში სულ სხვა ფიქრები აქვს. (კოროლი მთისხედავს, უვეჭას გადაჭრედავს, რომელიც უკან დაიხევიან და სელით ანიშნებს მარკიზს, რომ მიუახლოედეს. კოროლი მარკიზს სელს მოჰყეიდებს, და მივლენ აფან-სცენაზედ; ელაპარაკება ისე, რომ იქ მდგრმთ არა ესმისთ-აა. გუჩი თვალს აღევნებს ორივეს).

კოროლი (მარკიზს). მე ყოველთვის შენი რჩევის და დარიგების აღმსრულებელი ვიყავი და არც ვწანობ ამას. შენ რჩევას სხვისაზედ მეტად ვამჯობინებ. მარკიზ, ერთი რჩევა უნდა გყითხო იმ საქმეზედ, რომელიც ამ წუთშივე, აქ უნდა მოხდეს. (კოროლი დაინახვს გუჩის, რომელიც რკინის სავარძელთანა დგას. სელით ანიშნებს და გუჩი წავა).

გუჩი (იქით, თრივეს თვალს აღევნებს). რა უნდა მოხდეს? პატარა ვეფხვი და ბებერი კატა!

მეოთხე სანახავი

კოროლი და მარკიზი.

(აფან-სცენაზედ არიან; სხვანი აქ მუჭთნი სცენის სიღრმეში დგანან ისე, რომ ამათი დაპარაკი არ ესმისთ).

კოროლი. ისე მოვიქცევი, როგორც მირჩევ. შენი რჩევის სიმარტლე გამოცდილი მაქს!

მარგიზ. (იქთ). ვიცი, ეს რასაც ნიშნავს. თქვენი ბრწყინვალებავ; ალასრულებთ მხოლოდ იმას, რასაც მე არ გირჩევთ.

ქოროლი. ჩვენს პოლიტიკაში ისე მიღის საქმე, როგორც შენ მოგწონს, თუ არა? ევროპაში მტკიცეს რასა ჰედავ?

მარგიზ. ძალას! ძალა კი—თქვენა ბრძანდებით; თქვენ სწორეთა და მტკიცეთა დგეხართ. სხვა ყველაფერი თავს იხრის ჭრანციის წინაშე. მეფევ, არის მხოლოდ ერთი ადგილი, საიდანაც თქვენ შეგარყევენ: ის არის—ნავარრა; გაშლილი სამზღვარია. მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ჩვენზედ ადრე, თვითან თქვენ გამოუძებნეთ წამალი, რომ დაბერებულს ხელმწიფე არტეცს წაართვით ინფანტი დონ-სანჩო და ამითი თქვენსკენ გადმოიწია სასწორმა. თქვენში—ძალაა, სანჩოში—უფლება! თქვენ კოლოსსი ხართ,—სანჩო—მისაყრდნობი, იმედი. სანჩო თქვენ გიჭირავსთ ბრჭყალებში, როგორც არწივს თავისი ბახალა. ერთად-ერთი კაცი, რომელიც თქვენთვის საჭიროა, არის—დონ-სანჩო. მანამდისინ სანჩო ცოცხალია, თქვენ ჭრანციას ქიშს უზამთ!

ქოროლი. საჭიროა? მხოლოდ ის?

მარგიზ. დიას, სანჩო დონნა-როზათი.

ქოროლი. მაშ, შენ ამბობ, რომ ჩემთვის საჭიროა სანჩოს სიცოცხლე?

მარგიზ. უეჭველად!

ქოროლი. მაშ იცოდე, რომ, როცა ის კარები გაიღება, დონ-სანჩო იქვე მოკლული იქნება! (მარგიზი შეძრწენებული შეირცება). დონნა-როზა მომწონს! ჯერ არ მინახავს, რომ კდემა—ლიმილთან ასე იყოს შეზავებული, როგორც ამ ქალსა აქვს; ჯერ არ მინახავს, რომ სიმუვენიერე ხმისა—თვალის ჭვრეტასთან შე-

ზავებული ისეთი იყოს, ორგორიც ამ ქალსა აქვს. ისე ნაზად იყურება, რომ არა ხორციელს არ შეეთვისება ამისთანა შეხედულობა; ფეხები ისე პაწაწკინა აქვს, რომ შემიძლიან ხელში ავიღო; ადვილათა თრთის, იმიტომაც სილამაზე მისი უფრო მომჯადოვებელია. და ამიტომაც, რომ ვარ მე კოროლი, ვხედავ, რომ ჩემთან სანჩო მეტი არის!

მარკიზ. ჰეშმარიტია!

კუროლეთ. რასაკვირველია, რომ სახელმწიფო გამგებელს არ შეუძლიან დაემორჩილოს თავისს ვნებებს; მე ეს კარგათ ვიცი. რა გარდაწყვეტილებაზედ უნდა დავმდგარვიყავი? უცებ კი არ მომსვლია მე ეს უინი. შენ გვონია, რომ ჩემ თავს არ ვებრძოდი? მე ვეუბნებოდი ჩემ თავს: დალახვროს ეშმაკმა, რა მშვენიერია! დიახ, ეს ქორწინება სარგებლობას მომიტანს, მე ნავარრა მჭირდება, ურომლოთაც მე სამზღვარი არა მაქვს.. ოჟ, სიყვარულო, მაგრა იღეს! მაგრამ, ოჟ, რა თვალები აქვს! რა ტანი და ხორცი! რა მიხერა-მოხერა! მაგრამ, არა, შესდეგ, მეფევ! ერთ დღეს, ერთი ქალის გულისათვის, განა შესწირავ შენ, მეფევ, იმას, რაც ათი წლის განმავლობაში ბრძოლით შეიძინე? აბა, გაიხედე იქითკენ, მთას გადალმა: ჭრანციის კოროლი დასკინის ისპანიის კოროლს. მაშ დავსწეროთ ჯვარი სანჩოს და როზას. მაშინ დურანცია⁶⁹⁾ და ადური⁷⁰⁾ ჩვენი იქნება, სამზღვარი მტკიცე, მაშ დავრჩეთ ისევ ღრმა პოლიტიკოსად, გასაოცრად! მაშ დაიწერონ ჯვარი! გარდაწყვეტილია. არა! რა უღელს ვატარებთ! დონნა— როზას დანახვა სხვის ხელში — მე არ შემიძლიან! შორს ჩემგან ყოველი მოცილე და რაყიტი! როზა

⁶⁹⁾ დურანცია,— მდინარეა.

⁷⁰⁾ ადური,— მდინარის სახელია საფრანგეთში.

ჩემია! განა მე მონა ვარ, რომ მიჭირავს სკიპტრა
ჩემი მტანჯავი? რა მაიძულებს მე, რომ ასო-ასოთ
ვსტანჯო ჩემი სული, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ,
სადღაც სენაზე,⁷¹⁾ რეინზე⁷²⁾ ანუ ტიბრზე⁷³⁾ სდგანან
ათასნი ჯაშუშნი და მე მათვალიერებენ, ჯაშუშნი—
მეფენი ჩემი მოტარაჯენი! უუდიდეს მეფედ ყოფნა
ფრიად სამძიმოა! გული თავისას ითხოვს! ძალიან
ვსწუხვარ, რომ ეს დონ-სანჩო აქვე უნდა მოვჰულა,
მერე აქვე, იმისვე სახლში; მაგრამ ჩვენ თუ ვსცო-
ცხლობთ დედა-მიწის ზურგზედ, იმიტომ კი არა,
რომ მოწყენილად ვიყოთ და განა, რა ჩემი ბრალია
რომ ის ქალი ასე მშვენიერია?!

მარგიზ. ოლონდაც, რომ რა თქვენი ბრალია!

კოროლი. იზაბელლამ—თავი მომაბეზრა. მე სხვა ქალი მინდა!
ამასთანავე, მე ხომ სიყვარულის უფლებაც ჰაქვს!?

მარგიზ. ლომი—მშიერია.

კოროლი. გამიგონე. მე მიყვარს, მაშასადამე—მე მძულს! მე
წარმოდგენილი მაქეს იმათი ბავშვობა, ერთად
იყვნენ, ეს მონასტერი, ქალი თავისის მშვენიერებით,
კაცი—თავისის კადნიერებით, ყველილები, მინდო-
რი, ბინდი და კოცნა, კოცნა ამ ქალისა ამ აურ-
ზაურისაგან! ეს დონ-სანჩო! ოჰ! მე შურიანი ვარ!
თავიდან მოვიცილებ! მე სასიამოვნოდ მიმაჩნია, რო-
ცა ჩემს გულში ვგრძნობ სიბრაზეს, მკაცრს შურსა და
მაშინ მინდა გამოვცადო: ხოლმე ეს გრძნობა; ოჰ,
მძულვარება—კარგი გრძნობაა. ხელში მყავდეს ჩემი
მტერი, ვაწვალებდე, ფეხითა ვსთელიდე, ოჰ, რა სა-
სიამოვნოა, რა სიტყბოებაა! მე—უფსკრული ვარ!
თვალ-ჩაუწვდენელი, უფსკრული და ბარტყე გადავ-

⁷¹⁾ სენა,—მდინარის სახელია, რომელზედაც გაშენებულია ქალაქი.
პარიჟი.

⁷²⁾ რეინი,—მდინარის სახელია ევროპაში.

⁷³⁾ ტიბრი,—მდინარის სახელია, იტალიაში.

ყლაპავ! აღხოცვის თრთოლვა მწყურიან! გიუი იქნება ის, რომელიც მე ამის წინააღმდეგ რასმე სხვას მირჩევს! დონ-სანჩო აქა მყავს—და მე მის ჯავრს ვიყრი! და ჯავრს რისთვის ვიყრი? იმისთვის, რომ როზის უყვარს! იმისთვის, რომ ლამაზია! მე გულჩახვეული კაცი ვარ და ჩემ გულში ჰქუბს სხვა და სხვა ათასნაირი სიმძაფრე, ერთმანერთის წინააღმდეგი. კაცის კვლა—მესიამოვნება! ყაენი—ჩემი ძმა. მაშინ როცა სხვას მე ვეჩვენები სასტიკად, გულცივად, მძინარედ, ვერძნობ ჩემს გულში, რომ ვნება ჩემი ისე გამიტაცებს, როგორც ცეცხლ-მფრქვევი მთა, რომელსაც მიაწვება დედა-მიწის გვამიდან ცეცხლი და ალი! ის, რომელიც მოიწადინებს ჩემს დაწყნარებას და დალბობას, უფრო მეტს ბრდლვინვას დამაწყებინებს, უფრო მეტად შემშლის ჰკუაზედ. ორი საშუალება მაქვს, რომ სანჩო თავიდან მოვიშორო.

მარგიზ (იქთ): ორი საშუალება!

გოროლი- ერთი—სამწუხარო, ესე იგი—მონასტერი! მეორე—სამხიარულო და სწრაფი—სიკვდილი! მონასტერი? —რატომ არა? საფლავი კი, მგონია სჯობდეს; საფლავი ყრუა! უფრო საიმედოა! მონასტერი—მუნჯია; აკლდამა იმითი არის კარგი, რომ იქიდან ველარ გამოდიან!.. მონასტერი—მოძულებული რგოლია საზიზლარის ფარგლით შემოვლებული, ისეთი აღგილი, საღაც მუდამ უნდა სტრიალებდე. დონ-სანჩო, ეს ტყვე ბნელის დერეფნისა, დაინახვდა თავის-თავს გაჭალარავებულს და ფერ-წასული. ბებრად გარდიქცევოდა. საშუალება მე უნდა აღვირჩიო. სიკვდილს ვირჩევ.—შენი აზრი?

მარგიზ. თქვენ მართალი ხართ!

გოროლი. როგორ?

მარგიზ. სიკვდილს ჩიეცით, მეფევ!

კოროლი. (იქით) ჰმ, აკი მარწმუნებდნენ, რომ დონ-სანჩო ამისძ
შეილიაო? ტყუილი უნდა იყოს!

მარქიზ. თქვენს აზრს თანავუერძნობ, მეფევ.

კოროლი (იქით). ჰმ, როგორ მატყუებდნენ!

მარქიზ (კოროლს თვალს ადეგნებს). სრულებით გეთანხმებით,
მეფევ.

კოროლი. მაშ, შენ მირჩევ მისს სიკვდილს?

მარქიზ. დიახ, სიკვდილს.

კოროლი. (იქით) ჰმ, აქ საეჭვოდ არის საქმე! ეს არის ახლა
მარწმუნებდა, რომ სანჩო ჩემთვის აუცილებლად
საჭიროა, რომ სახელმწიფოს დღე-გრძელობისათვის
ცოცხალი უნდა იყოსო. სანჩო თუ მოკვდა ნავარ-
რასათვის, ჩემი უფლებაც დაირღვევა; ერთის მხრით
მარტყავს იმპერია, მეორეს მხრით—ფრანცია. (უნ-
დობლად, წარბ-შეკრული უცქერის მარქიზს) საღ მივყე-
ვარ მე ამ კაცს? ამ მუხთალს კაცს თავისი განზრა-
ხვა აქვს. (ზმა მაღლა) სანჩოს მოსპობა სასიამოვნო
იქნება, მაგრამ ცოტათი რომ დავჭკბინო? მონასტე-
რში რომ მყავდეს დამწყვდეული; სულ-ერთია, ვი-
თომც კბილებში მეჭიროს. მე რომ შევინახო და
ნელ-ჩელა ვაწვალო, ვსტანჯო, რომ გაგიუდეს და
სიკვდილს თითონა ნატრულობდეს? ჯავრის-ამო-
ურაში ჯანჯლობა მეტის-მეტი სასიამოვნოა. ამაზედ
რას იტყვი?

მარქიზ. ბრუნდე გზას რათ ირჩევთ, მეფევ? მიზანთან პირ-და-
პირ მიხვიდეთ არა სჯობიან? დაჭკარით, მოჭკალით!

კოროლი. გაიძვერა! აქამდისინ სანჩოს მხარე ეჭირა... ახლა
თუ დაავიწყდა, მაგრამ მე კი მახსოვს. (მარქიზს
თვალს არ აშორებს; მარქიზიც სწორედ ასრე კოროლს
თვალს არ აშორებს) ჰშ! ორპირო იანუსო, ?⁴⁾) რო-

⁷⁴⁾ იანუსი,—რომაელების ღმერთის სახელი, რომელიც უწამდათ
როგორც მფარველი ღროვას, ადამიანის ბედისა, ომისა და სიცოცხლისა.

მელშიაც ვამჩნევ სინათლეს! სიძულვილზედ რის-
თვის მაქეზებს? რა მალე დამეთანხმა? (მარკიზს) სი-
სხლი...

მარკიზ. მეფე დასისხლიანებულის ხელებით — ყოველთვის მო-
გებაშია! მოჰკალით!

კოროლი (იქით). საფრანგეთის კოროლს თუ მიჰყიდა თავისი
თავი? თავ-ლაფიანი, ბილწი! (ხმა მაღლა) შენ არ
ამბობდი — სანჩიონ თქვენი იმედი არისო? ჩემთვის სა-
ჭიროა, და მანამდისინ ცოცხალია — მშვიდობიანობა
იქნება.

მარკიზ. შემცდარი ვიყავი. უუმძლავრესი ხართ და თქვენ-
თვის სრულიად საჭირო არ არის სხვისი ვისიმე და-
ხმარება: მოჰკალით!

კოროლი. ვგრძნობ, რომ გულწრფელი ხარ. აბა მოიფიქრე.
ხალხი — ეს გლახების ბრძოა, რომელსაც პოლიტიკა-
ში არა ესმის-რა, ბრძო ადვილად აღმშეფოთებელი
და გაგულისებული, როცა დაინახავს ხმლით გან-
გმირულს გულს. მოკლული ყოველთვის ეცოდე-
ბათ, მეტადრე მაშინ, თუ ახალ-გაზდაა და ლამაზიც;
დასტირიან კუბოში, ავიწყდებად კი საპყრობილები.
ეჭ, ჩემო კარგო, ნუ დავუჯერებთ მეტად გამბედავ
საქციელს. სანჩიონ ჯერ ახალ-გაზდაა. ახლა ტრა-
გედიების დრო არ არის. მე მგონია, გესმის თუ
არა, რომ მე ყველა დამლოცავს, თუ რომელიმე
მონასტრის ქვით-კირის კედელში დავატანო სანჩიონ.
როგორა გვინია, მონასტრიდან გაპარვას შეიძლება
თუ არა? არა?

მარკიზ. საფლავი — ყველაზედ საიმედო მცველი იქნება.

კოროლი. მაგრამ კაცის-კვლა...

მარკიზ (სისახლეზედ უჩვენებს). ეს კედლები შეჩვეულნი არი-
ან კაცის კვლას!

კოროლი. (იქით) მოღალატე! (ხმა მაღლა) ეგ არის, მარკიზ,
შენი უკანასკნელი. რჩევა?

მარჯიზ. მოჰკალით! (ბუკის ხმა) ბუკის ხმა!.. აი, ისინიც!... (კარები გაიღება სასახლისა. შირველი მოდის დონ-სანჩო და დონა-როზა; ერთმანეროის სეჭი უჭირავსთ. როზა ჩატმულია თეთრ კაბაში; ვერცხლით მოკაზმულში, და თავზედ გვირგვინი ადგია, მარგალიტებით. სანჩო გრაფის შლიაპათი, სხევა და სხევა-ფერ ფრთხებით მორთული და ძვირფასის ქვებით. მათ მარჯვნივ მოდის ურგელის ეპისკოპოზი, თავზედ მიტრა აჯგია. მათ უკან მოსდევენ ქალები, ამალა, მღვდლები.)

მესუთი სანახავი

იგინივე, დონ-სანჩო, დონა-როზა ურგელის ეპისკოპოზი.

ურგ. ეპისკოპოზი. კასტილის კოროლო, ტერდინანდ,— ეს კაცი—დონ-სანჩო ჯვარს იწერს ამ ქალზედ, დონნა-როზაზედ და ეს ორივე არიან გოტტის⁷⁵⁾ კოროლების ჩამომავლობისა; ეს არის მანდილოსანი ორტეცისა, ეს არის—ბურგოსის გრაფი; მე დავს-წერ ამათ ჯვარსა, თუ შენი ნებაც იქნება, ჩემო მე-ფევ. სანჩო მუხლ-მოდრეკით წარმოგიდგებათ თქვენ და წარმოგიდგენთ თქვენ თავისს საცოლოს და ორივე აღთქმას დასდებენ. თავის ერთგულობაზედ თქვენ წინაშე, რადგანაც ეს არის გრაფი და თქვენ კი— კოროლი. (დონ-სანჩო და დონა-როზა ჩამოდიან კიბეზედ და კოროლის წინ მუხლს მოიდრეკენ. ჰერცოგი ალავა ერთის ჩაბიჯით წინ წამოდგება. მარკიზ დე-ტუენ-ტო დიდის აღმოფთებით უკეფას თვალს აღევნებს.)

სანჩო. მეფევ, მომირთმევია თქვენთვის ჩემი სამფლობელო.

⁷⁵⁾ გოტტი,—ხალხი იყო, მეტად მებრძოლი.

კოროლი (ეპისკოპოზის დაცქერდება.) კუუაზედ ხომ არა ხარ შემ-
ცდარი, ეპიზკოპოზი? შენ ჯვარსა სწერ ბერსა და
მოლოზანს?

ურგ. ეპისკოპოზი. მეფევ....

კოროლი. განა არ იცი, რომ ესენი აღკვეცილნი არიან? ნუ
თუ ჰბედავ შენ ამისთანა ლვთის-გმობას?

ურგ. ეპისკოპოზი. მეფევ....

კოროლი. ანაფორა გადააცვით ამ ბიჭს! პირ-ბადე—ამ ქალს!
(კაპელლანთ და ორი ბერი წინ წამოდგებიან; ერთს ხელ-
ში უჭირავს შავი პირ-ბადე, მეორეს ანაფორა. ბერი უც-
ბად გადააცვამს სანჩის ანაფორას და ორზეს პირ-ბადეს,
დონ-სანჩის პირის სასე გადმოთარებული აქეს კაპიშო-
ნით, დონნა-როზას კი პირ-ბადეთი. საფლაოები გარს
შემოერტყმიან. დონ-სანჩის ხმალს ამთაქობენ. კორო-
ლი ხელით ნიშანს მისცემს.) წაიყვანეთ ესენი მო-
ნასტერში!

სანჩი (სცდილობს გადიძროს კაპიშონი). მეფევ!...

კოროლი (ბერებს). თქვენ გებარებოდეთ ესენი; თქვენ იქნე-
ბით პასუხის-გებაში.

მარგიზ. (თავისუფლად ამთასუნთქავს) ცოცხალია მაინც! (ბერებს
და საფლაოთები მიჭეავთ დონ-სანჩი ერთს მხარეს, დონნა-
როზა მეორე მხარეს.)

კოროლი. (შარვიზ ხმა დაბლა) ამათ მოვსძებნი, როცა საჭირო
იქნება. შეიძლება ხომ, რომ მონასტრიდან განთა-
ვისუფლდეს დედა-კაცი?

მარგიზ. (იქით) ხშირად... და ვაუ-კაციც!

მ ა ს ა მ ა მ ი ა დ ე ბ ა.

(სცენა წარმოადგენს იტალიას. მთის სერი. მღვიმე მეუღა-
ბნოვისა; სიღმეში სჩანს მღვიმეს შესასვლელი, შორით-მთები.
მღვიმეში-ერთ კუთხეში ჩაფა ყრია; მეორე კუთხეში ჰატარა
საკურთხეველი და ზედ მკვდარი თავი. ერთი ფიალა წულითა,
ხონჩაზედ ვაშლები და წაბლი. სკამის მაგივრად ქვებია; გველა-
ზედ დიდი ქვა სტოლის მაგივრა. მოჩანს ტუე, ხეთბები, მთის
წევალი და ჰატარა სამრეკლო.)

პირველი სანახავი.

ჭრანჩესკო და-შალოვა. (მუხლ-მოდრეკილი ლოცულობს. ლოცვას
უსწევეს და უკრს უგდებს; ისმის მონადირის ბუკის
სხა და ძაღლების უეფა). ეს რა მესმის? შემცდარი
ხომ არა ვარ? უთუოდ ზარის რეკა? (უკრს უგდებს)
არა, ზუკია! როგორ? ბუკი ამ აღაბურს კლდებში?
(უკრს უგდებს) ხშირად მთის წყლის ხმა ბუკის ხმას
მიემსგავსება ხოლმე და ხალხის ღრიანცელს და ტყის
ხშუვილს. არა, ვიღაც ნაღირობს. (იღებინება). დიახ,
ბუკის ხმასთან და ძაღლების უეფასთან ტკეს თავისი
მნიშვნელობა ეკარგება და მაშინ ნაღირისათვის აღა-
მიანი ეშმაკად გარდიქცევა. (უკრს უგდებს; ბუკის ხმა
უფრთ ახლოს ისმის) ოჭ, რა საშინელებაა. ღორო-
ტეას⁷⁶⁾ და სიმონის⁷⁷⁾ ღროიდან, ამ ღალოცვილს
უდაბნოში, წმიდა მამის სამფლობელოში, მწირი
თავის სენაკს ნაღირს უზიარებს, მგლებს; ერთ-მან-

⁷⁶⁾ ღოროტეა,— ქალის სახელია, ღმერთად ითვლებოდა ისპანიაში.

⁷⁷⁾ სიმონი,— ისპანიის უკლესიის წმიდანი.

ერთი უყვართ და ძმურადა სკეოვრობენ ამ აღგილს, საღაც თვით ბუნებაც კი დაემეგობრა აღამიანს. არავის, არავის არ შეუძლიან დაარღვიოს, არც მეფეს და არც თავადს, აქაურობის სიმშვიდე, რა აღგილიც ეკუთვნის რომის გვირგვინს, არც ბუკის ხმით, არც ძალლების ყეფით, არც ხმურობით, ვინც უნდა იყოს, თუნდაც თვით რომის პაპაც. (ძაღლების უეფა შესწევდება; ბუკის ხმა სან შესწევდება, სან არა). რომის პაპას კი აქვს ეს უფლება, მაგრამ ვერ გაპბედავს, რადგანაც ის არის მონაღირე აღამიანის სულისა და არა ნაღირისა. არა, თვით საზიზლარი დამნაშავეც კი ვერ გაპბედავს ამ წმიდა აღგილს სისხლის ნოხევას და ლვთის გაჩენილის მფრინვლების დაფრთხობას. მაგრამ, ვინ უნდა იყოს, რომ აქ ნაღირობა გაპბედა, ვინ უნდა იყოს ეს უშიშარი? (მდგინელი შესასვლელთან გამოხნდება ბერი, მოხუცებული, ხელში ჯოხი უჭირავს, ფეხები დამტკერიანებული აქვს; დომინიკელის ასაფორის ზემთლამ მოგზაური მწირის სტიქარი, სამდველო გეართი ასეია. ეს არის ტორგვემადა. შესაფალში შეჩერდება. წერი ჭაღარა შერთული აქვს; ჭრანჩესკა და-პათლოს-კი—სულ თეთრი).

მოღრე სანახავი

ჭრანჩესკა და-ჟაღლო და ტორგვემადა

ტორგვემადა. სალამი შენ, მოხუცო მამაო!

ჭრანჩესკა. სალამი შენც, ძმაო!

ტორგვემადა. მომეცი ნება, პატარა ხანს აქ შევისვენო.

ჭრანჩესკა. შემოდი, ძმაო, შემოდი!

ტორგვემადა. მე დავიწვი მზეზედ, გაცბუნებული ვარ, ციებაშ და მზემ ამათრთოლეს; მე მოგზაური მწირი ვარ.

მე ულირსი მიმავალი, შემოვდივარ შენთან, წმიდაო

პატრიარქო; დალალული ვარ. გეუბნები: „ლამშა⁷⁸⁾ საბახტანი“! მშვიდობა შენი! გაკურთხოს ღმერთმა, ბერი!

ჭრანჩესკო. კურთხეულ იყავ, ადამიანო!

ტორგეგემადა. მეც ბერი ვარ.

ჭრანჩესკო. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! ძალიან კარგი. ნება გაქვს სთქვა, თუ გინდა, საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ, რადგანაც ყოველი ნაბიჯი მოდის აღმო-სავლეთიდან და გადადის დასავლეთისაკენ. რაც შენა ხარ, უცნობო ძმაო, ჩვენც ისა ვართ ყველანი. შვილო, ერთი და იგივე რამ არსებობს ჩვენს თავზე და ყველას ერთი ბოლო გვაქვს. ჩვენი ფეხი ეკუთვ-ნის საფლავს, მუხლი კი—საკურთხეველს.

ტორგეგემადა. მე მოვდივარ ქვეყნიდან და მივდივარ ქალაქს. მივდივარ—რომს.

ჭრანჩესკო. რომს?

ტორგეგემადა. დიახ, მე ცოდვილი და იმედი მაქვს მოვახდინო ის, რაც სწორეთ ახლა მოსახდენია. მე მოულოდ-ნელად წამოვედი, მარტო, ფეხში შველა, მოვდიო-დი ქვიშით, მოვდიოდი თოვლით; ჩემი ვეღრება მოხსენდა კიდეც წმიდა ტახტსა, რადგანაც რომის პაპა ალექსანდრე მეექვსე ჩემი მცნობია.

ჭრანჩესკო. როგორ? ახალი პაპა?

ტორგეგემადა. ჩემსავით, ისიც ისპანიელია. ჩვენ ვალენსიაში⁷⁹⁾ გავიცანით ერთმანერთი. იმას ეძახიან — ბორჯია. შენ, მოხუცო, ამ სასტიკი საკურთხევლის მოძღვაროვ, შენ ვინა ხარ, ღვთისაგან გამოგზავნილო ამ უდაბ-ნოში, რა გქვიან?

ჭრანჩესკო. მე ვარ ჭრანჩესკო და-პაოლო. შენი სახელი?

⁷⁸⁾ „ლამშა-საბახტანი“; — „ლამშა“ — ქართულად — ქურუმი; „საბახ-ტანი“ — ქართულად — ბუდლელების ენაზედაა.

⁷⁹⁾ ვალენსია, — მაზრა არის ისპანიაში.

ტორგეგემადა. ტორკვემადა (დიდის თაუფანის-ცემათ განზედ გადგენა) ჭრანჩესკო და-პაოლო! წმიდანო!

ჭრანჩესკო. არა!

ტორგეგემადა. შენ, მომავალს წინასწარმეტყველობ!

ჭრანჩესკო. არა!

ტორგეგემადა. მაგრამ, მამაო წმიდაო, შენზედ ამბობენ, რომ სასწაულს სჩადიხარ?

ჭრანჩესკო. მე მხოლოდ სასწაულსა ვხედავ. ყოველ დილას მზე ამოდის, ანათებს წყლებს, ათბობს პატარა ცხოველებს, ყოველ მშიერს საზრდოს უჩვენებს და სიცოცხლე ჰყლაპავს სიწყვლიადეს, ყვავილი იშლება, უშველებელი ზეცა ბრწყინავს, მაგრამ ჩემგნით კი არ არის ეს ყველაფერი, ღმერთია, სულ ღმერთი!

ტორგეგემადა. მამაო, იქსომ შეგვახვედრა ჩვენ ერთმანერთს, მე გულთ-მისანი ვარ, გელაპარაკები შენ, მოციქულო, ყური მიგდე. გიფიქრია შენ როდისმე რომის პაპაზედ, იმ გვირგვინის ადამიანზედ, იმ გაფერადებულ კუბოზედ და ხომ არ გითქვაშს როდისმე შენი თავისათვის, რომ იმ ცრუ მოძღვართან სდგას ნაძღვილი და ჭეშმარიტი მოძღვარი და თავის თანამდებობის აღსრულების გულისათვის. რჩება შეუმჩნეველად ამაყ ვიკარის წინაშე, რომელიც მოულოდნელად დაგვირგვინებულია, რომ იმ უცნობში ვხედვიდეთ ჩვენ თვით ეკლესიის სულსა? და რას იტყოდი შენ მაშინ, რომ ამისთანა ადამიანი, ჩვენი სჯულის ამისთანა წარმომადგენელი—მე ვიყო?

ჭრანჩესკო. პაპა ჰმეფობს, ღვთის—კაცი. არის მხოლოდ, ერთაღერთი—რომი.

ტორგეგემადა. ღვთის—კაცად ყოფნა არ შეიძლება, თუ ადამიანის შვილი არ არის; ამისთანა კაცი—მე ვარ. ჯოჯოხეთი და იმისი სიწყვლიადე მოელიან ქვეყანას. მე ვარ მკურნალი დასისხლიანებულის. ხელებით. მკვდარი, ცხედარი საშიშარია, მაგრამ მშველელი

კი არის. მე საზარელი ვარ; მე ვეძლევი აუარებელ
ტანჯვას, ჰეშმარიტებას, სიცხალეს და ჩემი უფსკრუ-
ლი არის—სიყვარული.

ჭრანჩესქო. მე შენი არ მესმის. ვილოცოთ. (საკურთხევლის წინ
მუხლებს შოთდრეკს).

ტორგვემადა. ერთხელ, ჩემ სიყმაწვილეში, როცა ეს ტანისა-
მოსი ჩავიცვი, სეგოვის⁸⁰⁾ წმიდა-ჯვრის ეკლესიაში
მე ვნახე ერთი ღიღი ბურთი, რომელიც წარმოად-
გენდა მთელს ქვეყანას, თავისის სახელმწიფოებით,
მდინარეებით, ტყეებით, ქალაქებით, მთებით, თოვ-
ლით, ზღევებით და კუნძულებით, ყოველი ღრე-
კლდეებით, რომელშიაც ირევა აუარებელი ტოში
ადამიანობისა თავის სიბნელეში. მამაო, შენ იცი,
რომ არ არის ხელმწიფე არც ქრისტიანი და არც
წარმართი, რომელსაც ეჭიროს ხელში ბურთი, მე
კი იმ სანახავში დავინახე ქვეყნიერობა; დავი
ნახე ყოველი ხალხი, უკროპა, აჭრიკა, ინდოეთი,
სადაც ცისკარი ამოდის; და ვსოდე: ამათი მფლო-
ბელი უნდა გავხდე! მერე წარმოვსოდე: ეს უნდა
დავიპყრა იესო ქრისტესთვის, რომელიც ხშირად
სიზმარში მეჩვენებოდა ხოლმე. ქვეყანა ზეცას უნდა
გადავსცე. დიახ, მამაო, ეს ქვეყანა თავისის გოდე-
ბით, ომებით, სახელმწიფოებით, თავისის ალიაქო-
თით, საშინელებით—ჩემი ქვეყანაა, ჩემი კუთვნი-
ლებაა, გესმის თუ არა?

ჭრანჩესქო (წამოდგება და ხელს დაადებს მკვდარს თავს). ჩემი
კი—ი ეს არის! ეს არის ნაშთი ადამიანის ბედის-
წერისა; დააფიქრებს კაცს ეს გამოცანა. სიწყვდი-
ადე ამ მკვდარს თავზედ ზეგარდმოფენილი—დუ-
მილშია; ეს გამხმარი თავი—არის კაცობრიობის
უფსკრულის ლოდი; ეს სახე ეხლაც ისე იცინის,

⁸⁰⁾ სეგოვის წმიდა ჯვრის ეკლესია—ისპანიაში.

როგორც თავის სიცოცხლეში იცინდა, თუმცა
თვალები კი ჩამქრალი აქვს; ეს საშინელი რიცე—
ჩვენი საყოველთაო რიცეა; ეს ის ჭიის პარკია, რო-
მელმანც ის იცის, ასაც ჩვენ მოკლებულნი ვართ.
დიახ, ამის თვალებში მე ვხედავ ჩემს სულს მარ-
ტოდ—მარტოს, ვფიქრობ, ვიმედოვნებ და ვბერ-
დები; ვცოცხლობ ამ ორის. თვალის მოწმობით,
ვლოცულობ და ვსჭირებ ამ მტვერს, ამ ნაშთს,
ჩემი ლოცვის მსმენელს—აი ეს არის ჩემი სიმღიდრე
და ესეც მეყოფა მე.

ტორგეგემადა (იქით). ამის მსმენელს, მე ჭიუა განმინათლდა.
ერთხელ, კონსტანტინეგან⁸¹⁾ რომ გვირგვინი დაიმ-
სახურა, ზეცაში მეფის დროშა დაინახა. (მკვდარს
თავზედ უჩვენებს) მე კი აი ამ სასწაულსა ვხედავ;
ამის წყალობით, მეც კონსტანტინესავით, გავიმარ-
ჯვებ. დიახ, ეს წმიდა მწირი უჩვენებს ჩემს დახ-
შულს ჭიუა-გონებას სულ სხვა ნაირს ჭეშმარიტე-
ბას, სხვანაირს ქრისტიანობის ნათელს. დიახ, მე
დავიცვამ ჩემს ბედს და ხელში დავიჭერ! ამ რიგად
ეს ლოდი ნავთ—სადგურს მიჩვენებს და სიცოცხლე
სიკვდილს დასძლევს! გამიგონე, დომინიკმა კარგად
ვერ იცნო ცეცხლის ძალა. ცეცხლი სათაყვანე-
ბელია, სირცხვილი რომ არ იყოს. დომინიკს ქვე-
ყნის დასჯა უნდოდა, მე კი შველა მინდა. ცეც-
ხლი ჩამქრალია, ნაკვერჩხალი უნდა მივუმატო.
ახლა გესმის თუ არა?

ჭრანჩესგო. დიახ...

ტორგეგემადა. მე მინდა დედა-მიწაზედ დავანთო საშინელი
დიდი ცეცხლი, რომელიც დაიხსნის ქვეყანას. მა-
მაო, ამაზედ უკეთესი ფიქრი ჯერ არავის მოსელია.
და სიწყვდიადეში მესმის ქრისტეს სიტყვები: „აღა“

81) კოსტანტინე, — რომის პაპა იყო.

სრულე!, აღისრულე!, მიზანი შენი—შენ გაგამარ-
თლებს, ოლონდ კი იქამდინ მიაღწიე!“

ჭრანჩეს გვა (ტაბლაზე დასდგამს ხონჩით პურსა და წყალს). იმ
წყალი, პური და წაბლი! დაიცხრე შენი წყურვი-
ლი და შიმშილი. რაიცა შეეხება შენ აზრებს, რო-
მლის მიზანი ჩემთვის ცხადია, მე ვილოცავ შენ-
თვის და შევეველები ღმერთს, რომ უწინ შენ
მოგკლას, მანამ შენ პირველს ცეცხლს წაუკიდებდე,
რადგანაც შენი სიკვდილი როგორც თვით შენთვის,
ისე მრთელი კაცობრიობისათვის უფრო სისარგებ-
ლო იქნება, ვიდრე შენი განზრახვა, ჩემი შეილო!

ტორგვემადა (იქით). საცოდავი, დახშული ჭკუის პატრონი. ამ
საცოდავმა წმიდანმა ჩემი ვერა გაიგო-რა.

ჭრანჩეს გვა. ადამიანი სიყვარულისათვის არის დაბადებული.
ადამიანი არის ძმა, მეგობარი ჩვენი. როცა ჭიათუ-
ჰელავს, უნდა იცოდეს რისთვისა ჰელავს. ღვთის
გაჩენილს ჩვენი ჭკუა-გონება ნათლადა ჰელავს;
არც ერთ სულ-დგმულს არ უნდა მოესპოს სიცო-
ცხლე ადამიანისაგან. ხალხს აქვს თავისუფალი
შრომა, მფრინველს — ეწერი და სუყველას კი—
მშვიდობა. არც ბორკილი და არც ძალადობა.
ადამიანი თუ მტანჯავია, მაშინ ღმერთი — მტარეალი
იქნება. სახარებას უპყრია ჯვარი, ყორანს — ხმალი.
ყოველი სიავე, ყოველი სიბოროტე, ყოველი სიმ-
წუხარე — ქვეყნის დახსნას უნდა მოხმარდეს. თავ-
ზარ-დამცემი ხშირად სცდება! თავის დღეში არავინ
არ უნდა დაისაჯოს. სიკვდილით დასჯა ღმერთს
მიეკანდოთ. საფლავი ფარ-ხმლათა გვქონდეს, უჰ!..
რა თავხედობაა. ყოველისფერი — წმიდანია: ბავშვი,
ქალი, მტრედი, ყვავილი, ნაყოფიც; და ვგრძნობ
როგორც იზრდება ეს გრძნობა ჩემს გულში, ეს
დაუბოლოვებული გრძნობა ყოველ დღე, ყოველ
ღამე აქ, ამ მაღლობზედ მდგარი და უფსკრულს ვამ-

სებ ჩემის დაუღალავის გრძნობით. და რაიცა რომის პაპას შეეხება, ჩვენ უნდა თაყვანი ვსცეთ, იმიტომ რომ ჩვენი პაპა. აი, შეკრო, როგორია ჩემი კანონი: მიტევება მუდამ-უამს, იმედი მუდამ-უამს; შეცდომის მონანიება, ლოცვა, ველრება, სარწმუნოება და სი- ყვარული. ამისი ამსრულებელი—დახსნილი იქნება.

ტორგვემადა. შენ მარტო შენ თავს იხსნი! მაგრამ სხვა, მო- ხუცო? ოჰ, მამაო, ყოველ-წამური სულის დაცემა, დღე და ღამე, ყოველს წუთს, ჩავარდნა ჯოჯოხეთ- ში, ბუნებითად დანიშნულს ჭაში, პირ-ლია დაღე- ბულს უფსკრულში; საშინელებაში, ცეცხლში! შენა, შენ კი იხსნი თავსა?! შენ მოსვენებითა სცხოვრობ, კაკალსა სჭამ, კაკალსა, წაბლსა, ისე როგორც ან- სელმი 82) ანუ პახომი 83) ლიბიის უდაბურში და გვონია, რომ ეგა ჰყოფნის ქვეყანას? ეს ამშეიდებს ქვეყანას და ყოველგან მშვიდობაა? სიწყვდიადე, ჯოჯოხეთი, დაწყევლილი და შეჩვენებული სული შენთვის სულ არა ყოფილა-რა, ოლონდ კი შენ იყ- ვე მწოლიარე შენს ჩალაზედ, სჭამდე და სვამდე მარტოობაში! აგრე ხომ ბავშვი სცხოვრობს და არა პატრიარქი! მაშ შენ მოკლებული ყოფილხარ ღვ- თის, მძლავრ სიყვარულსა! მაშ კაცობრიობა შენ- თვის ფუჭი ყოფილა? პირუტყვზედაცა ზრუნავენ და ძალისაც კი ჰკურნავენ! აქ კი ადამიანი არის გან- საცდელში! შენ გული არა გქონია! შენ ცის ძირში სცხოვრობ, ისე როგორც შენ ოთახში. ნუ თუ შენ ვერა გრძნობ რა მძლავრადა ხარ შეერთებული იმ საშინელს, უღმერთოს, გესლიანს აღამიანთან, რო- მელიც ყოველგან დაათრევს თავის გესლს და ჰბა- დავს სხვა და სხვა მრავალს ცოდვებს!- არც ერთი

82) ანსელმი, —ისპანიის ეკლესიის წმიდანი.

83) პახომი, —ისპანიის ეკლესიის წმიდანი.

ამ ცოდვათაგანი შენ არ მოგეკარება! როგორ! შენ შორიდან უცქერი ადამიანს და ვერა გრძნობ, რომ შენი ჩრდილი ეკვრის იმათს აჩრდილს? შენ გულ-ხელ დაკრეფილი ხარ და ხელს იბან? შენ ფსალ-მუნებსა ჰგალობ? შენ ხომ ამ ტაბლასა და მაგ-საკურთხეველს შეუ დადიხარ დაუღალვად, უგზო-უკვლოდ! ეგ ხომ შენი განცალკევებაა, თავ-მო-კვარულობაა! როდისაც ყოველისფერი იქცევა და ირლვევა, როდისაც ყოველისფერი იღუპება, აი მა-შინ იქ არის შენი მოვალეობა, მოხუცო, მოვალე-ობა შენი ხალხშია! მაშინ არის შენი მოვალეობა უზომნ, შეუწყნარებელი, შეუწყალობელი, რო-მელიც ალავსებს სვინდისს საშინელის ფუთფუთით. მოვალეობამ მონასტერს უნდა დაგაშოროს, ხელი უნდა აგალებინოს შენს უდაბნოზედ და უნდა შე-მოგძახოს: „მიღი. შველა მიეცი! ხალხზედ იზრუნე! კაცობრიობაზედ იზრუნე! ნუ გძინავს! ეს უსუსურ-ნი, ოჭ ღმერთო, ცეცხლში დასაწვავად განწირულ-ნი არიან! ყველა: მოხუცნი, ქალნი, კაცნი, ცოლ-ნი, ქმარნი, ყველანი განწირულნი არიან სოდომში⁸⁴⁾ ტანჯვას! მიღით, კეტებით დაიხსნით და ძალით შეიყვანეთ სამოთხეში!“—აი, მოხუცო, აი რი-სთვისა ვართ ჩევნ დედა-მიწის ზურგზედ. შენი კა-ნონი—სინათლეა, ჩემი—საიდუმლო! შენ ხარ იმე-დო, მე კი—მშველელი. მე ღმერთსა ვშველი. (რამ-დენიმე ხანია, რაც ერთი კაცი აშათ ლაპარაკს უკრს უგ-დებს. ხელში უქირავს მთნადირის შუბი და უეზზედ ჯვარი ჭეიდია. მთნადირის ტანისამთსშია ჩაცმული, ოქრთ ნაქსოვში; თავზედ ჭეურავს მაღალი ოქროს ქუდი, სამ-წუება შარგალიტებით. ქამარზედ—ბუკი ჭეიდია, რქისა; ტრანგვემადასი და ტორგვემადასი ბოლონდელი ბაასი მო-

⁸⁴⁾ სოდომი,—იგივეა, რაც გომორრა. იხილე ეს სიტყვა.

ისშინა და სარჩაოებს. ტორგვემადა და ჭრანჩესკო მთი-
ხედავენ.)

მესამე სანახავი.

იგინიგე და მოანადირე

მთამადირე. გეფიცებით, შვილნო ჩემნო, რომ ჩემს მემუსიკეთ
ისე არ გაუმხიარულებივარ, როგორც თქვენ. ყურს
გიგდებდით დიდის სიამოვნებით. ორივენი რეგვენე-
ბი ხართ. იქ ვიყავი, ქვემოდ, ვნადირობდი. ავიდე
ერთი, ეს უცნაური ბერი ვნახო მეთქი! უნდა გი-
თხრათ, რომ ძალიან გამაცინეთ! თქვენ ორივენი
მართალი რომ ყოფილიყვით, სიცოცხლე ხომ გა-
გვიჭირდებოდა. (თრივეს შიუახლოდება; ხელებს გულ-
ზედ დაიკრეფს და თრივეს დაცქერდება. ერთს ნაბიჯს
გადასდგამს ტორგვემადასგენ.) ტორგვემადა! მე შენ
გიცნობ. დაიკარგე აქედან! წადი შენ სახლში! შე-
ნი თხოვნა მივიღე და ნებაც მომიცია. წადი, ჩემო
შვილო! შენი აზრი დიდია, მაგრამ მე კი მაცინებს.
დაბრუნდი ისპანიაში და ჰქმენ, რაცა გწადიან! ებრა-
ელების სამფლობელო მიჩუქებია ჩემის ძმის-წულე-
ბისათვის. თქვენ, შვილნო ჩემნო, ბაასობდით იმა-
ზედ, თუ რისთვის არის დაბადებული ადამიანი. ორის
სიტყვით აგიხსნით ამას, დამალვა რა საჭიროა?
განცხრომა—სიცოცხლეა! ძმანო, ამ ცხოვრების
იქით ვერაფერს ვერა ვხედავ, და ამ ცხოვრებაში
კი—ვხედავ მარტო ჩემს თავს. ყოველი ადამიანი
ჰქედავს ერთსა და იმავეს. (ჭრანჩესკოს) შენ—ლო-
ცვას, მე—განცხრომას!

ტორგვემადა (სან ერთს შეჭრედავს სან მეორეს). ორივენი თა-
ვიანთ-თავის მოყვარულნი არიან.

მთანადირე. შემთხვევამ ნაცარი ალლოს შეურია. ეს შე-
რევა—ადამიანია. და რადგანაც მეც იმავე მა-
სალიდან ვარ შემდგარი, როგორც თქვენ, ამიტო-
მაც მე დიდი ბრიყვი ვიქნებოდი, რომ არ მესარ-
გებლნა წუთიერის სიხარულით, რომ კბილები არ
ჩამეჭიდნა სიამოვნებისათვის, რომ ყველაფრით არ
მესარგებლნა, რაიცა რომ სწრაფ-მორბედია. მე ვსარ-
გებლობ იმითი, რასაც ეძახიან შეცდომილებას და
რასაც ეძახიან—ბიწიერებას... მე მინდა ვარსებობ-
დე. აბა ჰეკითხეთ არწივსა, ძერასა, ორბსა, აქვს უფ-
ლება, რომ სხვის ხორცსა ჰგლეჯავს და იცის თუ
რომელ ბუღიდან იტაცებს თავის მსხვერპლს? ჩაგი-
ცვამთ, ზოგს თეთრი და ზოგს შავი სამოსელი და
გვონიათ, რომ სისულელის ჩადენის უფლება გაქვსთ,
თრთით და თვალებსა ჰხუჭავთ უზომო ბეღნიერების
წინაშე, რომელსაც ეს სულელი ქვეყანა თქვენ გა-
ძლევთ! არა, ცოტა ქეუა უნდა ვიხმაროთ; ვისარ-
გებლოთ დროთა-ვითარებით. რადგანაც სიკვდილს
იქით, ანუ შემდეგ აღარა არის-რა, კარგათ ვიცხოვ-
როთ! ნადიმის ქერი ჩამოიქცევა ზოლმე და ნანგრე-
ვებად გარდაიქცევა. ბრძნის გული ცეკვით საფლავს
მიაღწევს. მომეცით მე ჩემი ნადიმი. დღეს თუ სა-
ჭიროა, რომ სხვისი საჭმელი საწამლავით შეზავდეს,
დიახ—ძალიან კარგი და პატიოსანი, აგრე იყოს!
რა ხელი მაქვს სხვის სიკვდილთან! მე ვცოცხ-
ლობ; მე მშია, მე ვარ გაუმაძლარი, ვნებით სავ-
სე, ყოვლის მცირდნე. სიკვდილი მინდა დავიკი-
წყო. დიახ, მზად ვარ გადავჰყლაპო მთელი ქვეყანა
ისე, როგორც ლელვს გადავყლაბავ. ცოცხალი, მე
ვისწრაფი სიამოვნების ჩაგემებას—მკვდარი კი მე — გა-
ვქრები.

ჭრანჩესქო (ტორკვემადას). ვინ არის ეს უკეთური, ეს არ-დასა-
ცალებელი, ეს მეღვარი ესა?!

ტორკვემადა. მამაო, ეს არის რომის პაპა!

კოცე უიფიანი.

(შემდეგი იქნება)

გებრძოლი

(აშბავი ბურ-ინგლისელთა ოშილან)

შესწყდა სამხრეთ-აფრიკის ომი, ბოლო მოელო (დროებით მაინც) ამდენ ხალხის ულეტას, მშვიდობის მოყვარე ხალხის ნაოფლარის ნაცარტუტებას. გამარჯვებული (სახელით მაინც) ძლიერი მტერი გამოვიდა. მაგრამ თვით სახელი ბურებისა, ამ ერთ მუჭა მხვნელ-მთესველ ხალხისა, რომელმაც გოლიათ ინგლისს, მასზე ას გზის უპირატესს როგორც ჩიცხვით, ისე ქონებით, შეჰებდა და პირში შეება, რათა თავისი ოფლიათ მორწყული მიწა-წყალი, თავისი მამული დაეცვა, ვამბობთ, სახელი ბურებისა ისტორიაში სამახსოვროდ დარჩება. ისტორია არ დაივიწყებს სახელს ბურებისას, როგორც უებრომეომართა, უზომოდ კეთილშობილთა, ქველთა, თავის საშობლოსათვის თავდადებულთა.

მთელი განათლებული კაცობრიობა გულის ფანცქალით მოელოდდა ამ უსწორო ბრძოლის გათავებას, ყველას აღონებდა ცად ამავალი გოდება უმანკო მსხვერპლთა. თუ აკტიურად არა, პასიურად მაინც სიმპატია ყველასი ბურებისაკენ იყო მიმართული. იმდენი ზანაგრძნობა ბურებისადმი არც ერთს ქვეყნის პრესაში არ გამოთქმულა, როგორც საფრანგეთისაში. აი, ახლაც ეს არის დაიბეჭდა ფრანგულად ერთი გულგამგმირავი ამბავი ბურთა ბრძოლისა, აშბავი, რომელიც ერთი-ლა ნაკვთია იმ უშველებელ და გონების თვალით წარმოუდგენელის დრამისა, ამ ორ წლი-ნახევრის განმავლობაში სამხრეთ-აფრიკაში რომ გრძელდებოდა. ამბის დასასრული ეხება სწო-

რედ იმ ღროს, როცა ომი თითქმის გათავდა და ზავი ჩამო-აგდეს კიდეცა. ვიცით რა, თუ რა გულის-ძერით აღვნებდნენ თვალყურს სხვებთან ერთად ჩვენი მკითხველებიც ამ დაუსრულებელ დრამას, გვსურს გავაცნოთ ეს დრამა, რომელიც თვალწინ გვიყენებს ამ მამაც ხალხის თავგანწირულ ყოფას სამშობლოს დაცისათვის ბრძოლის დროს.

ტრანსვაალის ჩრდილოეთით, ალბასინიდან 35 მილზე, მეტად ნეკოუფიერი ველი დევს. შუაში ჩამოუდის კოპტია ნაკალული, გარშემო წამოზიდულ მთებიდან ჩამომდინარი. ველის შუაგულს გაშენებულია საუცხოვოდ მოვლილი ფერმა, თვალი მთელის ტრანსვაალისა. ფერმის გვერდით წყალია შეგუბებული. ამ გუბესა და ფერმას ათას გვარი ხეები თავს დასკერის საამოდ. საუცხოვო მდებარეობა აქაურობისა აღამიანის თვალსა ხიბლავდა. სწორედ ედემი იყო, უდაბნოში გაშენებული.

ფერმა პირ ბოტამ (ბურთა განთქმულ მხედარმთავრის ლუი ბოტას ნათესავმა) გააშენა ამ ორმოცის წლის წინად. ყველაფერს მშრომელ-პატრონის ხელი ეტყობოდა, ლვთის თვალი შიგა ტრიალებდა. იმის წყალობით, რომ ფერმა ბრძოლის ველზე ძალიან დაშორებული იყო, ამ უკანასკნელ ხანამდე ფიქრად არავის მოუფიდოდა, რომ ინგლისელები აქაც მოვიდოდნენ.

ფერმაში მშვიდად და უშფოთველად სკხოვრობდნენ. მომავალის დარდი რომ არა ჰქონოდათ, მათზე ბედნიერნი ცის ქვეშ არავინ იქნებოდა.

ომი ასტყდა თუ არა, მოხუცმა ბოტამ, თითქმის ოთხმოც წელს მიტანებულმა, თავისს შვილს ანრის უთხრა: „ხომ ხედავ, შვილო, მეტად მოვიყარე! ახლა არ შემიძლია, როგორც მაჯუბის ომის დროს, წინ გაგიძლვეთ. რიგი შენია, გაუძლვე შენს შვილებსა და მსახურთ, ვინძლო მამული ადიდოთ. მე კი შინ დავრჩები შენს მოხუც დედასა და შენს ქალიშვილ ვილ-ჰელმინასთან ერთად. და თუ ვინიცობაა, ინგლისელები გვეწვივნენ, მაშ ბოტა არა ვყოფილვარ, თუ ჩემი სიცოცხლე იაფად დავუსვი!

ანრის დაღონება არც კი დასტუკობია სახეზე და მოემზა-
და წასასვლელად. შინ დასტოვა მოხუცებული დედ-მამა და
თავისი ქალიშვილი, თექვსმეტის წლის ვილჰელმინა, რომლის
შშობიარობას დედა მისი ზედ გადაჰყვა. თან წაიყვანა თავისი
სამი ვაჟი და სამიც თეთრკანიანი მსახური. შავკანიანები კი
შინ დასტოვა. ესენი ნახევრად ველურები იყვნენ, მაგრამ თა-
ვიანთის ბატონის ჭირს არ იგდებდნენ.

ორმოცის წლის ანრი ბოტა ნამდვილი, ტიპიური ბურია.
მისს ვაჟკაცურ სახეს შავი წვერი და შავივე თვალები მეტად
უხდება. ჩასხმული, ვეფხვივით მარდი ერთთავად ცხენზე ზის,
თოფ მხარზე გადაგდებული. მისი შვილები ერთი 25 წლისაა
მეორე—23-სა და სულ უმცროსი—19-ისა. სამნივე ლირსეულნი-
შვილნი იყვნენ თავიანთის მამისა და სიხარულით მოისმინეს
ის ამბავი, რომ საბრძოლველად უნდა წასულიყვნენ.

როდოლფ დუმონიც, უფროსი მსახური და თავმდგმური
ყანებისა, თავისს ბატონს მიჰყევებოდა და მიუძლვებოდა სხვა
სამს მსახურს. ერთის მხრით უხაროდა—ინგლისელებთან ჩემს
ვაჟკაცობას გამოვიჩენო, მაგრამ ამავე დროს ვილჰელმინას მო-
შორება მისს ბედნიერებას ნალვლის ლრუბელს აფარებდა.

როდოლფის დედ-მამა ფრანგები იყვნენ და ალბასინიდან
20 მილის სიშორეზე სცხოვრობდნენ. ბოტას ოჯახში მოსამ-
სახურედ დადგა, მაგრამ ნამდვილად კი ვილჰელმინას სიყვა-
რულმა აკისრებინა ეს ხელობა. ქალვაჟისათვის სამყოფი იყო, თვა-
ლიდა მოეკრათ ერთმანერთისათვის, რომ სიყვარულის ალი
მოსდებოდა მათს ნორჩს გულს. დრო სანეტაროდ გარბოდა
როგორც ერთისა, ისე მეორისათვის. ერთმანერთს თითქმის
იშვიათად ხვდებოდნენ, ერთიც და მორეც თავთავის საქმეს
ერთგულობდა; საალერსო სიტყვა რა არის, იმასაც არ ეუბ-
ნებოდნენ ერთმანერთს, მაგრამ ლაპარაკი რა საჭირო იყო,
როცა თვალებით კითხულობდნენ პასუხს ერთურთის გული-
სას. მშვენიერებით, კეთილშობილებით და უმანკო სიყვარულით
აღსავსე გულისას.

ვილჰელმინას თექვსმეტი წელი უსრულდებოდა. ცხელ ქვეყნებში ქალი მაღვე იყრის ხოლმე ტანს. ტანადი იყო, საკმაოდ ღონიერი, ლამაზ ქერა თავს მუქ-ლაუგარდი თვალები უმშვენებდა. ცოტა მოდიდო ბაგებზე ერთავად ალექსიანი ღია მი უთამაშებდა; მთელის ტანის აგებულება მისის ხასიათის სიმტკიცეს მოწმობდა . ყველას ხიბლავდა გოგონა, ყველას ტყვედ ჰქმნიდა, როდოლფს ქალი უყვარდა და ქალსაც როდოლფი, ისე, როგორც ოცის წლის ქალს ვაჟის შეყვარება შეუძლია აფრიკის ცხარე მზის გავლენით. ბურთა მშვენიერ ხალხის ამპარტავნობა და მათი კეთილშობილური გული რომ არა, ძალიან საფრთხილო იქმნებოდა ახალგაზდანი ასე თავისუფლად გაეშვათ. მაგრამ მათში ქველობა, და პატიოსნება მემკვიდრეობითია ხოლმე, და თუმცა ერთურთის სიყვარული ცეცხლის ალსავითა ჰქონდათ მოდებული; მათს გულში უხამსი ფიქრი ერთხელაც არ ჩასახულა. ასეთია ღონიერ და ტანმრთელ ადამიანთა წესი: მათ არ იციან, რა არის გავლენა ღაავადებულ ტვინისა, ნერვები ყურმოჭრილ მონასავით რომ ჰყავს ხოლმე. ასეთი ადამიანნი თავიანთს ბედნიერებას არა მწიკვლავენ, ჩირქს არა სცხებენ, არამედ დამშვიდებულად სტკბებიან მთელის სიტკბოებითა, ყოვლად აღმაღლებული გრძნობა-სიყვარული რომ იძლევა ხოლმე.

არა-ადამიანებრივი ძალა დაატანეს, თავის თავს გამოთხოვებისას. მართალია, გული ეთანაღრებოდათ ნაღვლითა, გარნა სახეზე მაინც ენერგიულ სიშვიდეს აღმოიკითხავდია. დიდხანს ჰკოცნიდნენ შინ დამარჩენნი და საომრად წამსელელნი ერთმანერთს. ბოლოს, პატარა რაზმი, მშვენივრად მორთულ-მოკაზმული, შეიარაღებული, საუკეთესო ცხენებზე შემსხდარი, გზას გაუდგა. რომ დიდხანს ეყურებინათ სახლის ზღურბლზე მდგომთათვის, რომელნიც შორით კოცნას უგზავნიდნენ მამულის სახსნელად და შეიძლება სასიკვდილოდაც მიმავალო, მხედართ ნაბიჯით მიჰყავდათ ცხენები.

ოთხის დღის უკან ანრი ბოტა და მისი რაზმი გენერალ დელარეის შეუერთდნენ. ერთმანერთზე უკეთესი, რჩეული და

ლონიერი მეომრები რომ დაინახა, გენერალმა თავი ვერ შეი-
მაგრა თავისი კმაყოფილება არ გამოეცხადებინა. ანრი ბოტა
ფელდ-კორნეტად დანიშნა და ჩრდილოეთიდან მოსულ სხვა
ბურებთან ერთად სამხრეთისაკენ გაგზავნა იქ, სადაც გენე-
რალმა კრონიემ კაპის საზღვარი გადალახა. სწორედ იმ დროს
მივიღნენ დანიშნულ აღგილას, როცა გლენზოესა და ვრ-
ბურგში ბრძოლა იწყებოდა.

ბედი უღიმოდა მამაც ერთ მუჭა ხალხს, რომელმაც თა-
მამად შეუშვირა გული მთელს მსოფლიოში ძლიერსა და უუმ-
დიდრესს ინგლისს, დიახ ყველაზე ძლიერს, მაგრამ ამასთანავე
ყველაზე მუხანათ ერს. 31 ოქტომბერს ბურთა ჯარმა მეტად
გაიმარჯვა ინგლისელებზე. ამ უკანასკნელთ, სანამ პირში სული
უდგასთ, არ დავიწყდებათ ეს დამარცხება.

დამარცხდნენ ინგლისელები ლედისმიტანაც, ასე რომ ამ
ქალაქის გარშემო დაჭრილ პოზიციებზე ხელი უნდა აეღოთ.
ბურებმა მტრებს მთელის 6 მილის მანძილზე დაახევინეს უკან და
ინგლისის მხედრობა მთლად ამოწყვეტას მხოლოდ ღამის სიბ-
ნელებმ გადაარჩინა. მარტო ამ დღეს დააკლდათ ინგლისელთ
3,500 კაცი მოკლული, დაჭრილი თუ დატყვევებული, როგორც
ეს ლონდონში თავისს მთავრობას აუწყა გენერალმა ვიტემ.

თუმცა მანძილი დიდი იყო გასავლელი, მაგრამ თვეში
ერთხელ ანრის ერთ-ერთი ვაჟი ან როდოლფი მოდიოდა ხო-
ლმე ფერმაში დარჩენილთა სანახავად. რა თქმა უნდა, მიხვდე-
ბით, რომ როდოლფს ხვეწნა არც-კი სჭიროდა იქ წისასვლე-
ლად. გზის შესამოკლებლად პრეტორიამდე მატარებლით ჩამო-
ვიდოდა ხოლმე, იქიდან კი ცხენით ადიოდა. ვიღლჭელმინას
აღდგომა უთენდებოდა, როცა თავისს სალოცავს დაინახავდა.
ისიც მოუყვებოდა თავის თავ-გადასავალს და თანაც დაუსრულე-
ბლივ უკოცნიდა მშვენიერ თვალებს, ნეტარებისაგან გულამომ-
ჯდარი.

მაგრამ ეს ბედნიერება, სულ ბევრი, ორს დღეს გასტან-
და, მეტს არა. როდოლფი მხედრის მოვალეობას მიჯნურის
მოვალეობას უმორჩილებდა:

ინგლისელები კი ამ დროს გაჩენის დღეს იწყევლიდნენ. ლელისმიტს, კიმბერლეის გარს მტერი ერტყა და თავგანწირულის ბრძოლის შემდეგ მე-18 უსართა რაზმი თავიანთის ლეიტენანტ-კოლონელითურთ და ტყვევებულ იქმნა. ინგლისელთ ისეთი დღე დაადგათ, რომ თავიანთს დაჭრილებსაც კი თავი დაანებეს.

მოდერ-რივიერთან, მაგერს-ფონტეინთან ინგლისელნი ისევ იქმნენ ძლეულნი და ბრძოლის ველზე ოთხი ათას კაცზე მეტი დასტოვეს.

ასეთი სირცხვილი როგორ გვაჭამეს ბურებმაო და შურისა-ძიებლად ინგლისელებმა ისეთი გულქვაობა და სიმხეცე გამოიჩინეს, რომ მთელს მსოფლიოს გული შევზარა მათმა საქციელმა.

ზედი-ზედ დამარცხებამ ინგლისის ჯარისამ ლონდონში ხალხი ძალზე აღაშფოთა. ინგლისის ერის ნაძირალა დაიქირავეს საშინელ ფასად, დღეში თითო კაცი სამ-ოთხ მანეთად, და ფიცხლავ გაგზავნეს ბრძოლის ველზე. მოკლე ხანში მთელს სამხრეთ-აფრიკას შეესია 200,000 მეტი მეტრძოლი. ბურებს არ შეეძლოთ. ირისპირ შებმოდნენ ამ ზღვა ჯარს, ბრძოლის პირობები მეტად უსწორო შეიქმნა, და გადასწყვიტეს სათარეშო ომისათვის მიემართნათ. თვით ქვეყნის მდებარეობაც მეტად ხელს უწყობდა ასეთს ბრძოლას, განსაკუთრებით კაპის ჩრდილოთ, ორანჟეს და ტრანსვაალში. აქაური ჯაგნარები გაუვალია, ხოლო მთები ხელს უშლიან ინგლისის მხედრობას ბურთა რაზმებს ქვალ და კვალ სდიოს ხოლმე. ბურები კი თავიანთის პატარა ტანის და ხედნის ამტან ცხენების შემწეობით ყოველგვარ დაბრკოლებას და გასაჭირს აღვილად სძლევდნენ ხოლმე. მეტი გზა არ არის, — ამბობდნენ ბურები, — მტერს მოულოდნელის თავდასხმით საქმე გავუჭიროთ, ველიტოთ მათი დარაჯები, ჰაერში. ვათეთქოთ მატარებლები, მათის კარგის საჭმელებით თავი ვიკვებოთ და თბილ ტანისამოსით ტანი შევიმოსოთ, — სულ ერთია, მათი მეფე ედუარდ VII ყველაფერს უხვად ჰერცოგნისო.

აი, ამ გზას დაადგნენ ბურები ეს ორი წელიწადია და დღემდე საქმეც კარგად მიუდიოდათ.

ინგლისელებმა შესვენება რა არის, არ იციან; იძულებულნი არიან გადალახონ ხოლმე განუზომელი. მანძილი და სულ მუდამ კი უნაყოფოდ. ქანც-მოლეულნი ავადა ხდებიან აქაურის ცივებით, მუცელათი. ავადმყოფობაც კი ბურებს ეხმარება, როგორც მარტინი-ანრის თოფები.

ანრი ბოტა თავის კაცებით კარგა ხანს იღებდა მონაწილეობას „დაუჭირელ“ დევეტის რაზმში. აქ მრავალგზის ისახელა თავი ვაჟკაცობით და მისის წყალობით არა ერთხელ მოითხეს ხელი ინგლისელთა სურსათით. ერთ ბნელ ღამეს როდოლფი მიწაზე გაერთხო, ბობლევით გაიარა მტრის. დარაჯთა შორის, ნაღმის კარტუჩი რკინის გზის ჩელსებზე დასდო და სურსათით დატვირთული მატარებელი ჰაერში ააფეთქა. ბურთა რაზმი ნახევარ მილის მანძილზე იყო დაბანაკებული. აფეთქების ხმა გაიგონეს თუ არა, დაუყოვნებლივ იქ გაჩნდნენ და საჭმლით, საცმლით და ფულით დატვირთულნი დაბრუნდნენ. სანან წავიდოდნენ, ცეცხლი წაუკიდეს ცველაფერს, რის წალებაც კი ვერ შესძლეს.

გენერალმა დევეტმა გულწრფელად უქო როდოლფს სიმარჯვე, ამხანაგებმა და ანრიმ გადაკოცნეს,—ეს იმისათვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ბრძოლის დროს ერთი ამხანაგი მოუკლეს და ანრის უმცროსი ფაუიც მძიმედ დაუჭრეს; მაგრამ დაჭრილი მალევე მორჩა.

ამ ხნის განმავლობაში ინგლისის ჯარები ჩრდილოეთისაკენ იწევდნენ. პრეტორიის აღების შემდეგ სასწრაფო რაზმები მთელს მხარეს მოედვნენ და ბურებს სდევდნენ, თუმცა-კი ამაოდ, ხელში ვერსად ჩაიგდეს.

როცა გაიგეს, რომ ინგლისელები ჩვენის ფერმისაკენ მიღიანო, ანრი, მისი შვილები და მათი კაცები დაეწივნენ იმ რაზმებს, რომელნიც ჩრდილოეთით დელარეის წინამძლოლობით იბრძოდნენ. ეს გარემოება მათ ნებას აძლევდა დროგამოშვებით. ენახათ ხოლმე თავიანთი მშობლები. და როდოლფს

კიდევ—თავისი დანიშნული, და ამ გვარად ახლოდან ყური ეგდოთ თავისიანებისა და თავის სახლ-კარისათვის.

ფერმა სურსათის საწყობად გადაქციეს. რასაც კი ინგლისელებს ართმევდნენ: საჭმელ-სასმელს, ტანისამოსს, თოფის წამალს, პატრონებს და სხ., ყველაფერს სახლის სარდაფებში ინახავდნენ და ყოველსავე ამას დარაჯად მოხუცი. ბოტა უდგა.

ერთ დღეს ინგლისის რაზმი იმ მიღამოებში მოხვდა. რაზმის უფროსშია სერიდან თავის საზღვაო დურბინდით შენიშნა, რომ ხეებ შორის ადამიანის ბინა უნდა იყოს დამალულიო. გადასწყვიტა მზვერავები გაეგზავნა ამბის შესატყობად. ჩვენის ამბის დრამატიული ნაწილიც აქედან იწყება. ერთს ნაშუადლევს რაზმს 125 კაცი ჩამოეცალა და წამოვიდა იმ ველის დასათვალიერებლად, სადაც ბურები შეამჩნიეს ეს ბურები ანრი და მისი კაცები იყვნენ, რომელთაც დელარეიმ ორმოცამდე სხვა ბურებიც აახლა, რომ ინგლისელთათვის ზურგიდან მოსვენება არ მიეცათ და თუ შესაძლებელი იქნებოდა, რამდენიმე ურემიც წაერთმიათ, ან რამდენიმე კაცი მოეკლათ. განსაკუთრებით დავალებული ჰქონდათ, მტერი იმ ადგილას მიეტყუილებინათ, სადაც გენერალის რაზმი უცდიდა, მარჯვე ადგილს დაწყობილი.

II

სამწუხაროდ, ოფიცერს, რომელსაც ფერმის დაზვერვა ჰქონდა მინდობილი, ომი სრულებით არა სწადდა და იმის მაგივრად, რომ ბურებს გამოსდგომოდა, არჩია თავის ჯარისკაცებთან ერთად გაესეირნა. „ხვალ რომ დავბრუნდები,—ამბობდა თავისს გულში,—უფროსს ვეტყვი, ვერავინ ვიპოვე-მეთქი“. იარა ალალბედზე და თავს კი წაადგა იმ სერს, ფერმას რომ დაჰყურებდა. „სწორედ იღბალი მქონია,—სთქვა ისევ თავისს გულში რფიცერმა,—ცის ქვეშ წოლას, ის არა სჯობია, აქ დავისვენოთ! ამაღამ მშვენიერი მასპინძელიც ვიქნებით: კარგი ბინა გვექნება, კარგი საჭმელ-სასმელი და შეიძლება სხვა რამეც“...

რაზმს პირდაპირ ფერმისაკენ გაუძლვა და ბინდისას უკვე ხუთასიოდ ნაბიჯის მანძილზე იყო.

სიფრთხილეს თავი არა სტკივაო და წინდაწინ ერთი სერუანტი გაგზავნა ამბის გასაგებად, თან ათიოდე კაციც გაატანა. შეიტყეთ, უხიფათოდ შეგვიძლია მანდ მოვიკალათოთ თუ არაო, თოფის შიში ხომ არსაიდან იქნებაო?

მოხუცი ბოტა, ეს ორი საათია, ყოველს მათს ნაბიჯს სულგანაბული თვალ ყურს ადევნებს. სხვენზე აცოცდა და იქიდან ყველაფერსა ხედავდა. თავის ქვეყნის მტრების დანახვაზე მისი მოხუცებული სისხლი ბრაზმა აიტანა. გადასწყვიტა თავისი სიცოცხლე ძვირად დაესვა მტრისათვის. მისი მოხუცებულივე მეუღლე, ქარებისაგან დახუთული, ლოგინში იწვა. მაგრამ ბოტას მხარში ედგა კარაბინით შეიარაღებული ვილჭელმინა.

სერუანტი და ჯარისკაცები ას ნაბიჯზე მიუახლოვდნენ თუ არა, მოხუცმა პაპამ თავისს შვილი-შვილს უთხრა: „კარგად ამოიღე ნიშანში და ესროლე!“ ეს თქმა იყო და თვითონაც ოთხჯერ ზედიზედ დასცალა თავისი თოფი. ოთხი ჯარისკაცი ძირს დაეცა. ამხანაგებმა მაშინათვე ზურგზე მოიკიდეს დაჭრილები და საჩქაროზე თავს უშველეს. მოხუცი და ვილჰელმინა ერთმანერთს გულში ჩაეკვრნენ და ღმერთს ვედრება დაუწყეს, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უფრო რიცხვმრავალი მტერი მოსვლას არ დაიხანებსო.

სიკვდილს გადარჩენილები უფროსთან მივიღნენ გულებდახეთქილნი. ოფიცერმა ერთხანს უკან დახევაც კი დააპირა. მერე სერუანტს ჰკითხა, შენის ფიქრით მტერი რამდენი იქნება, ან თუ მოვერევით?

— მოვერევით! — უპასუხა სერუანტმა. ეტყობოდა, უფროსზე მამაცი იყო. — მხოლოდ რამდენსამე რაზმებად უნდა გავიყოთ და რამდენისამე მხრიდან დავუშინოთ ტყვია ფერმას. არა მგონია, ၃—၆ კაცზე მეტი იყოს შიგა, თორემ უკან გამოგვიდგებოდნენ.

— მართალი. ხარ! — უთხრა ოფიცერმა, — დავიცადოთ, სანამ კარგად დალამდებოდეს.

სანამ ქართველი ამ ლაპარაკში იყვნენ, დაჭრილნი გულშემზარვად შეკვენესოდნენ და ჰგმინავდნენ. მათი ამხანაგები ავადთუ კარგად ჭრილობას უხვევდნენ. ერთს თეძოში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, მეორეს, უფრო მძიმედ დაკოდილს, — მუცელში, და იმის გადარჩენის იმედი არავისა ჰქონდა.

ყველანი დროებით მწვანეზე დაწვინეს და ყურის-მგდებლად ერთი კაცი მიუჩინეს. დანარჩენები სამ ჯგუფად გაიყვნენ და ფერმისაკენ გასწიეს. ვერც კი მოეფიქრებინათ, რომ ფერმას დამცველად მარტო მოხუცი და მხსი შვილიშვილი ჰქავდა. რომ დაღამდა, რაკი ვერავინ დაინახა, მოხუცა ბოტა ვილჰელმინასთან ერთად ძირს ჩამოვიდა. გაამაგრეს ეზო და ლოდინი დაიწყეს. მას შემდეგ, რაც სხვენიდან მტერს თოფები ესროლეს, ერთი საათი გავიდა. ეზოში აშვებულმა ორმა, ნაგაზმა, რომლებისაც საცოდავთ ცოტა არ იყოს იმედი ჰქონდათ, გვიშველიანო, საშინელი ყეფა ასტეხესა ეზოს კარმა გრიალი მოილო, ნაგაზებმა უფრო მოუხშირეს ყეფას. ამ დროს დაიცალა ორი თოფი და სიჩუმე ჩამოვარდა: ორივ მყეფარი მოკლულ იქმნეს.

მოხუცს გულმა უგრძნო, განსაცდელის წამი დადგაო, და თავისს შვილიშვილს უთხრა: „ჩემო ვილჰელმინა, მაკოცე, შვილო, საცაა ერთად შევიყრებით საიქიოს“. მერე ზეცად ალაპყრო თვალნი და უფალს შეავედრა თავისი მამული.

როცა სახლის კარი შემოლეწეს მტრებმა, მოხუცმა თოფს დაავლო ხელი, მაგრამ დაცლაც - კი ვერ მოასწრო, ისე ორმა ჯარის კაცმა ხიშტებით ტანი დაუცხრილეს. ვილჰელმინას თავზარი დაეცა ამის ნახვაზე და ბნელი ოთახის კარს ეძგერა. მაგრამ ამ დროს მისის დადედის ოთახიდან ხუთი ჯარისკაცი გამოვარდა და უმწეოდ დარჩენილს ქალს ხელ-ფეხი შეუკრეს.

ოფიცერმა გულდასმით დაათვალიერა სახლის სარდაფი, სხვენი, თავლა, ბოსელი, და როცა დარწმუნდნენ, რომ კა-

კი არსადაა დამალულიო, ინგლისელები იქაურობის რბევას შეუდგნენ. ვილჰელმინა თავისს ოთახში დამწყვდიეს. ისე წაიხსნეს აღვირი, ისე გულქვად იქცეოდნენ, რომ ყოველივე მხოლოდ იმას შეუძლია წარმოიდგინოს, ვისაც ომი უნახავს. ჯარისკაცთ სარდაფიდან ლვინო, ლორი და ყოველგვარი სანოვაგე ამოიტანეს, ყოველივე, რაც კი ანრის რაზმსა ჰქონდა მოტაცებული და აქ შენახული. ველურ კაფრთა საქციიელი მათს ქცევასთან მონავონი იყო. სასმელებისაგან შესურებული ხმა ხმაურობით იქაურობას აყრუებდნენ.

საცოდავს ტყვე-ქალს გული ელეოდა შიშისაგან. ცოტ-ცოტათი გონი მოიკრიფა, გაითვალისწინა, რა დღეშიაც იმ-ყოფებოდა, წარმოუდგა თავისი საცოდავი პაპა ხიშტებით განგმირული და ძირს უსულოდ გაგორებული; მტერმა არ შეიბრალა მისი დიდებიაც და ისიც მოკლულ იქმნა უსულლერ-თოდ. საცაა, მეც მათი დღე დამადგებაო. ვაგლახ, საბრალომ ის კი არ იცოდა, რომ ბედი უარესს დღეს უქადიდა.

გალეშილ ჯარისკაცთა ლრიანცელი მისწყდა. ყველანი ძირს ჩაეშვნენ, რომ აღვილად ესვათ. იქიდან უარესი ყვირილის ხმა ამოისმა.

ვილჰელმინა მონასტერში არ იყო გაზრდილი. ამიტომ არ აკლდა არც საღი ჭიუა და აღარც მახვილი გონება... იფიქრა, სასმელებისაგან მთლად თავტანს რომ დაჲკარგავენ, იქნება მოვატყუო ამ მხეცთა დარაჯები და ტყვეობიდან როგორმე თავი ვიხსნაო. ჯერ სცადა ჩამოეგდო კარი, საიდანაც პირდაპირ ეზოში შეეძლო გასულიყო. მაგრამ ამ დროს კლიტეში გასაღები გაეყარა და მის წინ ოფიცერი გაჩნდა.

— ჩემო კარგო,—უთხრა ქალს ალერსით,—სამხედრო კანონი ხანდისხან მეტად ულმობელია ხოლმე, მაგრამ მაინც, პირველად თქვენ რომ არ გესროლათ, თქვენცა და თქვენი მშობლებიც თავისუფალნი იქმნებოდით. ძალიანა ვსწუხვარ, რომ ძალა ვიხმარე, მაგრამ რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის.

— ბატონო,—უპასუხა ამაყად ქალმა,—ტყუილადა გგონიათ, რომ ბურების ფერმებში ისე შეგიძლიათ შესვლა, რო-

გორც სასტუმროში: ყველგან, საცა კი ერთი კაცი ან ერთი ქალი მოიძებნება, თუ კი თოფის ხმარება შეუძლიათ, ამნაირად და დაგიხვდებიან. და როცა ყველა სახლებს გადასწვავთ და როცა ჩვენ მარტო ხეები დაგვირჩება თავის შესაფარებლად, მაშინაც-კი არ შეგეძლებათ თავისუფლად იუფლოთ ეს ქვეყანა. ყოველ კლდისა და ყოველ ბუჩქს უკან დამალული იქმნება თოფი, რომელმაც სიცოცხლეს უნდა გამოასალმოს შემოსეული ინგლისელი.

— ვერ უყურებ ამას! ჩემო ლამაზო,— უთხრა ოფიცერმა და ქალისაკენ მიიწია, — რომ იცოდეთ, გულმოსულობა რა რიგ გიხდებათ! გეტყობათ, გავიწყდებათ, რომ თქვენ ჩემს ხელში ხართ.

ესა სთქვა და ქალს ხელები მოჰკიდა. ვილჰელმინამ იმედი გადაიწყვიტა. საზიზლარის ოფიცრის ლაშებმა უკვე გააჭუჭყიანეს მისი ბაგენი, და თუმცა უკანასკნელს ღონეს ხმარობდა, მაგრამ საცოდავი ბავშვი ამ ჯალათის სურვილის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. მაშინ ქალმა შესთხოვა ღმერთს, რომელიც წუგეშია ხოლმე ყველა სასოწარკვეთილთა, უმაღ მოშკალი, ვიღრე ნამუსი ამეხდებოდესო. თითქო მისი ლოცვა ისშინა ღმერთმაო, ხელი გამხეცებულ მტარვალის მახვილის ტარს წავლო. თავში აზრმა გაუელვა: მთელი თვისი ძალა და ღონე მოიკრიფა და თავიდან მოიშორა მტერი. ინგლისელი სახტად დარჩა ამ სუსტის ქმნილების ღონისაგან და საბურველსავით ქშინავდა. სანამ მტერი გონს მოვიდოდა, გილჰელმინამ დაუფიქრებლად გულში გაუტარა მიხვილი. ოფიცერი მოჭრილ ხესავით დაეცა, უკვე მკვდარი იყო.

ქალს თავზარი დაეცა, ეს რა ჩავიდინეო! ერთ წამს ზედ დაჰყურებდა თავისს მსხვერპლს, მაგრამ სარდაფიდან ამომავალმა ხმაურობამ გამოარკვია: დაყოვნება არ შეიძლება, უნდა თავი ვუშველოვო.

რაკი კარი ღია იყო, გაჭცევაც აღვილად შეეძლო. ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ყველანი ძირს იღვეშებოდნენ, გავიდა ეზოში, მოახტა პირველ შეხვედრილ ცხენსვე და ღა-

მის სიბრელეში ალალ-ბედზე მოჰქუსლა დაიმედებულმა, რომ განსაცდელს ხელიდან გავუსხლტიო.

დაახლოვებით ერთი კილომეტრი ექნებოდა გავლილი, რომ მის უკან საშინელი ხმა გაისმა აფეთქებისა. სქელმა აღმა ცა გაანათა, მერე საზარელი, ქუხილის მსგავსი, ხმაურობა გაისმა და მოშორებით მთებმა ბანი მისცეს. ცხადი იყო, რომ ფერმა აფეთქდა. ვილჭელმინამ მაშინათვე მოისაზრა, თუ რა ან როგორ მოხდებოდა. დამთვრალ ინგლისელებმა ალბად მარცხად ცეცხლი გაუჩინეს ასაფეთქებელ წამალს, რომელიც აქ ანრი ბოტას რაზმსა ჰქონდა შენახული. ფერმა მიწასთან უნდა იყვეს გასწორებული, რადგან სარდაფუში ათას კილო-გრამობით ეწყო თოფის წამალი და ნაღმიო.

ლამეს უარესად ჩამოაწვა უკუმი. ჩვენი გაქცეული ქალი უფრო და უფრო უჯავრდებოდა თავისს მერანს. ორასიოდ ნაბიჯის მანძილზე ცხენოსანთა რაზმს მოჰკრა თვალი. სთქვა, უეჭველად მტრები იქმნებიან და გზას გადაუხვია. მაგრამ, სამწუხაროდ, ცხენოსნებმა თვალი მოჰკრეს და მყისვე რამდენიმე თოფი დაიცალა.. ცხენი და საცოდავი ქალი ძირს დაეცნენ.

ამასობაში ანრი ბოტას მისმა მზერავებმა შეატყობინეს, რომ ერთი რაზმი ინგლისელთა თქვენის ფერმისაკენ მიღიოდაო. ცხენი ძალზე გაჰქუსლა, მაგრამ დროით მაინც ველარ მიაღწია სახლამშე, რომ საცოდავ მშობლებს მიჰშველებოდა. სწორედ მაშინ მივიდა სახლთან, როცა ყველაფერი ჰაერში იყო აფეთქებული და მტვრად ქცეული. იფიქრა, რაკი ამდენი, მტერი დაეხვია მამა ჩემს, ალბად, თავისი თავი და თავისიანები გასწირა და სახლი ააფეთქა, რომ მთელი რაზმი გაექროვო.

ნაღვლით ნალესი ცრემლები ჩამოუგორდა ღაწვებზე მხედარს. რა თქმა უნდა, ვერაფერი გადარჩებოდაო. ამ დროს პნელაში ცხენოსანი დაინახა, რომელიც სადავე მიშვებულს მერანს მიაქროლებდა. ეგონა მტერიაო და პრძანა თოფები ესროლათ.. აბა რას მოიფიქრებდა, რომ თავისი ღვიძლი შვილი გაიმეტა სასიკვდილოდ და მისის კეთილშობილურის სისხლით

მიწა შეჰქონდა... რაზმი არც კი შეჩერებულა, რომ გაეგო, თუ რა მოუვიდა ნიშანში ამოლებულს. პირდაპირ ფერმისაკენ მიეშურებოდა.

ფერმაზე კი ქვა ქვაზე არ იყო დარჩენილი. საზარელს სურათს წარმოადგენდა იქაურობა. ეზოში მთელი ზეინი იდგა ადამიანის ნაშთთა, ქვათა, ნახშირისა. ესლა დარჩა მის ფერმისაგან, იმ ფერმისაგან, რომელსაც მთელს ტრანსვალში ცალი დაბადალი არ მოეპოვებოდა. ორის წლის ბრძოლით გაქვავებული გული ანრისა ცრემლის ნაკალულად გაიწურა, როცა წარმოიდგინა, რომ ამ გროვათა შორის ერივნენ ის არსებანიც, რომილნიც თავის თავს და თავის სიცოცხლეს ერჩია: თავისი საცოდავი მოხუცი დედ-მამა, თავისი სათაყვანო ქალი... ანრის შვილები და როდოლფი, ამ განადგურებულ ადგილის გარშემო შეჯგუფულნი, ცრემლებს აფრქვევდნენ ჩუმად, ხმა ამოუღებლად. მათს ნალველს უერთდებოდა ბრაზი და განუსაზღვრელი სურვილი შეურისძიებისა. აუწერელი იყო ის სურათი, ამ უსახელო გროვის წინაშე ბნელაში ცრემლის მფრქვევნი მეომარნი რომ წარმოადგენდნენ. ანრიმ ბრძანა ცეცხლი ჩაექროთ, მისს ფერმას რომ ნსთქავდა, იქნება ვინმე ცოცხალი გადარჩა და მივეშველოთო. ბურთა სარწმუნოებრივმა გრძნობამ გაიღვიდა მისს გულში, იქნება ჩემიანი ვინმე თუ ცოცხალი არა, მკვდარი მაინც ვიპოვნო და ვიცნო, რომ უკანასკნელი მოვეხვიო და გაპატიოსნებული მივაბარო მიწასაო.

სამწუხაროდ, მალე დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო ვისიმე ნახვა: აფეთქებისაგან გაშიშვლებულნი გვამნი ნაფლეთებად იყვნენ ქცეულნი და მათი გამოცნობა არავის შეეძლო; გარდა ამისა, სულ უკანასკნელი, მთელი კვირა დასჭირდებოდათ, რომ არეულობიდან ვისიმე დახრაკული გვამი ამოეღოთ.

ამ სამწუხარო ფიქრში რომ იყო, ისე შორიდან ხდა მოექმდა. როდოლფი სასოწარკვეთით კვირიდა:

— ბატონო ბოტა, ბატონო ბოტა! მიშველეთ. ვილჰელმინა მოგვიკლავს!

ანრიმ ჯერ ვერ გაიგო, რასაც ეუბნებოდნენ. მაგრამ მალე დაინახა, რომ როდოლფს თავისს ღონიერ მკლავებზე დასვენებული ახალგაზდა ქალი მოჰქონდა. ყველაფერს მიხვდა: მხედარი, რომელიც მად გაურბოდა და მალე თოფები ასროლინა, მისი ქალი იყო. ამაზე მისმა მწუხარებამ საზღვარს გადააცილა და ასე ეგონა, გავგიუდიო; მივარდა უძრავ სხეულს ქალისას. დაუწყო კოცნა, ალერსი, ლოლიაობა, ისე, როგორც პატარაობისას ულოლიავებდა, ბოლოს ველარ გაუძლო ამ შემზარავ სურათს და ხელებ-გაშლილი ძირს დაემხო. როდოლფიც თავს ვერ იკავებდა; ტირილი ახრჩობდა. ველარ ბედავდა ახალგაზდა ქალი გაეშიშვლებინა და მისი ჭრილობა გაეშინჯა. იქნება არც კი არის დაჭრილიო? სისხლი მშვენიერს სახეს თქრიალით უფარავდა და ვაჟიც მოწიწებით უწმენდდა. უცბად ეჩვენა, რომ სუნთქვასო. იმედისაგან გაგიუებულმა, ხელი გულზე დაიდო, — გული სუსტად უცემდა.

— მამავ, — წამოიძახა ვაჟმა, — კოცხალია, კოცხალი. . .

გულს იმედი ჩაესახა, იქნება მოვს სულიერო, სიკვდილისაგან ვიხსნაო. მამამ, ძმებმა თავიანთი ტანისამოსი შემოიგლი ჯეს, დაჭრილი მყისვე გუბის პირას მიიყვანეს. ცივმა წყალმა მოასულიერა და მძიმელ კვნესა აღმოხდა გულიდან.. ქალი ნელნელა იკრეფდა გრძნობას. ტყვია არც ერთი არა ჰქონდა მოხვედრილი. მხოლოდ ცხენისთვის გაეგმირა ტყვიას გული და როცა ორივე დაცემულან, ქალს თავი უტკენია. ჭრილობა, ბედად, მსუბუქი იყო და ძირს გადმოვარდნას გული შემოუყრია. შეიძლო თუ არა, გამოეცნო ვინც გარს ეხვეოდნენ, დაინახა თუ არა, რომ ყველანი სტიროდნენ, გაითვალისწინა რაც მოხდა და შეეცალა ყველანი გულში ჩაეკრა. იმანაც მათთან ერთად ტირილი დაიწყო და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ასე სასწაულებრივ გადაარჩინა სიკვდილს და განსაკუთრებით გაუპატიურებას.

მამამ რა დაინახა, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო, ახალმა, უფრო ძლიერმა გრძნობამ შეიპყრო და, მიუხედავად მისის არა-ჩვეულებრივის ენერგიისა, ბავშვსავით უაზრო ლაპა-

რაკს მოჰყვა. ეს წამი უუბედნიერესი წამი იყო ამ კეთილ და ლომგულ აღამიანთათვის, რომელნიც ამ რამდენისამე წუთის წინად ასეთს სასოწარკვეთაში იყვნენ ჩაცვიუნულნი.

ის იყო ნათდებოდა და სურათს უფრო შემზარავი და გულმოსაკლავი სახე ეძლეოდა. უილჭელმინამ აჩვენა, აქ უნდა იყვნენ ჩემი საცოდავი პაპა და დიდედაო. მოინდომეს კიდევ ეძებნათ, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ყოველი ცდა ამაო იყო და ანრიმ უთხრა ყველას—ღვთისათვის შეევედრებინათ, როგორც თავისიანები, ისე სხვა საცოდავნი, ამ გროვის ქვეშ დამწვარნი. მთელ ორ დღეს მიწას აყრიდნენ ამ აღამიანთა აკლდამას, რომ გარეული ფრინველნი არ დახვეოდნენ ამ სახელდახელო სასაფლაოს. მერე უკანასკნელად მშვიდობით უთხრა თავის დედის, მამის საფლავს, იქ, სადაც აკვანი იყო თავის ბავშვობისა და თავის შვილებისა, და მთას იქით გადავიდა. ვილჭელმინაც თან მისდევდა.

ამ როგორ მოებატა ერთი მებრძოლი ანრი ბოტას რაზმს, მებრძოლი, რომელსაც არაკლებ შესწევს სიგმირე და სიმარჯვე თავისს ქვეყნის თავისუფლებას მტრად დაედოს და სანთელ-საკმეველად თავს შემოევლოს.

თ. ს.

თელავის რეპრობის გაირზის ციფუვა სწავლის შესახებ *)

ყ-დ სამღებელოო მეუფეო:

არა არს იჭვი ამას შინა, ვითარმედ კეთილი ზრდილება და კეთილი ჩვეულება კაცობრივისა ნათესავისა დამოკიდულ არს. ჭეშმარიტებითსა მეცნიერებასა ზედა. მაშა თუ უკეთუ სწავლანი მეცნიერებითი (რომელნიცა აღანთებენ გონებასა შინა სანთელსა მაცხადსა ყოვლისა ჭეშმარიტებისასა) მოაკლ-დებიან მფარგულობასა და განმჯნობასა ცუდ და უსარგებლო იქმნებიან მისთ-ს დიადნი სიმრავლენი მოსწავლეთანი და დიდ შტუნიერნიცა შენებულებანი. ვინაითგან დაშრტების ალი წადი-ლისა და დანელდების საკმილი კეთილისა შურისა: გარნა პირის-პირ ამისა ტფიალებით მოლტაწება მათი და მოწყალებითი შიხედჭა და შრომისა მათისა მაღრიელი გული აღმახრავს წადილსა მათსა და ახლითა ძალითა აღსჭურავს ესე ვითარსა გარემოებასა ვხე-დავთ აწ მამულსა შინა ჩვენს ქმნილსა და ღუწილსა კეთილი ქსახურის მეფისა ჩვენისა ირაკლი მეორისაგან: აღმსღენ გულს-

*) გადმოწერილია ს. პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავში ბატო-
ნიშვილის ოთანეს ხელნაწერებიდან და წარმოდგენილია რედაქციაში ბ.
ა. ხახანაშვილისაგან. რედ.

მოდგინებანი წარმოდგნენ მაღალნი გონებანი განმრავლდნენ მეცნიერებითნი ნათელნი მუნით ოდესკა შრომითა უწმიდესისა მწყემსისა და დიდასკალოვსა ჩენისა მეფის ძის ანტონის მიერ დაიდუნენ საფუძვლნი ყოველთა ცნობათანი.

და ამისთვის არა თუ ოდენ უსამღელოესნი იგი პირნი მფლობელთა ჩვენთანი ად თვთ ძენიცა მამულისა ჩენისანი არიან მოსწრავე განვრცომისათვს ამის ძრფასისა საქმისა რლოთა შორის თქუცნიცა მაღალი უდამღუდელოება უსაკუთრესად და ლირსად მექონ არს ადგილისა უსრულესისასა მას შინა ჯელოფნებასათას: არა ალვრიცხავ აქა ყოველთა მათ უკეთოდესთა ნიჭთა განბრძნობილისა სულისა თქუცნისათა რლთაც ცვერძნობ მე ჩემ შორის და ესარგებლობ მათ მიერ ად ვიტყვ მათ ოდენ და დავადგენ უმაღლესსა შინა კეთილობასა სარგებლად მამულისა და თანკმად უსამღვდელოესთა პირთა მოღრაწეთა ჩენთასა რომელ ნიადაგ შზახართ განმენობად და წარმართებად სამღელოესა ამის ადგილისა: რომლისათვისცა ვითხოვ რათა დიდსულობით მიიღოთ ჩენი ესე უნდოჲ მადლობა. ამისთს რომელ არა დაგვაკლებ აღსუსებასა და დაგვრგვენებასა ამის სამღელოესა შეკრებულებისა ჩვენისასა და მარადის მოხარულითა სახითა განიცდით კნინსა ამას და ყრმებრივსა საქმესა ჩვენსა ვითარცა მამა შვლო მოყურარე და თანამოღრაწე ჰაზრთა უწმიდესთა მათ პირთა. რომელთაცა ინებეს აღდგინება ამის ცხოველისა და უკუდავისა ძეგლისა თეატრსა ზედა საყურელისა მამულისა ჩვენისასა:

ხოლო თქვენ პატიოსანნო და ჩვენთვს მცრფასნო სტუშარნო. ნუ უღირს იჩენთ სიტყვერებითსა ამას სანოვაგესა. რომლისაცა ძრო-ფასობა არს ოდენ საყურარელნი ესე ძენი თქ ნნი. რომელნიცა იზრდებიან უკუდავითა საზრდელითა ზეციერისა დიდებისათა. ად განიშუთ სანუკურარითა ამით. იხარეო დაულევნელისა მისთს მოწყალებისა წისა. და ითხოეთ უდბრძნისა და ყოველთა კეთილის-მომცემელისა ღისაგან. რათა გარდაჭმატოს კეთილ-დღეობასა მეფისა ირაკლისასა. რომელ-

მანც დაასხა ვენახი ესე სიბრძნისა და მისწუაღნა რქანი მისნი ვიდრე კიდედმდე მამულისა ჩვენისა: რომლისაცა საგრილისა რტოთა ჰზრდის შეილთა თქვენთა ესრეთ ვითარცა ჰხედავთ. რათა დამსხმელს და მომსთულებსა ერთბაშად უხაროდის:

და თქვენ შვლნო ჩემნო საყრარელნო და ოწ საქადულნო ძენო მამულისა თქნისანო და ლირსად მონად დასახულნო ყმანო მფლობელისა და უფროსად ვჰსთქუა. მამისა მოღუაწისა თქვენისანო. განმეოდით კეთილობას ამას შინა ჰქვენსა. რომელსაცა პერძნობთ თჯთ თავთა შორის თქვენთა. განვსჭიმეთ მკლავი გონებისა თქვენისა მოუმედგრებელად აღთქმისათვს სიბრძნისა. ავლინეთ ნავი პელეგოსა შინა მეცნიერებისასა საჭითა სულისაა წმიდისათა და მიიწიენით ლიბენისადმი სიბრძნისა წისა. საღაცა მსხუცრპლად წმიდად შესწირეთ გული თქვენი საკურათხეველსა ზედა მაღლობისასა პირველად წისა. ვითარცა ყოველთა კეთილთა მიზეზისა და მეორედ მეფისა ირაკლისა. ვითარცა წისა მიერ ყუანებულისა ბეღნიერობისა და კეთილ-დღეობისათვს თქვენისა.

წარმოდგომილსა ამას სამღუდელოსა და ლირს სახსენსა ადგილსა (ყოველ სამღვდელოო მეუფეო და პ. მ.) არ ძალ-მიცს შესაბამისა სიტყვის მოპესენებად თქუცნდა. რათა წარ-მოვჰსთქუა სიმდიდრე კეთილობის ა სამღუდელოსა ამის ადგილის დამაფუძნებელისა კეთილ მსახურისა და უფროსად ვსთ-ქუა მამისა მოწყალისა მეფისა ჩუცნისა ირაკლი მეორისა: ვინათვან მეტყუცნდაა ამას ადგილსა ზა, თანა აძსთ. რათა და-საბამად ჰაზრისა თვისისა ჰყონ მაღლობად. გამოუთქმელისათვს სახიერებისა ლისა, რომელმანცა მოგუცა ესე ვითარი. კე-თილ მსახური მეფე. მოღუაწე ყმათა თვისთა. ბეღნიერობისა [და მერმე შეუდგინოს ლირს კსოვნისა იგი საქმენი მფლობე-ლისა ამის ჩუცნისანი], და ვინათვან ყოველი წინა დადებული სიტყვერებითი ნივთი ითხოვს უსაკუთრესსა გამოცდილებითსა-შუცნიერ სიტყუაობასა გაშა საღალა უკუც უდიდესი საკმარ არს

გონებისა ამაღლებად. სადა უდიდესი სიტყვისა უხუცბად. და ძალი სიტყვისად. მოზიდვისათ-ს და განლკებისა მსმენელთასა ვითარ აწინდელსა ამას შეკრებულებასა შინა ჩვენსა ცხად ყოფისათ-ს კეთილ მსახურებითთა მფლობელისა ჩვენისათა. რომლისაცა ტრფიალებასა სიბრძნისასა და მომჭირნეობასა საშუალობელოსა თვისსა განბრძნობისასა არა თუ ოდენ უსამღებელოესი სახლი ესე წოდებული სემინარიად. ად ამიერ გამოსრულნი არიან და იქმნებიან ქადაგ. უკანასკნელადმდე ნათე-სავად: ნამდვლ (თუ „ნამდუილ“ არ ვიცი. ასეა: „ნამდვლ“) უსაკუთრესი მოწყალება არს ესე ღისა ერისათ-ს კახეთისა და ყოვლისა საქართულოდა.

იქადის პრომი აგვისტოს კეისრითა. იქადის გალლიალუდოვიკ მეათოთხმეტითა. იქადის როსსია. პეტრე დიდითა რომელთაცა დააფუძნეს სამფლობელოსა თვისსა სწავლანი სასიბრძნონი: კდ იქადის მაკედონია და ყოველი ელლადა ალექსანდრე დიდითა რომელმანცა უძლეველითა სიმენითა თვისითა მოიფრინა პირი ყოვლისა ქუნისა და ვითარცა არწივმან შემოუკრიბა სკიპტრასა თვისსა ყოველი ერი მორჩილებად: დაუფროსილა ვჭირობდა კდ იქადის ყოველი ქრისტე შემოსილი ერი კოსტანტინე დიდითა მოციქულთ-შესწორებულითა მეფითა. რომლისაცა კეთილ-მსახურებითა ყრავილოვნებს ყოველი ქებე მოსახელე ერი:

ჰმსგავსადუც ჩვენცა თანა გრძაძს უმეტეს რათა ვიქადოდეთ ესე ვითარისათ-ს მეფისა რომელმანცა მხოლოსა შორის თ-სსა შემოკრიბნა უაზნაურესნი იგრ ნიშანნი ზემო ჰკსენებულთა მეფეთანი: მიხედეთ მართლ მადიდებელსა დედასა ჩნდა ეკკლესიასა. თუ ვითარ ჰქუბს პირსა ყოვლისა ქუცყანისასა, მის შორის უბრყვლოდ მართლ-მადიდებლობითისა სარწმუნოებისა ქადაგება. ვისი არს ნაყოფი ესედ? არა კეთილ მსახურისა მეფისა ჩნდისად? რომლისაცა კეთილ-მსახურებითი მართლ-მადიდებლობა ჰსწორ ჰყოფს მოციქულებრისა მას მადლისა კოსტანტინე დიდისასა. უუწმიდესთა მსოფლიოთა პატრიარქთა-

გან: ძიხედეთ ქუციანისა ამის ჩნ-ისა მდგომარეობასა. რომლი-
საცა უწინარესსა მდგომარეობასა თვთ ჩუცნ ვჰსწამებთ და სა-
მყოფნი ჩვენნი აწ განახლებულნი სოფელნი და დაბანი და
ქალაქნი და ერთა სიმრავლენი. ვისი არს ნაყოფი ესე? არა
უძლეველისა ამის მეფისა ჩნ-ისა? რომლისაცა უმაგალითოსა
სიმკნესა და უძლეველსა მებრძოლობასა და ჩინებულობასა
მკედრობისა მისისა. ვითარსა შინა ში-სა მოუყუპანიეს გარემოს
ჩვენსა მეოფნი მკეც მსგავსნი მტერნი ჩნნა. დავიდუმებ შეუ-
რაცხთა მათ მტერთა თ-ს რ-ლთაგან. თუ ვითარ შეჭირვებულ
ვიყავით. არღა მოვიხსენებ. რათა არა განმწარდეს აწინდელი
ესე მხიარულებითი შეკრებულება ჩვენი: დავიდუმებ კ-დ მკე-
ცისა მისთ-ს ასურასტანულისა, რომლისაცა გესლითა შეიგი-
ნებოდენ მეფენნი ჩნ-ნი და აწ ვითა ფერეთა ქვეშე მეფისა
ჩვენისათა ძეს: და მოვიხსენებ ოდენ მძლავრისა მის (მპყრო-
ბელისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ჩრდილოეთისა და
სამხრეთისა) ხუანთქრისა. რომლისაცა დიდებულებითა შემძლე-
ბელობითა ძრწის თითქმის პირი ყოვლისა ქუციანისა. გარნა
ამისდამი ვითარსა მძვნუარებისა თვისისა მყუდროებასა აჩუცნე-
ბს. სამარადისოთა ეპისტოლითა. და წარმოგზავნილითა. მეგო-
ბრობითითა ნიშნებითა: ვის ჩვენგანსა სმენიეს ესე ვითარნი
საქმენი ამის უწინარესთა მეფეთანი? რომელნიცა. თითქმის
სამარადისოსა შინა მძრწოლარეობასა გებულან ზემო კსენებუ-
ლოთა მათ მძლავრთასა. ვითარცა მოუთხრობენ მატიანენი ჩნ-
ნი: ვიტყვ მეფით თამარით: ნამდვილ სათქმელ არს აქა ამის
კეთილ მსახურისა პირისადმი. კმა იგი „სამლროო ვითარმედ“
ვერ მიგხედოს შენ თვალმან ვარხვსამან და არა დაითრგუნო
„შენ ძეთაგან მოქადულთა. და არა წარპედეს შენზედა ლომი“:
და კ-დ უდიდესსა ვიტყვი და უშესაბამესსა: მიხედეთ თვთ
კეთილ-მსახურებასა მისია რ-ლიცა განკრებულ (?) არს უჩი-
ნებულესითა ნიშნებითა მეფობითითა. ვითარცა მშვლდი ჩო-
რის მეფეთა: ვისი არს ნიში იგი. რ-ლიცა მარჯუცნესა მკარსა
მისია განაშვენებს. მარცხნივ კერძო. დამოკიდებული სახე
წ-ისა და კ-დ-ქებულისა ქე-ს პირტულ-წოდებულისა მოკიქულისა

ანდრეასი: არა როსსის იმპერატორთა? რომელიც პეტრე დიდმან მოიგო ნიშად კეთილ - მსახურებითისა სიმენისა: მოხედეთ, რტოსა მისსა. პირმშობა და საყუარელსა ძესსა მისსა კეთილ-მსახურსა გიორგის. რლსაცა ყოველნი იგი კეთილ-მსახურებითნი ნიშანნი მამისა თვისისანი სრულებრივ გათდ-მოუსახავს თვს ზა, თუ ვითარ განშვენებულ-არს მეწა-მულისა მით სიმენისა ნიშნითა წმიდისა რუსეთის ალექსან-დრე ნევსკის თავადისათა. რომლისაცა კეთილ-მსახურებითსა სიმენესა ჰქადაგებს ყდ შეტნიერი იგი ქადაღდა წმადისა ჰეცრესი.

ესე ყოველნი არა კეთილ-მსახურებითისა მეფობისა მისი-საგან არიანა? რლნცა ესე ვითარი დიდებულება სახელისა მოიგო. რლ ყოველთა მსოფლიოთა მპყრობელთა დაუგიშებ-ლად მისცა თავი თვისი და ალადგინა ყოველნი იგი სურვილად თვისისადმი პატივისცემით შემეცნებისა. რლისა სიმტკიცედ კმა არს ოდენ ზემო თქმულნი ნიშნი წარმოგზავნილნი რუსეთის კეთილ-მსახურის იმპერატორის ეკატირინა დიდისა მოერ. და უსაკუთრესად მისნივე ეპისტოლენი. რომელიცა ჰსწამებენ ყოველთა კეთილ-მსახურებითთა ჩინებულთა საქმეთა მეფისა ჩვენისათა:

და რასაღა მრავალს ვიტყოდე მისთვს სადაცა ნივთი უმა-ლლესობს სიტყვას: ად მოხედეთ უკეთილ-შობილესსა ამას საქმესა კეთილ-მსახურებითსა მეფისა ჩინებისასა: მოხედეთ მო-წყალებითა მისითა შემოკურებულთა ამათ ყრმათა შვლთა თქვენთა, რლთაცა სიტყვებისა კანონი. სრულჲყურებეს. რლ არს ღრამმატიკა. ესე არს გვრგვნი კეთილ-მსახურებითთა საქ-მეთა მისთა. ესე არს მსხუცრპლი და ყოვლად დასაწყისლი მის მიერ შეწირული გვრგვნოსან მყოფელისა თვისისადმი საკურთხე-ველსა ზა წმიდისა ეკკლესიისასა:

და რათა სიტყრა ესე უნდოდ იქმნას თქვენ მოერ მოწყა-ლებით მილებულ. ვიწყებ ცხად ყოფად მოკლედ ჰაზრსა ღრა-

შმატიკისასა ვითარებული შესაბამსა რასამე აწინდელისა შეკრებულებისა ჩვენისასა:

რალისაც შინა თანა მოქმედ-მეყავნ მე უბრყვლო იგი ლოცუა მოძღვრისა ჩემისა უუწმიდესისა მამა-მთავრისა და სემინარისა ამის დირექტორისა მეფის ძის ანტონისა. რალისა-განც მომიღეს ჰაზრი ამის ძვრთასისა სწავლულებისა:

უა მათ ნიჭთა შორის კეთილ-შობილთა, რალითაც პატიოსნებს კაცი სხუათა ცხოველთა ზა. არს სიტყუა. რალიცა მოსცემია კაცსა ღისაგან. ამისთვის რათა ჰაზრი თვისი. აზიაროს სხუათა. ე. გ. ზ. რათა იგი რაცცა აქცის გონებასა შინა. გამოუცხადოს სხუასა და შეამეცნოს მას იგი: სარგებლობა ამისი ესოდენ დიდიარს. რაოდენცა აწ განვრცელდების მეცნიერება პირსა ზო ყოვლისა ქვეყანისასა. ფრიად უკუც ვიწროსა შინა ზღუდესა შეიწყოდეოდა, უკეთუ თვთეული კაცი ვერ შემძლებელ იქმნებოდა შეშეცნებად ჰაზრისა თვისისა სხუათადა:

ფად დიდ არს შემოქმედისა იგი სიბრძნე. რალიცა ნიჭებულ-გყუო ჩენ სიტყვთა და ნიჭებულ-გყუო სასმენელითა: და უფროს განსაკვრვებულ არს ამისდამი განსაზღვრებულნი იგი წევრნი. თუ ვითარითა სიბრძნითა არიან აღკურვილი. რალითაცა გონებასა შინა წარმოდგინება პრა შეძლებელ-არს თვინიერ დიადისა განკვრვებისა. გამოუთქმელისათვის სიბრძნისა შემოქმედისა და თვინიერ ულრმესისა კრძალულებისა და მაღლობისა მოწყალებისა უმაღლესისა სოფლის შექმისა.

დავიღუმებ აქა ორღანოებითთა მათ წევრთა თს და განვჭივი უკუც მოკლედ ურიცხუთა თს სხუაობათა. პალად კმისა და მეორედ თქმისა:

განვკრდეთ უკუც სამართლად ურიცხუთა თს სხუაობათა იდეათა ანუ მოგონებათასა. რალიცა ხელვთისა საგრძნობელითა წარმოდგებიან გონებასა შინა. ამასთანა არა მცირედ

განკურვებად სათანადო არს ურიცხველი მათ სიმრავლეთა იღეა-
თასა. რ-ლიათაცა მოვილებთ სმენისა და სხუათა საგრძნოთა
ძლით. რ-ლისაცა ჰრწმუნებისათს სათანადო არს სხუაობად
ვმათა. უშთავრესთა ცულილებათა ზე მისსა:

პ-დ იცუალების ემა გამოხმობასა ზა. რ-ლისაცა სახენი
არიან მახვლობა და მოხრილობა კმისა: მეორედ: სულის კუტ-
თასა ზვ. და ამის სახენი არიან ბრჯგულბა. ანუ მქისევიბა. და
ლბილობა. ანუ ლიტონობა: მესამედ. ღროებითსა ზვ. რომლი-
საცა სახედ თქმულ არიან სიგრძე და სიმოკლე კმისა: ხოლო
სხუათა შედგმულთა კმათა-თს პრლა მოვიხსენებ. რომელთაცა
შედგმულობა ოდესმე ტკბილ-სასმენ არს და ოდესმე ურჩხ.
რ-ლთაცა ზედ-მიწევნილებითითა სმენითა მრავალთა შორის
ერთა შემძლებელ ვართ კმისაებრ განრჩევად მეცნთა ჩვენთა,
ანუ ჩ ნ მიერ შემეცნებულთა. ანუ სხუაობასა სხუათა და სხუა-
თა ერთასა. რ-ლთაცა ადვლ-გულ-ხმებად შემძლებელ-ვართ.
უკეთუ გარემოსთა ჩვენთა მეზობელთა ერთა გამოხმობასა ხმა-
თასა ვისმენთ. ვითარცა სპარსთა. სირთა. ლეკთა. ოვსთა. ჩერ-
ქეზთა და სხუათა მთიულთა კავკასიისათა. პრლა მომქანებელი
მწიგნობართა ერთა და ნათესავთანი რომელთაცა სხუაობა
გამოხმობისა ურიცხუ არს:

ესე ვითარმან გამოხმობისა სხუაობამან კმათამან ჰყო
სხუაობაცა წიგნთა ლრამმთა ძლით და ნაკუტებელულთა, რ-ლთა-
ცა საკუთრად უწოდთ ჩვენ ასოდ:

ხ გამოხმობისათს ესე ვითართა კმათასა არიან ორლანო.
ბაგენი. კბილნი. ენა. სასა. კორეი. მახლობელ-მდებარით კერ-
ძოებითურთ თვისით და ნესტონი ცხვრთანი:

მოძრაობა ორლანოთა ამათ იქმნების ორსახელ. რ-ლთა-
ცანცა წარმოებელი გამოხმობა იქმნების ოდესმე გრძელ და
საცნაურ და ოდესმე მოკლე და უცნაურ:

რ' ლთაცა ასოთა მიერ გრძელნი იგი გამოხმობანი და ნიშ-
უნიან. ზედ-წოდებულებენ კმოვანად და რომელთაც ძლით
მკლედ ანუ სრულიად ვერა ზედ-წოდებულებენ უჭმოდ:

სხუა და სხუაობანი მოძრაობანი ბაგეთა და კორეისანი
ჰყოფენ სხუა და სხუა კმობასა ასოთასა. რ' ლთა თვსუა უვრ-
ცელესად აღწერილ არს დიდასკალოვესა და მწყემსისა ჩვენისა
მიერ მეორედ ქმნილსა ღრამატიკასა შინა: (ღრამმტიკა ანტონი.
ნაწილი. ვ. (3?) ზედადართუა. §. 13:

ამათ კმოვანთა და უხმოთა შეერთებათა ძლით გამოვალნნ
ვითამე სხუაობა კმათა. რომელთაც უწოდთ ჩინ მარცულად
ერთისათას გამოხმობისა კამათა განუწყველელად:

და ოდეს ამათ მარცუალთა შეერთებათა ძლით გამოვალნნ
სულის კულთათ კმანი და დამნიშუნელ-იქმნებიან ვითართამე
ნივთთა ანუ საქმეთა. იგი წოდებულ ლექსად:

მიხედვთა ხილულის ამის სოფლისათა განვიცდი ორთა
რაიმეთა ნივთთა. ქ. რ. ს. პლ~სა ნივთსა მექონსა გრძნობი-
სასა და მეორესა ნივთთა მათ მგრძნობელთა სხუა და სხუაო-
ბასა მოქმედებათასა:

წ ვინადგან ნიჭებულ არც კაცი სიტყვრებითა. ამისთა
რათა ჰაზრი თვისი აზიაროს სხუათა. მაშა შემძლებელცა არს
იგი წარმოდგინებად თვს შორი იდეათა და საქმეთა ნივთთასა. რ' ლთაცა აზიარებს სხუათა: და ესრეთ გამოხატუასა ამას და
წარმოდგომასა ნივთთასა ეწოდების სახელი. წ გამოხატუასა
მოქმედებისასა ზმნა: და ვინადგან ორნი ესე ლექსნი ჰნიშუნენ
ნიადაგ ნივთსა და მოქმედებასა ნივთისასა. მაშა უსაკუთრეს
არს, რათა უპირველესობა მიიღონ ნაწილთა შორის სიტყვ-
სათა:

მრავალმან იდეამან და სიმარჯვთ წარმოდგომამან ნივთ-
თამან და მოკლედ და გაუმეორებლად სხუათადმი ცხადჰყოფი-
სათას მოკლედ ჰაზრისა თვისისა აიძულა კაცსა ამისდამა

შეცადინეობად, თუ ვითარ მოკლე ჰყოს სიტუაცია თუ და გამოახუს შემაწუხებელნი განმეორებანი ერთის ლექსისანი: ესე ვითარნი ლექსი არიან ნაცუალ-სახელი, ზმნის-ზედა და შორის დებული: ნაცუალ-სახელი შემოვალს სიტუაცია შინა ნაცულად სახელისა. ზმნის-ზედა ცხადჰყოფს ერთითა წარმო-თქმითა ვითარებასა და ვნებასა კაცობრივისა სულისასა:

მიღმოქცევამან კაცობრივისა. გონებისაში ათძულა ეს- არეთუც პოვნად ღონისა ამის, რათა მოქმედება კაცობრივი მოკლედ გამოხატოს და მოკლედუც წარმოადგინოს მოქმედი და ვნებული პირველია უწოდა მიმღეობად და მეორესა სახელ-ზმნად და განჭისაზღვრებლად ანუ უჩინოდ:

ესრეთუც თანდებული მნიშვნელად გარემოთა და მდგო- მარეობათა სახელისათა და კავშირი შეერთებისათ-ს და გარდამ- ბისა სხუთა და სხუთა სახელთა. ანუ საქმეთა ერთისა აზრი- საღმი:

ამათ ყოველთა მიერ ცხად არს. ვათარმედ სახელი და ზმნა არიან უცუალებლად საჭირონი ნაწილნი კაცობრივისა სიტყვერებისანი. ხოლო ნაცუალ-სახელი, მიმღეობა. ზმნის-ზედა. კავშირი და შორის-დებული არიან საკმარ მოკლედ და მნიშ- უნელობისათ-ს მათისა. რომლითაცა კაცობრივსა სიტუაციასა აქენ რეანი ნაწილნი. 1 „სახელი წოდებისათვს ნივთისა. 2 „ნაცუალ-სახელი მოკლე ყოფისათ-ს სახელისა. 3 „ზმნა ცხად ყოფისთვს მოქმედებისა. 4 „მიმღეობა ერთმნიშვნელობისათ-ს მოქმედებისა სახელისათანა. 5 „თანდებული ჩვენებისათვს ნივთის გარემოსა: 6 „ზმნის-ზედა მოკლედ გამოხატვისათვს ვითარება- თა ზმნათასა. 7 „კავშირი შეერთებისათვს სხუთა და სხუთა ნივთთა და საქმეთასა და 8 „შორის დებული მოკლედ ცხად ყოფისათ ს ხუთის მოძრაობისა:

ყოველთა ნივთთა სოფელსა ამას შინა მყოფთა აქტს ვი- თარიმე ზიარება მსგავსებისა ძლით. რომელნიცა დაინიშნუნიან ერთითა ლექსითა, წ. ჩ. ჩ. ერთითა სახელითა. და ეწოდების

ლექსის მას საზოგადო და რომელთაცა შორის აღირიცხვს ერთითა ლექსითა დანიშნული მრავალთა შეკრებილთა ნივთთა წოდებული ლექსად შემკრებელობითად. ხოლო ერთისა განუჭრელისა და განუკუტელისა ნივთისა დამნიშვნელსა ლექსა კერძოობითი:

წარმოდგომა მრავალთა ნივთთა მოიყრანს გონებასა ჩეცნსა. რათა გამოიძიოს ვითარებაცეცა მისი და ესრეთ ლექსი დამნიშვნელი ავით თვისით ნივთისა იწოდების არსებითად. ხოლო ლექსი თავით თვისით ვერ შემძლე ცხად-ჰუმურისა რადგან ნივთისა. ადრ სხუასა ზედა შესულითა გამომაცხადებელი ვითარებისა მისისა იწოდების ზედ-შესრულად:

უი ნივთი განუოფილ არს ორთა ზედა სახეთა: ქ. ჩ. ჩ. ცხოველად და არა ცხოველად, ოლთასა პირველისა მის დამნიშვნელისა ლექსის ეწოდების საზოგადო. ვინადგან ორთავე გუართა ცხოველთასა დანიშნავს ერთითა ლექსითა და ოდეს განუოფილად წარმოადგენს ლექსი იგი გუართა მათ. მაშინ ერთსა მათგანსა ეწოდების მარტობითი და მეორესა მდედრობითი: ხოლო მეორისა დამნიშვნელხა ქ. ჩ. ჩ. არა ცხოველისასა ეწოდების უმეშვეობითი:

ჰმსგავსადუმ ერთითა ლექსითა დამნიშვნელსა მარტივი და ორითა ანუ სამითა დამნიშვნელსა ერთისა ნივთისასა პრთული ანუ ზედრთული:

უთა ნივთთა წარმოვაყენებთ გონებასა შინა რიცხვსაებრ მათისა. ერთსა ანუ მრავალსა. ოლისათშეცა ერთისა დამნიშვნელსა ლექსისა ეწოდების მხოლობითი და მრავლისასა მრავლობითი ოლსაცა შინა სჩანს კიდ მეცადინობა კაცისა შემოკლებისათს სიტყუათასა ვინადგან ერთი ნივთი ერთითა უკუმ ლექსითა დანიშნა და მიმრავლე მისი მისვე ერთისა ლექსისა მრა-

ვალ გზის მოღებითა გამოეხატა განგრძელდებოდამცა ფრ
სიტყუა უგრუანად:

ყვითების ურთიერთისადმი შემწედ და ნაცრალ გებით
მდებარებენ სიტყუას. შინა ცხად ყოფისათ თს ურთიერთისა გარე-
მოებისა: და ესრეთ. ოდეს ლექსი მარტივად და წრფელად
წარმოადგენს ნივთსა და ლექსი იგი წოდებულ წრფელობითად:
ზოდეს წარმოადგენს სხვსა რადისამე ნივთისა შესაბამსა. წოდე-
ბული ნათესაობითად: კერძო რდეს ნიშნავს ლექსი ნივთსა შესა-
ბამად სხვსა ნივთისა. იგი წოდებულ მიცემითად. და ოდეს
ერთისა ნივთისა მოქმედებასა ცხად ჰყოფს სხუასა ნივთსა. ზოგად
იწოდების შემასმენლობითად: ხოლო ოდეს ნივთი წარმოადგე-
ბის ღონედ. ანუ საჭურტებულად. მაშინ ლექსი დამნიშვნელი
მისი იწოდების მოქმედებითად ანუ დაწყებითად. და ოდეს
ლექსი მნიშვნელობს ცხად ყოფასა სხვისა მოქმედებისასა. მა-
შინ წოდებულ ლექსი იგი პოთხრობითად: და უკანასკნელ
ოდეს ლექსითა რადისამე დავნიშნავთ საუბარსა სხვსადმი ნივ-
თისა მას წოდებულ ვჰყოფთ წოდებითად. და ესრეთ. ცრული-
ლებათა ამათ ერთისა და მასები ლექსისათა სხვსა და სხვსა
მიმართ მნიშვნელობისა წოდებულვჰყოფთ ბრუნვული. რალთა-
ცა რიცხვ არს რვა ჭართულებრ:

და ესრეთ შემეცნებულთა ნივთის ყოფისათა თანა გრუაძე
ცნობადცა მოქმედებისა მისისა. რომლისაცა მოქმედება ორ-
გრუარობს. ერთი არს რომელიცა წარმოაყენებს სხუასა და ლე-
ქსი დამნიშვნელი ამის მოქმედებისა იწოდების შემოქმედე-
ბითად. და მეორე არს რალიცა წარმოადგების სხვსაგან ნივთი-
სა. რომლისაცა მოქმედებისა დამნიშვნელსა ლექსისა ეწოდე-
ბის ვნებითად: გარნა კერძო არიან ლექსნი მნიშვნელი მოქმე-
დებისანი. რალიცა ვერ სადამე აწარმოებენ ნამოქმედებსა და
ესე წოდებულ უმეშვეობითად:

ხოლო ვინახთვან კაცი თანამდებ არს. რათა ჰაზრი თვისი
აზიაროს სხუათა. მაშა თანა-აძს. რათა ცხად-ჰყოს აწინდელი

არსა საქმე იგია. ანუ ქმნილი და ანუ ყოფადი. და ესრეთ ლექსა მნიშვნელსა აწინდელისა მოქმედებისასა ეწოდების აწმყოჲ. ხოლო წარსულისა ანუ ქმნილისასა ნამყოჲ და მყოფა-დისასა მყობადი. ვინა სამი ესე დრო კავალებისა თვის (sic) ეყვს ცხად-ჰყოფისათვს უბრწყინვალესისა ჰაზრისა:

კ' დ ოდესუა კაცი ითანამდება ზიარ-ყოფად ჰაზრი თ' სისხუათადა და განაღვებდა იგი ცნობისათ' ს მესამისა. ამის გამო დაინიშნა მოქმედება სამთა მიმართ პირთა. წ. ჩ. პ. პირველი მზიარებელი ჰაზრისა თვისისა სხვადმი. მეორე ვისდამიცა არს ზიარება იგი ჰაზრისა და მესამე ვისთვისუა. ანუ რ-ლის თვისუა არს ჰაზრი იგი:

კ' დ მოქმედებანი ცხად იქმნებიან ოდესმე სრულებით და თვინიერ სხვა რადესამე მიზეზისა. რ-ლიცა წოდებულ საზღურებითად: ოდესმე ჩაიძულებელად სხვა მოქმედებისადმი და ესე წოდებულ ბრძანებითად: ხოლო ოდესმე მიზეზითა რაცთამე დამაბრკოლებელითა. რ-ლითაგანსა ერთსა ეწოდების საწალი და მეორესა კამტეტიკა. ანუ თუობითი:

მეცაღინეობისამებრ კაცობრივისა მოსწრაფებისა. რათა ჰაზრი თ' სი ჰყოს შემოკლებით საგულ-ხმოდ სხვადმი ამის ძლით შემოხმულ არს ზნათა შორის სხმით გარდასლვთი. რ-ლითაცა ერთითა წარმოთქმითა ცხად-ჰყოფს მოქმედებასა სხვასა სხვა მიმართ. რ-ლითაცა კავალების და ჩინებულებს ენა ქართული სხუჭათა ენათა ზედა. მჰსგავსადუჭ ზნანიცა იგი პირნაკლი დაკლებულნი პირზელისა და მეორისა პირისანი უდიდეს შეტყირებად მოსცემიან ენასა ქართულებრისა:

ხოლო ვინადგან ნიჭებულება სიტყვერებისა კაცისად არს, მიზეზითა ზიარებისათა სხვადმი ჰაზრისა თვისისა სრულებით გინა საჭირო არს. რათა მოქმედებისა მის ცხად ყოფასა შინა

საჭიროდ იყრნენ ლექსნი სამნი. რალთაგანსა ერთსა თანა ასე ცხად ყოფა მოქმედებისა, რალსაცა უწოდთ ჩენ უფლად ანუ სახელად ზმნისა და მეორესა მოქმედებისა. რალიცა წოდებულ არს ზმნად და მესამესა მიმღედ მოქმედებისა. წოდებული საძიებოდ ზმნისა. ესე არს შეწყობა ნაწილთა სიტყვსათა. რალიცა წოდებულ სკნტაქსად: და სხუანი ნაწილნი სიტყვსანი დაიდებიან შეწყობით სიტყუასაშინა რათა ცხად-ჰყონ შემოკლებით ვითარება. ანუ ზმნისა და ანუ (ყლისა) ყდისა ჰაზრისა: ხოლო ვრცლად ჰაზრი ამის ყდ. შეტნიერისა გნოსისა და ფრიადი სარგებლობა მისი სიტყვერებისათ-ს ცხად ქმნილ არს შესაბამად დიდასკალობა ჩვენისა მიერ და პდ მოცემისა ამის ცნობისა ქართულებრისა ზა. ენასა. მეორედ ქმნილსა მისსა ღრამმატიკასა შინა ვ ნაწ. თავ. 14. §. 411:

უუკანასკნელ ვრტყვ ვითარმედ ღრამმატიკა არს ჰაზრი ჭილოსოჭოსებრი. ყოვლისა კაცობრივისა. სიტყვერებისათ-ს და თვინიერ ამის ცნობისა რიტორი არს მოკლე - სიტყუა და ბნელ მესტიხე, ანუ მოშაირე, ელამ და მრუდ. ჭილოსოჭოსი უსაფუძულო. მეისტორიე უსიამოვნო და ოლრეულ და ღვთის მეტყული საიკო. ხ მსაჯული უსარგებლო თავისა თვისისა და სხუათაცა: და ვინადგან ღრამმატიკასა შინა აქტისთ ყოველთა ცნობათა ესოდენი საჭიროება. ამისთ-ს დასაბამად ყოველთა ცნობათა დაუდკვესთ ბრძენთა. ვა კარი ყისა სიტყვერებითასა ცნობისა. რალისათ-სცა განსაზღურებს ესთა (?) ეს-რეთ (?) იოანე ჰეტრიწი ჭილოსოჭოსი ვითარმედ ღრამმატიკა არს გამომცდელი მოქმედთა. ანუ აღმწერელთა. და ზედა დაურთავს.. ვითარმედ უმჯობეს არსო ნაქებართა განმრჩეველობა.

და ესრეთ სიტყვერებისა ამის კარის შემვლელთა. ესე იგი ღრამმატიკისა. მეცნთა ყრმათა მოვართმევ: ვითარცა

მწულილთა. პ-დ კეთილ მსახურსა მეფესა ჩვენსა. უითარუა მამებრ მოღუწესა მონათა ამათ თვისთასა. მეორედ უწმიდესსა მწყემსა და მოძლუარსა ჩემსა და მიზეზსა ამათ ცნობათასა ვ-ა მისგანსავე მისდა და მესამედ პატიოსნებასა თქულნსა: ვითარუა ძლიერნთა ყ-დ ძვრფასთა სიტყვიერებისა ცნობისა საფუძულით:

ყ-დ ძლიერო ღ-თო და ყოველისა სიბრძნით განმგებელო დაიცევ სიმრთელით წელთა სიგრძესა შინა შენ მიერ მინიჭებული და შენ მიერ ღიღებული მეფე ჩვენი ირაკლი. უმაღლესითურთ სახლეულით თვისით. რ-ლითაცა განავრცე სათნო ესე შენი მოქმედება ჩ-ნ შორის ნათესავითი ნათესავადმდე საუკუნოდ: / 10 ც.

შესაგადი. წელსა. 1783. შაისს. 28. ღლესა. ჟამსა ვ-იქმნა შემოკრება აქაურთა (თელაველთა) ჩინებულთა სემინარიად. უთქვამთ გალობითა მეუფეო ზეცათაო.

წვრილთა სემინარისტთაგან ითქვა სიტყვა განცვიფრებითი და მაწვეველობითი. სიბრძნისათვის. (დისპუტი!)

ამის შემდეგ სიტყვა კათედრით რეკტორის მიერ განდიდებისათვს და ვ-რებისა იმისის მეფობის ღიღებულობის საქმეთა და მოკლედ ცხად ყოფისათ-ს სალრამმატიკოთა პაზრთა სარგებლობისა:

ამის შემდეგ იწყეს პაეჭრობა (?) სემინარისტთა.

მერე წაიკითხეს ეპისტოლე მისის უწმინდესობისა სემინარისტთადმი ბოძებული.

შემდეგ ამისა სიტყვა მაღლობითი რეკტორის მიერ ნეკარესელ უპისკოპოს დოსითეონს ჩერქეზისადმი. და მერე ისევ გალობა. და თავდება აქტი.

ეს ორივე სიტყვა რექტორისა აქ არის გადმოწერილი ერთი გრამმატიკის სარგებლობაზედ და მეორე სამადლოებელო. *)

s. ხახანაშვილი

*) ნახე ჩემი „Очерки по ист. груз. словесн. выц. III.

უცხოეთის მიმოხილვა

სამხრეთი აფრიკა და ინგლისი.

დასრულდა ის საშინელი დრამა, რომელსაც სამხრეთ-აფრიკის ომს ეძახდნენ და რომელიც სამის წლის განმავლობაში მთელ კაცობრიობის ყურადღებას იპყრობდა. მეტი არ იქნება ჩვენის მკითხველისათვის გავახსენოთ ამ დრამის დასაწყისი და მიმღინარეობა (ამ წერილისათვის ჩვენ ვსარგებლობთ პ. ლერუა-ბოლიეს წიგნით, ინგლისის ახალშენებზე), რისთვისაც საჭიროა მოკლედ მოვიყვანოთ ინგლისის მფლობელობის განვითარების ხასიათი და ისტორია სამხრეთ აფრიკაში.

II

სამხრეთი აფრიკა, რომლის გულისთვის ეს სამი წელიწადია საშინელი სისხლის ღვრა ხდება, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უვარგის და უმნიშვნელო ქვეყანად ითვლებოდა. პირველი ევროპიელი, რომელიც კაპლანდიაში მოვიდა, იყო ცნობილი მოგზაური ბართლომე დიაზი (1486). საუკუნე ნახევარი ამ დროდან არვის ყურადღება არ მიუქცევია კაპლანდიისათვის. მხოლოდ 1652 წლიდან დაიწყეს ჰოლანდიელებმა აქეთკენ გადმოსახლება. ჰოლანდიელებს მიემატა ფრანგი კალვინისტები, რომელნიც ლუი მეთოთხმეტემ განაძევა საფრანგეთიდან.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კაპლანდია ინგლისის ბატონობის ქვეშ გადავიდა, მაგრამ არც ამით დაწინაურებული

ლა მაინც და მაინც ეს ქვეყანა, სანამ ხსენებულ საუკუნის 60-70-იან წლებში აქეთკენ მდიდარი მაღნები არ აღმოაჩინეს. ამ დროიდან სამხრეთი აფრიკა შეიქნა დიდ უურადღების ღირსი და მოკლე ხანში ინგლისის გონიერ პოლიტიკის საშუალებით იგი მეტად დაწინაურდა და განვითარდა.

ინგლისლებზე ადრე მოსული პოლანდიელები ზოგი და მორჩილა ინგლისის მთავრობას და ზოგი კი უფრო ჩრდილოეთისაკენ გადასახლდა და პატარა დამოუკიდებელი რესპუბლიკები შექმნა. მაგრამ ინგლისიც თან და თან იწევდა ჩრდილოეთისაკენ და ახალ-ახალ ადგილებს იძენდა. 1843 წელს ინგლისმა შემოიერთა ბურების დასახლებული ნაწილიც. აქედანაც დაიძრა მეტი წილი ბურებისა და ტრანსვაალში გადასახლდა. ტრანსვაალის დაპყრობაც სკადა ინგლისმა; შეგრამ ბურების სასტიკ წინააღმდეგობის გამო თავი დაანება ამ განზრახვას, დროებით მაინც.

ამ გვარად 1884 წლამდე ინგლისის სამფლობელო სამხრეთ-აფრიკაში ჩრდილოეთით ორანჟეს შდინარეს არ გასცილებია. ამ წლიდან იწყება ხანა ახალ სამფლობელოების შემოერთებისა: ცალკე მდიდარ მაღნების აღმოჩენას, ცალკე ბრიტანიის იმპერიის დიდების მოტრფილეთი (სესილ როდსი:) ენერგიულ მოღვაწეობას ის მოჰყვა შედეგად, რომ ბურების რესპუბლიკების ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები ზამბეზემდე— როდეზია—ინგლისის ტერიტორია შეიქნა. ტრანსვაალი და ორანჟეს რესპუბლიკა გარს შემორტყმული იყო ინგლისის მიწებით.

ოთხმოც-და-ათიან წლებში ბრიტანიის იმპერიის სამფლობელო თავდებოდა ტანგანიკის ტბასთან. სიგრძე ამ სამფლობელოსი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სამიათას ვერსტამდეა; სივრცე მისი უდრის $3.800.000$ ოთხ-კუთხ კილომეტრს. 1806 წელს კი, როცა კაპლანდია ინგლისის ხელში გადავიდა, ეს ქვეყანა ათჯერ უფრო მცირე იყო.

ბევრი სისხლი დაღვარეს ინგლისელებმა, ბევრი უსამართლობა და სისასტიკე ჩაიდინეს იმპერიის სამფლობელოს ასე

გადიდებისათვის, მაგრამ მათ მეტი უფლება ჰქონდათ ამ ქვეყნებზე (თუ შეიძლება აქ სიტყვა „უფლება“ ვიხმაროთ) ვიღებელი მის მეტოქებს (პოლანდიელებს, პორტუგალელებს და სხვებს), უფლება არა „უფრო ძლიერსა“, არამედ უფრო განათლებულისა და კულტურულისა. პორტუგალიას მაგალითად მთელი ოთხი საუკუნე ეჭირა სამხრეთ-აფრიკის ზოგი ქვეყნები, მაგრამ არა გაუკეთებია რა. „ერთად ერთი გამამართლებელი გარემოება კოლონიზაციისა, ერთად-ერთი საბუთი, რომელიც ქმნის კელონიზაციიდან არა მხოლოდ ძალის ცუდად და უსამართლოდ მოხმარებას, არის ცივილიზატორული (განმანათლებელი) მოღვაწეობა ახალშენლებისა, განკითარება ქვეყნის სიმღიდრისა, რომელსაც შკვიდრი მოუხმარებლად სტოვებდა“.

მკითხველს ბევრი მაგალითი ეცოდინება იმისი, რომ ზოგიერთ დიდ სახელმწიფოს ნასახიც კი არ მოეპოვება ამ გამამართლებელ გარემოებისა და საბუთისა, ძალა კი ცუდად და უსამართლოდ მოუხმარიათ. ინგლისმა უსამართლოდ ჩაიგდო ხელში პორტუგალიის მიწები, მაგრამ უსამართლო მოქმედება იმით გამოიყიდა, რომ სულ მოკლე ხანში იმდენი გააკეთა ახლად შეძენილ ადგილებში, რამდენიც პორტუგალელებმა ოთხ საუკუნის განმავლობაში ვერ შესძლეს. 1896 წელს სესილ როდსმა გამოაცხადა, რომ ინგლისმა არ უნდა მისცეს ნება არც ერთ ნაწილს სამხრეთ-აფრიკისას დარჩეს ველურ მდგომარეობაში და მართლაც ასრულებს ინგლისი ამ განზრახებას.

ინგლისი ენერგიულად იძენდა ახალ-ახალ ადგილებს, მაგრამ იგი არსად არ აჩქარებულა და წინდაუხედავ ზომებისათვის არ მიუმართავს: სამხრეთ-აფრიკა დასხლებულია ბევრ სხვა და სხვა ტომის ხალხით; ინგლისს არ მოუნდომებია და არ უცდია და-პურობილ ქვეყნების გადაგვარება, ადგილობრივ ენების და საზოგადოთ თავისებურობის მოსპობა. ინგლისის სამი სამფლობელო (კაპლანდი, ნატალი და ბეჩუანალანდის ნაწილი) სრულის ავტონომიით სარგებლობს. იქ, სადაც აფრიკანდრები

სცხოვრობენ, ინგლისურს და პოლანდიურ ენებს თანასწორი უფლება აქვთ.

ლანარჩენი სამფლობელოები პროტექტორატს წარმოადგენენ. აქ თითქმის მარტო აფრიკელი ხალხები სცხოვრობენ (ზაზუტოლანდი, ზულულანდი, ამატონგალანდი, ბეჩუანალანდი, ნაზალანდი). ამ ქვეყნების შემოერთება გამოწვეულია მხოლოდ საერთაშორისო სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად; რაც შეეხება შემოერთებულ ქვეყნების შინაგან წეს-წყობილებას. და მართვა-გამგეობას, ინგლისს არაფერო შეუცვლია — მან ნება მისცა ყველას თავისებურად იცხოვროს: პროტექტორატების მეტ ნაწილში ინგლისის მთავრობა ნებას არ აძლევს თეთრკანიანებს იქ დაესახლოა, რადგან ამით შესაძლებელია წესიერების დარღვევის გამოწვევა.

დედა-აზრი ინგლისის საახალშენო პოლიტიკისა არის — მისცეს თეთრ-კანიანებს, თუ რიცხვი საკმაო არის, სრული თვით მართველობა და უზრუნველ ჰყოს სრულებით გაუნათლებელ შავკანიან ხალხების უფლება და ზნე-ჩვეულება. მართალია, ინგლისი სასტიკ ზომებს ხმარობს შავკანიანების წინა-აღმდეგ, როცა ესენი აჯანყებას ბედავენ, მაგრამ როცა აჯანყებულები დამორჩილდებიან ინგლისის მთავრობას, მათ ჰუმანურად ეპყრობიან. ამიტომაც არის რომ ინგლისის სამფლობელოებში შედარებით მშვიდობიანობა და წესიერება სუფეს.

მშვიდობიანობისა და წესიერების შემდეგ მთავრობის პირები საზრუნავი საგანი დაპყრობილ განუვითარებელ ქვეყნებში გზების გაყვანაა. ამ მტრივაც ინგლისმა სამაგალითო უნარი გამოიჩინა: შედარებით მოკლე დროში ინგლისლებმა გაიყვანეს სამხრეთ-აფრიკაში ექვსი ათასი ვერსი მარტო რკინის გზა, რამაც სრულებით შესცვალა ეკონომიკური მდგომარეობა ამ ქვეყნებისა.

ამ გვარად ინგლისმა მოკლე დროში საკვირველად განავრცო თავისი სამფლობელოები სამხრეთ-აფრიკაში, მისცა მათ საუკეთესო და შესაფერი წესი მართვა-გამგეობისა ადგი

ლობრივ თავისებურობისა და თავისუფლების დაუჩაგვრელად, შექმნა ისეთი პირობები და საშუალებანი, რომელნიც შესაძლებელ ხდიდა ბუნებრივ სიმდიდრით სარგებლობას და მოხმარებას, დაამყარა ამ ველურ და განუვითარებელ ქვეყნებში შედარებით კარგი წესი და მშვიდობიანობა.

ინგლისლებს „შეეძლოთ ეამაყნათ თავიანთ მოღვაწეობის შედეგით და კმაყოფილი ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს ესე არ იყო, რადგან სამხრეთი აფრიკა არ ეკუთვნოდა სავსებით ბრიტანიის იმპერიას—შუაში ჩაჩიტული იყო ორი პატარა დამოუკიდებელი რესპუბლიკა ბურებისა.

II

ბრიტანიის იმპერიის დიდების მოტრფიალეთა საწადელი საგანი იყო, რომ ინგლისის დროშა ყოფილიყო აფრიიალებული სამხრეთ-აფრიკის ყოველ კუთხეში. სამხრეთ-აფრიკის სამფლობელოების თავისუფალი ფედერაცია დიდი ბრიტანიის მფარველობის ქვეშ — აი ის მიზანი, რომლის განხორციელებას სცდილობდა „შეუდარებელის ენერგიითა და თავგამოდებით „კაპის ნაპოლეონი“ სესილ როდსი. ამ მიზნის მისაღწევად ინგლისის იმპერიალისტებმა ჯერ ძალ-მომრეობა სცადეს (1877—1882), მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ ისეთი მღელვარება გამოიწვია მთელ სამხრეთ-აფრიკაში, ტრანსვაალის ბურებმა ისეთი სიმტკიცე გამოიჩინეს, რომ ინგლისი უკან დაიხია და მშვიდობიან და ჰუმანურ პოლიტიკის გზას დაადგა, რასაც სასურველი შედეგი მოჰყვა. უმთავრესი და საუკეთესო წარმომადგენელი ამ ჰუმანურ პოლიტიკისა სესილ როდსი იყო. სესილ როდსმა მოიგო გული არა მარტო კაპელ ბურებისა, არამედ ორანჟელებისაც. როდსის გონიერ და სამართლიან პოლიტიკას მიეწერება, რომ ორანჟეს რესპუბლიკა საღამოუნო კავშირით შეეკრა კაპის ახალშენს. ასეთი კავშირი კი წინამორბედია ნამდვილ პოლიტიკურ კავშირისა. როდსის პოლიტიკა აშშადებდა.

ნიადაგს სამხრეთ აფრიკის მომავალ ფედერაციისას. მაგრამ საქ-
მემ, სამწუხაროდ, სხვა მიმართულება მიიღო.

ინგლისს შეურიგებელი მოწინააღმდეგე ჰყავდა სამხრეთ-
აფრიკაში, ეს იყო ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტი
კრიუგერი, რომელსაც დიდი იყო ტრანსვაალის პრეზიდენტი
გარეშეც. მხურვანი კრიუგერი სულითა და გულით,
მთელ თავის გონებითა და გავლენით ებრძოდა ინგლისის გავ-
ლენას ბურებ შორის. და კრიუგერს ისეთი მნიშვნელობა და
გავლენა პრონდა ტრანსვაალში, რომ ინგლისის პოლიტიკის გა-
მარჯვება აქ შეუძლებელი იყო. მეორე მხრივ, ინგლისელ იმპე-
რიალისტებს მოუთმენელობა ეტყობოდა. პატარა ტრანსვაალის
„ჯიუტობა“ უშლიდა ხელს სინამდვილედ გარდა ქცეულიყო მათი-
ოცნება სამხრეთ-აფრიკის ფედერაციაზე და ამიტომ შეუდგ-
ნენ საქმის დაჩქარებას, რაც დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს:
მართლაც, თუ კრიუგერი და მისი თანამოაზრენი ასეთის სიმ-
ტკიცით ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისის პოლიტიკას, ეს უმ-
თავრესად აიხსნება იმითი, რომ ამათ რამდენჯერმე შეტაკება
მოუვიდათ ინგლისლებთან, რამდენჯერმე გამოსცადეს ინგლის-
ლების ძალ-მომრეობა. ამიტომაც მეტად უნდო თვალით უყუ-
რებდნენ ინგლისლების ჰუმანურ პოლიტიკასაც, არ სჯეროდათ
მათი. მაგრამ როცა ეს ძველი თაობა გადადგებოდა ცხოვრე-
ბის ასპარეზიდან, ადვილად შესაძლებელი იყო, რომ ტრანს-
ვაალელ ბურების ქცევაც შეცვლილყო. ამის ნიშნებიც იყო:
რამდენიმე პირი, რომელიც წინად ინგლისლების შეურიგებე-
ლი მტერი იყო, ბოლოს ინგლისთან მეგობრულ განწყობილე-
ბის მომხრე იყვნენ; ასეთ პირებს ეკუთვნოდა სხვათა შორის
გენერალი უბერი.

მაგრამ იმპერიალისტები აჩქარდნენ და საქმემ მეტად ტრა-
ლიკული მიმართულება მიიღო.

მეორე მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ეგრედ წოდე-
ბული უიტლენდერების კითხვა იყო. უიტლენდერები ის უცხო-
ელებია, მეტ წილად ინგლისლები, რომელნიც ოქროს მაღნე-
ბის აღმოჩენის გამო მოსულან ტრანსვაალში და ამ შადნებს

ამუშავებენ, იმ თავითვე უკმაყოფილება, და განხეთქილება ჩა-
მოვარდა ბურებსა და უიტლენდერებ, შორის. უკმაყოფილე-
ბისა და განხეთქილების ბრალი ორივე მხარეს ედება.

უიტლენდერები სამართლიანად უჩიოდნენ ტრანსვაალის
მთავრობას, რომ იყო ავიტროებს და აფერხებს ოქროს მაღნე-
ბის დამუშავების საქმეს.

მართლაც, ტრანსვაალის მთავრობის ზოგიერთი ზომები
მცნებელი და საზარალო იყო სამართლი მრეწველობისა-
თვის. უმთავრესი ამ ღონის ძიებათაგანი იყო დინამიტის
მონაბლია, ნახშირის, გადატანის, ტარიფი და შავ-კანიან მუ-
შების შესახები კანონი, რადგანაც დინამიტის ვაჭრობის მონა-
ბლია ტრანსვაალში პოლანდიურ „კამპანიას“ მისცა ტრანსვაა-
ლის მთავრობამ, ამიტომ ეს სამართლი მუშაობისათვის აუკი-
ლებელი საქონელი მეტად ძვირად იყიდებოდა ტრანსვაალში.
მაგალითად დინამიტის ერთი ყუთი, რომელიც კიმბერლეში
70 ფრანკი ფასობდა, იოჰანესბურგში 113 ფრანკად ლირდა,
რაც მეტად აძვირებდა. მაღნის წარმოებას.

ნახშირის გადაზიდვის, ლირებულება ტრანსვაალში ყველას
აზრით, ვინც კი კითხვას გაცნობია, წარმოუდგენელად დიდია.
რაც შეეხება შავ-კანიან მუშების საქმეს, ამ მხრივაც ტრან-
სვაალის მთავრობა ვერ იქცევოდა სამართლიანად: მან აკრძალა,
რომ ერთ ფერმაზე ხუთზე მეტი შავკანიანი სცხოვრობდეს,
ცითომ-და იმ მოსაზრებით, რომ ბევრ შავ-კანიანების ერთად თავ-
მოყრა საშიში იყოს მშვიდობიანობისათვის: ეს გარემოება კი-
ნებს უშლიდა მწარმოებელს პკოლოდა საჭირო რიცხვი მუშე-
ბისა. გარდა ამესა ტრანსვაალის მთავრობა ნებას აძლევდა ყვე-
ლას სპირტიან სასმელების გაყიდვისას შავ-კანიანებზე. პოლი-
ციაც არ ვარგოდა ტრანსვაალში, ამიტომ ხშირად სძარცვავდნენ
სახლში დაბრუნებულ შავ-კანიანებს, რაც მეტად აშინებდა მათ
და ამიტომ აღარ ბრუნდებოდნენ სამუშაოდ. საზოგადოდ ეკონო-
მიური პოლიტიკა ტრანსვაალის მთავრობისა ვერ იყო საზრია-
ნი და სამართლიანი. საღამოუნო ტარიფი ტრანსვაალის რეს-
პუბლიკისა შესამჩნევად აძვირებდა ცხოვრებას ამ სახელმწი-

ფოში და უიტლენდერები მართალი იყვნენ, როცა ამ ტარი-
ფის შემცირებას თხოულობდნენ.

ჟველა ზემოხსენებულ კითხვაში ტრანსვაალის მთავრობა
დანაშაული იყო. სულ სხვაა პოლიტიკური მხარე უიტლენ-
დერების მოძრაობისა.

როგორც ნათქვამი იყო, უიტლენდერები მაღნის სამუ-
შაოდ და გასამდიდრებლად მოსული ხალხი იყო. ტრანსვაალ-
ში სამუდამოდ დასახლებას იშვიათი მათგანი მოინდომებს.
მრუხედავათ ამისა ისინი თხოულობდნენ ტრანსვაალის მთავრო-
ბისაგან სრულ პოლიტიკურ უფლებებს, თუ ხუთ წლამდე ტრან-
სვაალში უცხოვრია მათ, თან ისე, რომ ინგლისის ქვეშევ-
რდომიც უნდა დარჩენილიყვნენ: უიტლენდერი ორ სახელმ-
წიფოს სწორ უფლებიანი ქვეშევრდომი უნდა გამხდარიყო,
რაც არსად არ ნახულა და გაეონილა. ყველასათვის ცხადი
იყო, რომ ასეთ უსამართლო მოთხოვნას მიზნად ტრანსვაალის
დამოუკიდებლობის მოსპობა ჰქონდა. მაგრამ რადგან ასეთ
მოთხოვნის დაქმაყოფილება ეგრე ადვილად არ მოხდებოდა,
უიტლენდერებმა აჩქარებულ იმპერიალისტებთან ერთად ჯემ-
სონის ცნობილი შემოსევა (1895 წელს) გააწყო, მაგრამ, რო-
გორც ვიცით, ეს შემოსევა დამწყებთა სამარცხვინოდ გათავ-
და. ჯემსონის ისტორიაშ ბრძანაც კი დაანახვა, თუ რას ელ-
ტვოდნენ უიტლენდერები და მათი მხარის მიმცემნი.

ესევე ითქმის ყველა იმ ფაქტებზე, რომელნიც ჯემსო-
ნის შემოსევიდან ომის გამოცხადებამდე მოხდა. 1899 წლამ-
დე ინგლისს ბევრი საერთაშორისო საქმე გაუჩნდა და მას რომ
უნდოდა, ისე ვერ მოიცალა სამხრეთ-აფრიკისათვის. ამ წელს
კი მან მთელი თავისი ყურადღება ტრანსვაალს მიაპყრო, საქმე
იმით დაიწყო, რომ უიტლენდერებმა გამოუგზავნეს ინგლისის
დედოფალს ვრცელი პეტიცია, რომელზედაც 21,000 კაცი
ეწერა ხელი. პეტიციაში ჩამოთვლილი იყო ყველაფერი, რაც
უიტლენდერების უკმაყოფილებას იწვევდა, და ბოლოს სთხოვ-
დნენ დედოფალს საქმეში ჩარევას და ტრანსვაალის მთავრო-
ბასთან მოლაპარაკების გამართვას. უიტლენდერებს, როგორც

ყოველთვის, ეხლაც მხარი მისუა სამხრეთ-აფრიკისა და ინგლისის უურნალ-გაზეთობამ, რომელიც დიდის ხერხითა და მჭერაშეტყველებით ლაპარაკობდა ბურების ოლიგარხიაზე, მათგან მცხოვრებთა უმრავლესობის შევიწროვებაზე და იმ შიშზე, რომელი მოელის მათგან ბრიტანიის ინტერესებს სამხრეთ-აფრიკაში. ჩემბერლენის მიერ ჩაგონებული პრესა მარჯვედ ასრულებდა ჩაგონებელის განზრახვას—ტრანსვალის წინააღმდეგ გრძნობებს უღვიძებდა საზოგადოებას და თანაგრძნობას იძნდა ჩემბერლენის პოლიტიკისათვის, რომლის მიზანი ბურების დამოუკიდებლობის მოსპობა იყო. ჩვენი მიზანია ყველა თეთრ-კანიანების სრული გათანასწორებაო, გაიძახოდნენ იმპერიალისტები. ჩემბერლენმა უიტლენდრების პეტიციის შესაფერი წინადადება მისუა ტრანსვალის მთავრობას. ახალშენების მინისტრის ასეთი ქცევა წინააღმდეგი იყო ტრანსვალის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა, რაღაც უცხოსახელფრიფოს მინისტრი ერეოდა რესპუბლიკის შინაურ საქმეებში. კრიუგერი მაინც დასთანხმდა კონფერენციაზე, რომელიც ბლუმფონტენში მოხდა. კონფერენციაზე ვერ შეთანხმდნენ ინგლისისა და ბურების წარმომადგენელნი. მაგრამ კრიუგერმა, ორანჟესა და კაპის ბურების ჩაგონებით, მიაღებინა ფოლქსრაარს (პარლამენტს) კანონი, რომლის ძალით ყოველი უიტლენდერი ხდებოდა ტრანსვალის მოქალაქე, თუ იგი შვიდის წლის განმავლობაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ამითი თითქმის სავსებით ასრულდა ის, რასაც ინგლისის წარმომადგენელი მილნერი თხოულობდა ბლუმფონტენში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მილნერი შვიდის წლის მაგიერ ხუთს თხოულობდა. ინგლისის მთავრობას რომ ტრანსვალის დამოუკიდებლობის მოსპობა არ ნდომებოდა, იგი აღვილად დაკმაყოფილდებოდა კრიუგერის დათმობით, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩემბერლენის განზრახვა სწორედ ამ დამოუკიდებლობის მოსპობა იყო. და ბოლოს კრიუგერმა სავსებით მიიღო მილნერის მოთხოვნა—შვიდი წელი ხუთად შესცვალა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ინგლისს საბოლოოდ

ეცნო ტრანსვაალის სრული დამოუკიდებლობა და შემდეგში არ ჩარეცლიყო მის შინაურ საქმეებში. ჩემბერლენი ეხლა ამ დამოუკიდებლობას გამოუდგა და უმტკიცებდა კრიუგერს და ქვეყანას, რომ ტრანსვაალს უფლება არა აქვს დამოუკიდებლობაზე, რომ ინგლისი მისი სიუზერენია. დამოუკიდებლობის დაკარგვას კრიუგერი ვერ შეურიგდებოდა. და რომ საქმის გაჭიანურებით ინგლისი კარგად ვერ მომზადებულიყო ომისათვის, რომელიც ყველას თვალში აუცილებელი იყო, ტრანსვაალის მთავრობამ ულტიმატუმი გაუგზავნა ინგლისის მთავბას 19 ოკტომბერს (1899 წ.). ულტიმატუმში ნათქვამი იყო, რომ წინანდელ ხელშეკრულებათა ძალით ტრანსვაალი მხოლოდ იმის მოვალე იყო, რომ ყველა უცხოელებისათვის ისეთივე სამოქალაქო უფლება მიენიჭა, როგორიც ბურებს ჰქონდათ და რადგან ეს მოვალეობა მას არ დაურღვევია, ინგლისს უფლება არ ჰქონდა ჩარეცლიყო ტრანსვაალის შინაურ საქმეებში. მაგრამ ტრანსვაალის მთავრობამ მაინც მიიღო ინგლისის წინადადება პოლიტიკურ უფლების შესახებ. ეხლა კი ინგლისის მთავრობის მოხხოვნამ ზომას გადააცილა. გარდა ამისა ინგლისელ ჯარების თავის მოყრა ტრანსვაალის საზღვარზე საშიშ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული და ამიტომ ტრანსვაალი თხოულობს — არსებულ უთანხმოების საგანი გადაეცეს სამედიატორო სამართალს, საზღვრიდან ჯარები წაყვანილ იქმნენ, დაბრუნებულ იქნენ ინგლისში ის ჯარები, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში უნდა მოვიღნენ. და შეჩერებულ იქმნას სხვა ჯარების გამოგზავნა; თუ 48 საათის განმავლობაში დამაკმაყოფილებელი პასუხი არ იქნა მოსული ინგლისის მთავრობისაგან, ეს გარემოება მიჩნეული იქნება ომის გამოცხადების ნიშნად. მეორე დღეს მოვიდა ჩემბერლენის პასუხი, რომ ასეთ წინადადების განხილვა ყოვლად შეუძლებელია. 11 ოკტომბერს 1899 წელს ინგლისის წარმომადგენელს პრეტორიაში წინადადება მისცეს დაეტოვებინა რესპუბლიკის ტერიტორია. 12 ოკტომბერს პირველად გავარდა თოფი და დაიწყო საშინელი სამხრეთ-აფრიკის ომი.

ჩემბერლენის და მის მომხრეთა სურვილი აღსრულდა და რასაკვირველია, კმაყოფილებას გრძნობდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ საქმე მალე და ადვილად გათავდებოდა; ამათი აზრით, ტრანსვაალის დაპყრობა ინგლისის ჯარისათვის უბრალო „სამხედრო გასეირნება“ უნდა ყოფილიყო. იმპერიალისმით გატაცებული პოლიტიკოსები ღირსეულად ვერ აფასებდნენ იმ ნიშნებს, რომელნიც ჰევრ სიძნელეს უქადოდნენ ინგლისს სამხრეთ-აფრიკაში. ასეთი ნიშანი იყო კაპელ ბურების თანაგრძნობა ტრანსვაალისადმი, თანაგრძნობა, რომელსაც ისინი არ ფარავდნენ. მეორე ნიშანი იყო ორანჟეს რესპუბლიკის ქცევა—მან პირდაპირ გამოუცხადა ინგლისის მთავრობას, რომ იგი ტრანსვაალის მომხრეა და თუ ომი ატყდა, ისიც ტრანსვაალს ამოუდგება მხარში.

თვისტომობამ, ეროვნულმა გრძნობამ დაავიწყა კაპელებს ლოიალისმი, დაავიწყა ორანჟელებს მეგობრული განწყობილება ინგლისთან.

გარდა ამისა ინგლისის წინ დაუხედავ მთავრობას სრულებით გამოეპარა ის სამხედრო სამზადისი, რომელსაც ბურები დიდი ხანია შესდგომოდნენ. ინგლისის მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აფრიკაში, განსაკუთრებით ჯემსონის ისტორიის შემდეგ, როგორც ნათქვამი იყო, ყველასათვის ცხადი შეიქნა. ამიტომ ტრანსვაალი ადრევე შეუდგა სამხედრო მომზადებას და ომის დაწყებამდე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იყო. იმის შიშით, რომ ინგლისს არ დაეჩქარებია თავის განზრახვის სისრულეში მოყვანა, ეს შეიარაღება გასაოცარის საიდუმლოებით ხდებოდა. ამ მიზნისათვის საჭირო თანხა შეტანილი იყო ყოველ წლიურ ხარჯთ-აღვრიცხვაში სხვა და სხვა მუხლებ შორის. ქვეყანა გაკვირვებული იყო ტრანსვაალის ბიუდჯეტის სიღილით. ინგლისი ტრანსვაალის მართველების ანგარებაზე და უპატიოსნობაზე ლაპარაკობდა და ზიზღით იხსენიებდა მათ

ქცევას. ბურების მეგობრებიც ვერ ახერხებდნენ მათ დაცვას, რაღაც მართლა შეუფერებელი იყო ასეთი ბიუდჯეტი ისეთ პატარა სახელმწიფოსათვის, როგორიც ტრანსვაალია. მაგრამ როცა 1899-ში ტრანსვაალის მთავრობამ ახალი გადასახადი მიუმატა მაღანების შემოსავალს, მთელი ქვეყანა მის ლანძღვაკიცხვაში იყო. ვინ იცოდა, რომ ყველა გადამეტებული ხარჯი სამხედრო მომზადებისათვის იყო გადადებული. ეხლა, როცა ქვეყანამ გაიგო, თუ რა მიზნისათვის ხდებოდა ყველაფერი, ყველას უკვირს ტრანსვაალის მთავრობის სულის ძალა და მოხერხება ასეთის მომზადების დამალვისა. „ნამდვილ ტრალიკულ სტდიადეს წარმოადგენდა ბურების ერის მდგომარეობაო, ამბობს ფრანგი მწერალი; პატარა ერი ჩუმად ემზადება უიმედო ბრძოლისათვის და ყურადღებას არ აქცევს შეურაცხოფას; რომელსაც მას ყოველის მხრიდან აყენებენ მომტყუებელ გარეგნობისათვის“-ო.

კიდევ მეტი სულის ძალა და მოხერხება ბურებმა თვით ბრძოლის დროს გამოიჩინეს.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ინგლისის მთავრობას სამხერეთ-აფრიკის ომი „სამხედრო გასეირნებად“ მიმწნდა. უურნალ-გაზეთობამ დაარწმუნა საზოგადოება, რომ ინგლისის ჯარის კაცები შობას პრეტორიაში იდლესასწაულებენ და რომ სამის თვის განმავლობაში ბურების ორივე რესპუბლიკა საბოლოოდ დაპყრობილი იქნება. ფინანსთა მინისტრმა ამისათვის 250 მილიონი ითხოვა და თან გამოაცხადა რომ ეს თანხა სრულებით საკმარისი იქნება დაწყებულ ომის დამთავრებისათვისთ. ახალ შენების მინისტრს ჩემბერლენს ეთქვა კერძო ლაპარაკის დროს, რომ თუ იგი „40,000 ჯარის კაცს თხოულობს, მხოლოდ იმიტომ რომ სამხედრო პირების მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ნამდვილად კი 20,000 კაცია საკმარისი ბურების დასაპყრობადო“.

ნამდვილად კი ინგლისს დასჭირდა თავის მიზნის მისაღწევად 300 ათასამდე ჯარის კაცი. და ხუთ მილიარდზე მეტი ფული. ბრიტანიის იმპერიამ თავის სასახელოდ, შესძლო ამო-

დენა ჯარის კაცის სამხრეთ-აფრიკაში გადაყვანა და ამოღენა ფულის სახლშივე შოვნა, რასაც ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შესძლებდა. მაგრამ ამ ფაქტმა მაინც ცხად ჰყო ყველასათვის ინგლისის მთავრობის სრული მოუმზადებლობა სამხრეთ-აფრიკის ომისათვის, რომელიც მან თვითონ გამოიწვია.

პირველი მიზეზი სამხრეთ-აფრიკის ომის ასეთ სიძნელისა არის სამხრეთ-აფრიკის ტერიტორიის და ჰავის ხასიათი. „არ ყოფილა მაგალითი, რომ ამოღენა ჯარს ემოქმედნოს ისეთ უდაბნო ქვეყანაში, როგორიც სამხრეთ-აფრიკაა“. მთელი ტერიტორია მეტად თხლად არის დასახლებული — ერთ ოთხ-კუთხ ვერსზე მოდის სამზე ნაკლები მცხოვრები. ამასთან სამი მეოთხედი მცხოვრებლებისა შავ-კანიანები არიან: რამდენად მეტი შავკანიანი სცხოვრობს განსაზღვრულ სივრცეზე, იმდენად ნაკლებ ხალხს შეუძლია შეინახოს თავი ამ ადგილზე. ინგლისის ჯარის მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდდებოდა, იმის გამო, რომ თეთრ-კანიანების მატერიალური კულტურაც ვერ იყო განვითარებული. ბურები მეტ-წილად მწყემსები არიან და როცა ომი ასტყდა, მათ თავიანთი საქონელი გარეკეს და ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა ადგილობრივ ჯარის გამოკვება. „ინგლისის ჯარის სამოქმედო ასპარეზი სამხრეთ-აფრიკაში უფრო ღარიბი იყო მატერიალურ საშუალების მხრივ, ვიღრე რუსეთის შიდა ნაწილი 1812 წელს, როცა მას ნაპოლეონის ჯარები შემოესია“. სამხრეთ-აფრიკის ჰავაც მეტად ხელს უშლიდა ამ ჰავის შეუჩვეველ ინგლისელების სამხედრო ოპერაციებს.

ინგლისელი ჯარის-კაცი შედარებით საუკეთესო ცხოვრებას არის მიჩვეული. არსად ჯარს ისე არ ინახვენ როგორც ინგლისში. სამხრეთ-აფრიკაში კი კომფორტს მიჩვეული ინგლისელი მეტად გაჭივრებულ პირობებში ჩავარდა და, რა გასაკვირველია, თუ იგი ერთბაშად ვერ გადაეჩინა ხანგრძლივად შეძენილ ჩვეულებებს ცხოვრებისას.

ბურის მდგომარეობა კი სულ სხვა იყო. ეს უდაბნო ქვეყანა მისი სამშობლო იყო, რომელსაც იგი კარგად იცნობდა;

თავისი საქონელი მუდამ თან ჰყავდა. იგი ბავშვობილან შეჩვეულია სასტიკ და ღარიბ ცხოვრებას, მისთვის კომფორტი სრულებით უცნობი ხილია. სამხრეთ-აფრიკის ომს ბევრით არ შეუცვლია ბურის ცხოვრების პირობები—ბავშვობილან ბური ცხენზე ზის და თოფი ხელში უჭირავს, ამიტომ იგი ყოველთვის შესანიშნავი ცხენოსანი და შეუდარებელი მსროლელია, იმ თავითვე შეჩვეული ყოველ გვარ გაჭირვებას. მაგრამ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი პირობები თუმცა დიდ მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც გარეგანი პირობებია. იყო, ეგრევთქვათ, შინაგანი პირობაც, რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-აფრიკის ომის მიმდინარეობისათვის, ეს პირობაა ორ მებრძოლ ჯარის სულის მდგომარეობა: ბური თუ თავგანწირულად და მამაცად იბრძოდა, ეს მარტო იმის შედეგი როდი ყოფილა, რომ იგი ბავშვობილან შეჩვეული იყო ცხენს, თოფსა და გამძლეობას, არა მისი თავგანწირვის და მამაცობის მიზეზი იყო მამულის და მის თავისუფლების შეგნებული სიყვარული; ბურისათვის მამული და თავისუფლება წმიდათა წმიდაა და ამიტომაც იყო, რომ იგი მტლად ედებოდა მას.

არც ინგლისელ ჯარის კაცის შედარებითი სისუსტე აიხსნება მარტო ქვეყნის ბუნებრივ პირობების შეუჩვეულობით და სიმკაცრით. არა, იგი გრძნობდა, რომ მისი მებრძოლი ბური თავის კერასა და თავისუფლებას იცავს, რომ ამ კერისა და თავისუფლების დაცვის უფლება ყველასა აქვს. ასეთი გრძნობა ფრთებს უკვეცავდა ინგლისელის გატაცებას და გატაცება კი ერთი აუცილებელი პირობათაგანია ჯარისკაცის მხნე და გაბედულ მოქმედებისათვის.

IV

1899 წლის 12 ოქტომბრისათვის, როცა პირველად გავარდა თოფი ბურებსა და ინგლისლებს: შორის, ინგლისს სულ

თრთხმეტიოდე ათასი ჯარის-კაცი ჰყავდა სამხრეთ-აფრიკაში. ამასთან არც ომის გეგმა ჰქონია შემუშავებული.

ბურები კი, რომელნიც დიდის ხნით იყვნენ მომზადებული, შეესიენ ინგლისის საზღვრებს, ორი ათასამდე ტყვე წაართვეს მტერს და ოქტომბრის დამლევს მოამწყვდიეს მისი ჯარები ქ.ქ. ლედისმიტში მდ. ტუგელაზე, მეფეკინგში და კიმბერლეიში დასავლეთით. ბურების ჯარი მიღიცია იყო, შესანიშნავ მეომარებისაგან შემდგარი, მაგრამ მაინც მიღიცია, რომელმაც არ იცის და რომელსაც არ ეხერხება მრავალის რიცხვით იერიშით მისელა. ამიტომაც მოხდა, რომ პირველ გამარჯვების შემდეგ, როცა ინგლისის ჯარები მოხსენებულ ქალაქებში მოემწყვდნენ, ბურების მოქმედება შეჩერდა; მთელი მათი მოქმედება სამ ქალაქის ალყის შემორტყმით გათავდა და მთელი ჯარი ამ სამ ქალაქს მისჩერებოდა.

ამასობაში ინგლისლებს ჯარები მოემატათ და უფრო ენერგიულ მოქმედებას შეუდგნენ. ნოემბრის შუა რიცხვებში ლორდი მეტუენი გაჩნდა მდ. ორანჟეზე და კიმბერლეის გასანთავისუფლებლად წავიდა. მეტუენს ოთხი დიდი შეტაკება მოუხდა ბურებთან, პირველ სამ შეტაკების დროს დიდალი ინგლისლები დაიხოცნენ. მაგრამ ბურები მაინც იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. მეოთხე შეტაკებაში კი (11 დეკემბერი) მაგერსუონტეინთან მეტუენის ჯარი სასტიკად დამარცხდა; ინგლისლებს ათასამდე კაცი გამოაკლდათ. ორი დღის შემდეგ დამარცხდა გენერალი გატეკრი (სტორ მხერგთან, კაპის ახალშენში) და დაპკარგა ექვსასი ჯარის კაცი. 15 დეკემბერს ინგლისელ ჭარების მთავარ-სარდალი რიცვერს ბულერი, ლედისმიტის გასანთავისუფლებლად მიმავალი, შეეხება ბურებს მდ. ტუგელასთან და საშინლად დამარცხდა (კოლენზო) — დაპკარგა ორი ბატარეიია და ათას ორასამდე ჯარის კაცი.

საშინელი, ზავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ბურების ასეთმა გამარჯვებამ ინგლისის საზოგადოებაზე და არც საკვირველია, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ სამხრეთ-

აფრიკის ომი უბრალო „სამხედრო გასეირნება“ იქნებოდა და რომ სამ თვეზე ბურებს დაიმორჩილებდნენ.

ინგლისლების საბეჭნიეროთ ბურებმა ვერც ეხლა ისარგებლებს თავიანთ გამარჯვებით, ისე როგორც ამით ისარგებლებდა ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი: ბურების გამარჯვებული ჯარი დროსა და შეძლებას აძლევს სასტიკად დამარცხებულ მტერს გონზე მოვიდეს და ძალა შემოიკრიფოს.

ბურების მაგიერ ინგლისის ჯარების მთავარსარდლად საუკეთესო ინგლისელი გენერალი რობერტსი დაინიშნა და ორ თვეზე, 1900 წლის თებერვალს, ორას ათას ჯარს მოუყარეს თავი სამხრეთ-აფრიკაში. ბურები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. ეხლა ინგლისი მიღიოდა იერიშით მტერზე. დაიწყო მეორე ხანა სამხრეთ-აფრიკის ბრძოლისა. გენერალ ფრენჩმა განათავისუფლა ალყა შემორტყმული ქ. კიმბერლეი. ბურების მთავარ-სარდალ კრონიქს თან და თან გარს შემოერტყა ინგლისის ჯარი და იგი მდ. მოდერთან იქმნა მომწყვდეული. რვადღის განმავლობაში გმირულად იბრძოდა ბურების პატარა ჯარი (4,000) რობერტსის თხუთმეტჯერ მეტ ჯარის: კაცების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა მტერს დანებებოდა (17 თებერვალი). რამდენიმე პატარა შეტაკების შემდეგ რობერტსი ქ. ბლუმფონტენში შევიდა (13 მარტი).

სწორედ ეს მომენტი აირჩია კრიუგერმა ზავის წინადადება მიეცა ინგლისის მთავრობისათვის; მას იმედი ჰქონდა, რომ, რა კი ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა სამხრეთ-აფრიკის ომის სიძნელე, ინგლისის მთავრობა მოისურვებდა ზავის ჩამოგდებას. მაგრამ იმედი გაუცრუვდა — ლორდ სოლსბერიშ მოითხოვა ბურებისაგან სრული დამორჩილება. კრიუგერი რასაკვირველია ამას ვერ დასთანხმდა და ომი გაგრძელდა.

ბლუმფონტენის აღებისათანავე აგრძნობინეს ბურებმა ინგლისელებს, რომ თუ მათ ზავი მოითხოვეს, იმიტომ კი არა, რომ ომის განგრძობა არ შეეძლოთ. ამ დროს იჩინა თავი პირველად ბურების შეუდარებელმა გმირმა დევეტმა. ქ. სანა-ჰილან სულ რამდენიმე ვერსტის მანძილზე მან წართვა ინგ-

ლისლებს რამდენიმე ზარბაზანი; სურსათის ფურგონები, დაუნგრია მათ წყლის რეზერვუარი, გზები. ერთის სიტყვით მისგან მოსვენება არ ჰქონდა ინგლისის ჯარს. მხოლოდ მასში მოახერხა ობერტუსმა ჩრდილოეთისაკენ დაძვრა. ბურები ვერ გაუწევდნენ რობერტისის დიდ ჯარს პირდაპირ წინააღმდეგობას და ამიტომ ინგლისლებმა აიღეს ითვალისწინებურგიც (31 მაისი) და პრეტორიაც (5 ივნისი). ცოტა უფრო აღრე მეფეინგიც განთავისუფლდა ბურების ალყისაგან.

ეხლა ინგლისლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ რაյო მტრის უმთავრესი ქალაქები აღებულია, მტერიც იძულებული იქნება იარაღი დაჰყაროს და დამორჩილდეს გამარჯვებულ ინგლისს. ის კი არ იცოდნენ, რომ ქალაქებს ბურებისათვის არაეთა - მნიშვნელობა არ ჰქონდა და რომ ამ ქალაქების აღების რაინი არ გათავებულა, არამედ იწყებოდა ახალი უსაშინელესი ბანა, ხანა პარტიზანულ ომისა (სათარეშო ომი).

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მთავარ-სარდალი რობერტის შევიდა იოჰანესბურგში, დევეტმა დაატყევა მთელი ბატალიონი, ინგლისის ჯარისა და შემდეგ გისტია-დელარეისაკენ, რომ მასთან ერთად ნიტროლსნეკთან ინგლისის ახალი ჯარი დაეტყვევებინა. სულ ფუჭი და უნაყოფო იყო დევნა ამ ორი გმირისა და მათი რაზმებისა; გარდა ჯარების დაღალვისა და დაქანცვისა, სხვა შედეგი არ ჰქონია ამ დევნას. ტყვილი და ფუჭი იყო აგრეთვე რობერტის გამოცხადება, რომ ორანჟეს რესპუბლიკა და ტრანსვაალი ინგლისის ტერიტორიისთან არის შემოერთებული. ეს შემოერთება კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა ყველა ბურები დატყვევებული იქნებოდნენ ან თავის ნებით დაჰყრიდნენ იარაღს. ერთიცა და მეორეც ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო.

ძნელია ჩამოსთვალოს კაცმა ვვერლა ის საგმირო საქმენი, რომელნიც ბურებმა ჩაიდინეს ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის შეერთების გამოცხადების შემდეგ, ძნელია ჩამოვ-

თვალოთ ყველა ის გაჭირვება, რომელიც ინგლისის ჯარშა ნახა ამ ხნის განმავლობაში.

რობერტისი დაიღალა. მის მაგიერ სამხრეთ-აფრიკის, ჯარშა რების მთავარ-სარდლად კიტჩენერი დაინიშნა: დიდი ცოდნა: და დიდი ენერგია გამოიჩინა კიტჩენერმა, მაგრამ ბურების სიმ-ტკიცის და მხნეობის გატეხა არ იქნა და არა; სასტიკ, ადა-მიანობის წინააღმდეგ ლონისძიებათაც მიშმართა ინგლისელების, მთავარ-სარდალმა, მაგრამ ვერაგააწყო რა..

მაგრამ დაუსრულებელი არა არისა რა ქვეყანაზე. სამის წლის უმაგალითო ბრძოლის შემდეგ ბურები დარწმუნდნენ, რომ ინგლისი მათ თავს არ დაანებებს და ბოლოს მარტო რიცხვითაც გაიმარჯვებს; ინგლისიც ხელავდა, რომ თავ განწირული ბურები უპირობოთ მტრის სრულ ნებას არ დამორჩილდებიან. ამიტომ იყო, რომ ორივე მხარემ ისარგებლა ჰოლანდიის საქმეში ჩარევით, მოლაპარაკება გამართეს და ზაფირ ჩამოაგდეს (1902 წლის 31 მაისი). მოგვყავს ზავის პირობები ინგლისელთა და ბურთა სამშეიდობო ხელშეკრულობისა:

1-ლი. ბურების ჯარები დაუყოვნებლივ დაჰყრიან იარაღს და გადასცემენ ინგლისელთ ყველა სამხედრო მასალას, თოფს, ზარბაზნებს და შესწყვეტენ ბრძოლას წინააღმდეგ მისის უდიდებულესობის მეფის ედუარდ მეშვიდის მთავრობისა, რომელსაც თავის კანონიერ ხელმწიფელ აღიარებენ.

მე-2. ყველა მებრძოლი ბური, რომელიც ტრანსვაალსა და ორანეეს გარედ იმყოფება, აგრეთვე ყველა ტყვე-ბური დაბრუნებულ იქნება სამშობლოში, როდესაც თავის თავს აღიარებს მეფე ედუარდ მეშვიდის ქვეშევრდომალ.

მე-3. იმ ბურებს, რომელნიც ამ რიგად დაემორჩილებიან ინგლისს, არ წაერთმევა არც პირადი თავისუფლება, არც არა ვითარი ქონება.

მე-4. არც ერთი ბური, ომში მონაწილეობის მიღების გამო არ იქნება სამართალში მიცემული.

ეს მუხლი არ ეხება ზოგიერთ მოქმედებათ, რომელიც უკვე აუწყა. ინგლისის მთავარ სარდალმა ბურების გენერლებს.

მე-5. ჰოლანდიურ ენას ასწავლიან ტრანსფარონისა და ორანჟენს კოლონიას სკოლებში ყველგან, სადაც ამას მოისურვებენ ბავშვების მშობლები. ჰოლანდიურ ენის ხმარება ნება დართული იქნება სასამართლოებში, როდესაც ამას მოითხოვს მართლ-მსაჯულების საქმის კარგად დაყენების ინტერესი.

მე-6. ტრანსფარონა და ორანჟეში იარაღის ტარების ნება მიეცემა იმ პირთ, რომელთაც ეს დასჭირდებათ თავის დაცვისათვის; მაგრამ ყოველმა მსურველმა ამისათვის განსაკუთრებული მოწმობა უნდა აიღოს.

მე-7. სამხედრო მმართველობა ტრანსფარონა ორანჟეს კოლონიაში რაც შეიძლება მალე შეიცვლება სამოქალაქო მმართველობით და, როდესაც გარემოება მოიტანს, დაწესებული იქნება პარლამენტი, რომელიც ნიადაგს მოუმზადებს ავტონომიას.

მე-8. მიეცეს თუ არა აფრიკის მკვიდრო საარჩევნო უფლება, ეს გადაწყვეტილი იქნება ავტონომიის დაწესების შემდეგ.

მე-9. არაეითარი განსაკუთრებული გადასახადი არ გაიწერება მიწაზე არც ტრანსფარონში და არც ორანჟეს კოლონიაში, სამხედრო ხარჯის დასაფარავად.

მე-10. ბურების ქვეყნის ყოველს ოლქში დაარსდება კომისარები, რომლებიც უნდა დაეხმარონ სამშობლოში დაბრუნებულ ბურებს, დაასახლონ ისინი; მიაწოდონ სამეურნეო იარაღი, თესლეულობა და სხვ.

ედუარდ მეშვიდის მთავრობა აძლევს. ამ კომისიებს საქმის მოსაწყობად ვ მილიონ გირგან ქა სტერლინგს და აგრეთვე ნებას მისცემს მათ, მიიღონ გასანალდებლად ყველა საკრედიტო ბილეთი ან კვიტანცია, რომელიც ბურებს ხელთ აქვთ ომიანობის დროიდან. გარდა აღნიშვნულ შემწეობისა, მისი უდიდებულესობის მთავრობა მზად არის ბურებს მისცეს სესხი, ორი წლის განმავლობაში უპროცენტოდ, შემდეგში კი სამ პროცენტით.

ეს მუხლი არ შეეხება მეამბოხეთა და უცხოელთ“.

ქვეყანაზე არ იყო ხალხი, რომელიც არ თანაუგრძნობდა სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბურებს და შეუძლებელიც იყო ასეთი თანაგრძნობა არ ყოფილიყო, ისე თვალსაჩინოა ყველასათვის ბურების საქმის სიმართლე და სიწმინდე. ამიტომ ბურების დამორჩილების ამბავი ყველასათვის გულ სატკენია, მაგრამ ეს გულის-ტკივილი იმითი ამდება, რომ თავდადებულ მამულის შვილების უმაგალითო ბრძოლა უნაყოფო არ ყოფილა. მართალია, ბურებმა დაკარგეს სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ თავისუფლება შეირჩინეს. ინგლისი, რომელიც აქამდე გააფთრებული ებრძოდა მოწინააღმდეგე გმირებს, ეხლა მეგობრობაზე და შეთანხმებულ მოქმედებაზე ლაპარაკობს.

თუ ბურების თავდადებული ბრძოლა უმაგალითოა, არც ინგლისის ქცევაა ჩვეულებრივი ევროპის სახელმწიფოებისათვის.

მართალია, ბურები ეხლა ინგლისის მეფის ედუარდ მე-IV-ის ქვეშევრდომები არიან, მაგრამ სულ მოკლე ხანში მათ სრული ავტონომია მიენიჭებათ: თავიანთ საქმეებს თვითონვე განაგებენ, ისე, როგორც ეს წინად იყო; განსხვავება ის არის; რომ ადგილობრივ მცხოვრებ ინგლისელებსაც ექნებათ უფლება მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ჰოლანდიური ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ ბურები, გათანასწორებული იქმნება ინგლისურ ენასთან: სკოლაში და სასამართლოში ჰოლანდიურ ენის მდგომარეობა ისეთივე იქმნება, როგორიც ინგლისურ ენისა. ინგლისის მთავრობას არა ერთხელ გამოუცხადებია ომიანობის დროს, რომ იგი არ ეძებს არავითარ ფინანსიურ გამორჩენას ბურების დამორჩილებისაგან; სამშვიდობო ხელ-შეკრულებაშ დაამტკიცა, რომ მთავრობა არ სტყუოდა: სამხედრო ხარჯის დასაფარავად ბურებს ერთი გროშიც არ გადახდებათ. ეს კიდევ ცოტაა: ინგლისი იღებს თავის-თავზე ყველა ვალებს, რომელიც ბურებს აუღიათ, გარდა ამისა აძლევს მათ სამ მილიონ გირვანქა სტერლინგს (30 მილიონი მანეთი) დაუბრუნებელ სესხის სახით, რათა ბურებმა შესძლონ

თავიანთ გაოხრებულ სახლ-კარის აღდგენა; თუ ეს თანხა საკუ-
მარისი არ შეიქმნა თავის დანიშნულებისათვის, ინგლისის მთავ-
რობა მსურველს უსარგებლო სესხს მისცემს თრის წლის ვა-
დით. ერთის სიტყვით, ბურების მდგომარეობა მატერიალურად
უზრუნველ-ყოფილია ინგლისის მთავრობისაგან, რომელსაც
კარგად ესმის, რომ სახელმწიფოსათვის აუტანელი ბარგია გაღა-
ტაკებული ქვეშევრდომები.

არის ერთი მუხლი, რომელიც შეტანილი არ არის დროე-
ბით ხელ-შეკრულებაში და რომელიც აქამდე დიდად უშლი-
და ხელს ზავის ჩამოგდებას. ეს მუხლი ეხება კაპისა და ნატა-
ლის ბურგერებს, რომელნიც აუჯანყდნენ ინგლისის მთავრო-
ბას, და ტრანსვაალისა და ორანჟეს ბურებთან ერთად ინგლისს
ებრძოდნენ. ასეთ მოქმედებას „აჯანყებას“ და „ლალატს“ ეძა-
ხიან და მომქმედს სიკვდილით სჯიან უველვან. ბურები თხოუ-
ლობდნენ უველა აჯანყებულ ბურგერებისათვის სრულ პატივ-
ბას. სრული ამნისტია არ არის შეტანილი ზავის პირობაში;
აჯანყებულების მოთავედ პასუხის გებაში მისცემენ, მაგრამ
სიკვდილით დასჯა არავის მოელის; რაც შეეხება დანარჩენ
აჯანყებულებს, მათ არ ექნებათ საარჩევანო უფლება და ეს
იქნება მათი სასჯელი. გარდა ამისა გაზეთები ამტკიცებენ,
რომ მეფე ედუარდი, გვირგვინის კურთხევის დღეს, სრულ
ამნისტიას მიანიჭებს უველა აჯანყებულებსო, რომ მოსპოს
ყოველი გარემოება, რომელიც კი გაამწვავებს აფრიკანდერებისა
და ინგლისელების დამოკიდებულებას.

ვიმეორებთ, უფრო სასურველი იყო ბურების სრული
დამოუკიდებლობა, მაგრამ მათთ დამორჩილების პირობები ისე-
თია, რომ ეროვნულ თავისუფლების პრინციპ თითქმის შეუ-
ლახველი რჩება, და ამიტომ სამხრეთ-აფრიკის ომიანობის ასე-
თი დაბოლოვება მეტად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვა-
ლოს.

მეტად გაძნელებულ საქმის ასეთი ბოლო სასახელოა რო-
გორც ბურებისათვის, ისე ინგლისელებისათვის.

როცა გასულ საუკუნის 80-იან წლებში ინგლისის მთავრობამ განიზრახა ტრანსვაალის დაპყრობა და პარლამენტის ამისთვის საჭირო კრედიტს სთხოვდა; სახელოფანმა პარნელმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას და სხვათა შორის სთქვა — ინგლისმა არ იცის ჯერ „მეცნიერება“ დაპყრობილ ერების სამართლიან მართვა-გამგეობისათ. პარნელმა სრული ჰეშმარიტება სთქვა ამ სიტყვებით — არც ერთ გაბატონებულ ერს არ შეუძლია სამართლიანად განავის დამორჩილებულ ერის ბედი, მაგრამ თუ შედარებით ვილაპარაკებთ, თუ მხედველობაში გვექნება, სხვა სახელმწიფოების აღვირ-წახსნილი ძალა-მომრეობითი ჰოლიტიკა დაპყრობილ ხალხების წინააღმდეგ მიმართული, მაშინ კადათ დავინახავთ; რომ ინგლისი ის ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც ახერხებს შედარებით სამართლიანად მოეპყროს დაპყრობილ ხალხს, და თავისუფალ პირობებში აცხოვროს იგი.

ନେତ୍ରପାଦିକାରୀ
ଡଃ. କୁମାର

ნაპირებზედაც გაიშენეს ბერძნებმა კოლონიები; უმთავრესი მათგანი იყო—ფაზისი, მდ.—ფაზისის (რიონი) შესართავთან, და შემდეგ დიოსკური (სოხუმი).

8. ბერძნები ეგვიპტეშიც. ეგვიპტეშიაც ყველაზედ უწინ მიღეტლები მოვიდნენ, მაგრამ აქ მათ ბევრი შემაფერხებელი გარემოება შეხვდათ. დიდის წნის განმავლობაში ეგვიპტის ცივილიზაცია, ისე როგორც ჩვენის დროის ჩინეთისა, კარხაკე-ტილი, განკერძოებული და ხელმიუწდომელი იყო. ეგვიპტის მეფენი არ უშვებდნენ უცხოელებს მდ. ნილოსის. შესართავ-შიაც კი. შემდეგ, როგორც იქნა, ზოგ უცხოელმა. აი, ღო ნებართვა აქ ცხოვრებისა, მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა რაიმე კავშირი დაეჭირა ეგვიპტის დანარჩენ ნაწილებთან. მერვე საუკუნიდან მიღეტლებს აქ პატარა ფაქტორია ჰქონდათ ნილოსის ერთ ტოტზე; სხვაგან ვერსად გაჩერდებოდა მათი გემი; შიგ ეგვიპტეში შესვლა სასტიკად იყო აკრძალული. ამ გვარად ბერძნის ვაჭრების ცხოვრება აქ სავაჭრო ლაზარეთში ცხოვრების დაგვარი იყო. ბოლოს ხშირ ომიანობის მიზეზით ბერძნები გამოვიდნენ ამ ლაზარეთიდან. მეფე ფსამეტიხი ავიდა ეგვიპტის ტახტზე ბერძნების დახმარებით და სამაგიეროდ ნილოსის მეორე ტოტზე ახალ ფაქტორიის-ნაუკრატისის—დაარსების ნება მისცა მათ: ჯადოსნური წრე და-ირლვა და საიდუმლოებით მოცული ეგვიპტე გაიცვნეს. ფსა-მეტიხმა ნილოსის მესამე ტოტშიაც შეუშვა კარიელები და იონიელები და დაუთმო მათ მიწები იმავე უფლებით, რა უფ-ლებითაც მეომართა წოდებას ეკავა აღგილები. ორასი ათასი ეგვიპტელი მეომარი გადასახლდა ეთიოპიაში, რადგანაც შეუ-რაცხოფად მიიღეს უცხოელების. ამ გვარი მფარველობდა. ფსამეტიხმა მშევიღობით მგზავრობა უსურვა მათ და ბერძნები-სათვის კი არ დაუნებებია თავი. რამზესის კოლოსზე (უზარმა-ზარი სვეტი), აბუ-სიმბელში (ნუბიაშია), დღესაც ვკითხულობთ წარწერას, რომელიც ფარაონის მცველ ბერძნ მეომარებს ამო-ეჭრათ. მეფე ამაზისის დროს ხელ-ახლავ გაიღვიძა უცხოელე-ბისადმი მტრობამ, მაგრამ ნაცკრატისი მაინც შეარჩინეს მათ:

ბერძნთა ჩვეულების მიხედვით აქ მათ საერთო სამლოცველო — ჰელენიონი — ჰელენიათ. ქალაქი მაღე გამზიღლდა და შეიქნა ის, რაც შემდეგ აღექსანდრია იყო: უცხოელ სავაჭროების და სუდანიდან მოსულ ნაწარმოებთა საწყობი.

9. ბერძნები მაკედონიაში და ხალკიდიკში. გარდა ოთხი წელისა, ბერძნთა კოლონიზაციაში დიდი წილი უდევთ კ. ევბეას, ქ. ქ. კორინთს და მეგარას. ქ. ხალკისი ევბეაზე, „რკინის ქალაქი“, როგორც მას უწოდებდნენ, დრე შეუდგა კუნძულის მაღნეულობის დამუშავებას; ევროპაშ პირველად აქ ნახა რკინის ქარხნები. მაგრამ, რადგანაც აღგილობრივი მაღნები მაღე და უალიერდნენ, ხალკიდილნი ახალ მაღნების ძებნას შეუდგნენ და იპოვეს კიდეც მაკედონიაში და თრაკიაში, განსაკუთრებით იმ ნახევარ კუნძულზე, რომელსაც თავიანთი სახელი დაარქვეს და რომელიც თერმაიკისა და სტრიმონის უბეთა შორის მდებარეობს (ხალკიდის ნახევარ კუნძული). აქ დაარსეს ქ. ტორონი ნახევარ კუნძულის შუა ნაწილის წვერზე. ამ აღგილებში ეხლაც მოიპოვება აქა-იქ ძველ ექსპლოატაციის ნაშთები, რომელიც მოწმობს როგორც აქაურ შაღნების დიდ-მნიშვნელობას, ისე მაშინდელ დამუშავების მოუხერხებლობასაც. მერვე და მეშვიდე საუკუნეში, როცა ათინა ჯერ კიდევ უმნიშვნელო პატარა ქალაქი იყო, კორინთი და მეგარა კოლონიებს კოლონიებზედ აარსებდნენ. პირველად კორინთში დაიწყო ბერძნულ ტრიტემის *) შენება. პოტი დეა ხალკიდიკის დასავლეთ ნაპირზე კორინთის ახალ შენი იყო. მეგარელები შავი ზღვისაკენ გაემართნენ. პირველი მათი კოლონია — ხალკედონი, ბოსფორის აზის ნაპირზე — ვერ იყო მაინც და მაინც კარგად ამორჩეული. ასე რომ, როცა სპარსეთის მხედართ-მთავარმა მეგებაზმა ნახა ეს აღგილი, ძრიელ გაკვირვებოდა მეგარელების ესეთი არჩევანი. მეგარელებიც მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და ბოსფორის მეორე ნაპირზე

*) სამ სართულიანი ნავი, რომელსაც სამი წყება (ერთი მეორეზე) ნიჩბის მომსმელი ჰყავდა.

რაარსეს ბიზანტია, ომლის მომავალი უთურთაშიც დასიზმრებისათ მის დამაარსებლებს.

10. ბერძენთბ ახლ-შენები ღვარაში და სიცოლაში. ექამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ხმელთა-შუა ზღვის აღმრსავლება ნაწილზე. ეხლა ძველ ბერძნებთან ერთად გაცილდეთ მალეას ცხვირს, ომელიც ისე საშიში იყო ძველ მეზღვეურებისათვის, ომ ანდაზაც კი გამოთქვეს: „მალეას ცხვირს ომ გაცილდე, დაივიწყე რაც სახლში დატოვეთ“. ამ შიშის გასაგებად ყოველ-თვის სახეში უნდა ვიქონიოთ იმ დროის ზღვაოსნობის მდგო-მარეობა და სიძნელუ უცნობ ზღვაზე უკომპასოდ მოგზაურო-ბისა. საბედნიეროდ იონიის ზღვაშიაც არის აქა-იქ კუნძულები, ომელნიც უადვილებდნენ პირვანდელ მეზღვეურებს აქეთ-კენ მოგზაურობას. კუნძული კორცირა (ეპირთან), სადაც ჯერ ევბეელების ახალშენები იყო და შემდეგ კორინთელებიც მო-ვიდნენ, მოკლე ხანში იმდენად გაძლიერდა, ომი შესძლო ომი გაეწია თავის მეორე მეტროპოლიისათვის. პირველი ომი ზღვაზე, ომელიც კი ახსოვდათ ბერძნებს, მოხდა 665 წ. კორცირასა და კორინთს შეუ. კორცირიდან იტალიამდე ცოტა მანძი ლია და ამიტომაც ბერძნები მალე იქაც გაჩნდნენ. პირველად ჩექმის ჭუსლი (იტალიის სამხრეთ ნაწილს ჩექმის ფორმა აქვს, ომლის ჭუსლი საბერძნეთისაკენ არის გაშვერილი) დაიკავეს. ძველად ამ ჭეყანას იაპიგია ანუ მესაპია ერქვა, და ბერძნები და ომაელები, ეს დიდი ხნით დაშორებული ძმები, აქ შეხვ-დნენ პირველად ერთმანერთს. აქედან შეიტანეს იტალიაში ზეთის ხილი, ვენახი, ჭაღარი, კვიპაროსი. თან და თან ბერ-ძნებმა გაიცვნეს ტარენტის უბე, შესინის სრუტე, ომლის დაცვას თავი დაანებეს სკილამზ და ხარიბდამ, სიცილია და იტა-ლიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. მაგრამ ევბეელების მოსვლამ-დე კოლონიების აქ გაშენებას, ეგრე ვთქვათ, მეთოდიურ-ზასიათი არ ჰქონებია. ხალკიდელებმა გააშენეს იტალიის და-საცლეთ ნაპირზე, ნეაპოლის უბეს ჩრთილოეთით, კოლკანიურ არეზე კიმე (ომაელების Cumae) და სულ სამხრეთით, მესინის ნაპირზე, ქ. რეგიონი (ომაელების რეგიუმი). სამხრეთიტალიის

ნაპირებზე ძრიელ ჩქარა გაშენდა სავაჭრო ქალაქები, რომელთაგან ზოგიერთები ძალიან წინ წავიდნენ. ორი ქალაქი გაშენდა ტარენტის უბის იმ ნაწილზე, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იცქირება; ეს ქალაქებია სიბარისი და კროტონი. პირველი ახალ-შენლები აქ აქეელნი იყვნენ, მაგრამ სიბარისში გაძლიერდა და გაიმარჯვა იონიელთა ელემენტმა და აქაც იჩინა თავი იმ ტომებრივმა შურმა და მძულვარებამ, რომელსაც ყოველგან შევხვდებით საბერძნეთის ისტორიაში. გაძლიერებული სიბარისი თვითონ შეიქნა დედა კუდა ხუთის ქალაქისა, რომელთაგან ყველაზედ ცნობილი ჩრთილოეთით მდებარე პოსიდონია (Positum) იყო. ტარენტის უბეში გაშენდა ბევრი სხვა ქალაქი კიდევ; ლოკრისი, ლოკრელების დაარსებული, ტარენტი ლაკონელების ქალაქი, რომელიც კარგის მდებარეობისა და მიწის ნაყოფიერების მიზეზით, ძლიერ განვითარდა, მეტაპონტი აქეელების ახალშენი და ბევრი კიდევ სხვა. ბერძნთა კოლონიზაცია იტალიაში რიცხვით და მნიშვნელობით იმდენათ შესამჩნევი იყო, რომ სამხრეთ იტალიას „დიდ საბერძნეთს“ ეძახოდნენ. სიცილიაში ბერძნებს კართაგინელი ფინიკიელები დახვდნენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა მალე ჩაიგდეს ხელში კუნძულის აღმოსავლეთი ნაპირი, სადაც უმთავრესი ქალაქი მეგარისა და კორინითის კოლონია სირაკუზი შეიქნა; შემდეგ სამხრეთი ნაწილიც დაიპყრეს და გააშენეს ორი ქალაქი—გვლა და აგრიგატი. დასავლეთი ნაწილი კი ისევ კართაგინელებს დარჩათ. სამაგიეროდ, ჩრდილოეთი ბერძნებისათვის უნდა დაეთმოთ; აქ მათ მხოლოდ ცანკლე, შემდეგი დროის მესანა, დარჩათ.

11. ბერძნები კორსიკაში, სარდინიაში და გაფიდის ნაპირებზედ. იტალიიდან და სიცილიიდან ბერძნები გადავიდნენ კორსიკაზე და სარდინიაზე, სადაც კიდევ კართაგინელებთან ბრძოლა დასჭირდათ. აქედან გალიის სამხრეთი ნაპირზედაც გავიდნენ. ფოკეელ მეზღვეურებმა დაარსეს აქ ქ. მასალია, ეხლანდელი მარსელი. მასალიელებმა მალე დაიპყრეს რონას შესართავსა და გენუის უბეს შუა მდებარე ნაპირი და

დაარსეს ქალაქები, რომელნიც აქამომდე არსებობენ; მაგ-
ნიკეა, ეხლანდელი ნიცა, მონეკოსი, ეხლანდელი მონაკო
და სხვები. ესპანიასაც მიატანეს ბერძნებმა; მიატანეს კი არა,
ჰერკულესის სვეტებსაც (გიბრალტარს) გასცილდნენ და კო-
ლონია გააშენეს (ტარტესოსი, განთქმული სპილენძის მადა-
ნით). ესპანიაში, როგორც სიცილიაში და სარდინიაში, მათ
დახვდნენ კართაგინელები, რომელთაც სრულებით არ სურ-
დათ, რომ ბერძნები ესპანიის მაღნეულობის მონაწილე გამ-
ხადარიყვნენ.

12. ბერძნები აფრიკას ნაპირზე. ამ გვარად ბერძნების
კოლონიები გაშენდა ხმელთა შეუზღვის ჩრდილოეთ ნაპი-
რებზე ბიზანტიიდან დაწყებული ტარტესოსამდე; დარჩა სამხ-
რეთი ნაპირები, ნაკლებად სახარბიელონი და უფრო მიუღ-
ომელნი, სადაც ამასთანავე კართაგინელებს ბევრ აღილას
ჰქონდათ ფეხი მომაგრებული. მაგრამ აქაც დაარსეს ბერძნებმა
კოლონიები, რომელთა შორის უმთავრესი იყო კირენა (ეხ-
ლანდელი ტრიპოლისი). ეს ქალაქი, მასალიასავით, სხვა ქალა-
ქების დედა შეიქნა; მაგრამ მას ბევრი ბრძოლა სჭირდებოდა
აქაურ მკვიდრთან და კართაგინელებთან:

13. ბერძნთა კოლონიზაციას ხასიათი. ბერძნებისა და
ჩვენი დროის კოლონიზაცია ერთმანერთს ნაკლებად წააგავს.
რასაკვირველია, მაშინდელი კოლონიზაციის უმთავრესი მო-
ტივიც ბედის ქებნა და ქონების შეძენა იყო, მაგრამ მაშინ
რელიგიისაც ჰქონდა წილი გადასახლებასთან. ბერძნის წარმო-
დგენით, თუ კი საერთო კერძო ცეცხლსა და საგვარეულო
ღმერთების ქანდაკებებს წაიღებდი, სამშობლოურ თან მიგქონ-
და. გადასახლება ღმერთების ნებადაურთველად შეუძლებელი
იყო: უფრო ხშირად დელფის მისანს მიმართავდნენ. ნებართვის
აღების შემდეგ, მეტროპოლიის მფრიველი ღმერთები. თან
მიჰყვებოდნენ ემიგრანტებს და მონაწილეობას. იღებდნენ ახალ-
ადგილზე მოწყობაში. კოლონიის გაშენება ახალ ქალაქის დაარ-
სებას როდი ნიშავდა: ეს იყო ძველ ქალაქის სახის, ხატების
(image) ახალ ადგილზე გადატანა. ახალ შენლები არასოდეს არ

ივიწყებდნენ ძევლ სამშობლოს; თუ პოლიტიკურად არა, რელიგიურად მაინც დაკავშირებული იყვნენ შეტროპოლიასთან ახალშენლები. ყოველთვის მონაწილეობას იღებდნენ მეტროპოლიას დღეობებში. მსხვერპლებითა და შესაწირავებით. თუ ესენი თავის მხრივ ახალ კოლონიის დააპირებას მოინდომებდნენ, ისე უყურებდნენ ამ საქმეს, როგორც მეტროპოლიისაგან, დაწყებულის გაგრძელებას და სოხოვდნენ. მას მოთავე კაცის გამოგზავნას. სხვაფრივ კი კოლონიები სრულებით დამოუკიდებელი იყვნენ: საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია, საკუთარი ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, ყველა აქით კოლონიები არ ჩამოუვარდებოდნენ ნამდვილ საბერძნეთს. ვაჭრობის განვითარების გამო ახალ ჟენები ერთობ გამდიდრდნენ და, რაც საკვირველია, წინანდელ უბრალო და საღ ცხოვრებას თავი დაანებეს. აგრიგენტელებზე ამბობდნენ, რომ ისეთ შენობებს იკეთებენ, თითქოს საუკუნო სიცოცხლის იმედი ჰქონდეთ, და ისეთის სიგიჟით და გატაცებით ქეიფობენ, თითქოს ხვალინდელ დღის იმედი აღარ ჰქონდეთო. სიბარისი ტიპია ოქროთი მოვრალ და გარუცნილ ქალაქებისა, საღაც ცხოვრება განუწყვეტელი ქეიფი იყო. პატრიოტისმი, ძევლი სამშობლოს სიყვარული თითქმის სრულებით გაჰქრა ამ ქალაქების მცხოვრებლებში და ამის მიზეზი უფრო მედიდურობა იყო, ვიღრე გარუცნილი სიმდიდრე. როცა საბერძნეთს სპარსელების ურიცხვი ჯარები შემოესია, ახალ შენლებს მონაწილეობა არ მიუღიათ ბრძოლაში. გელონ სირაკუზები მზად იყო დახმარებოდა ბერძნებს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იგი ყოფილიყო ბერძნთა ყველა ჯარების მხედართ-მთავარი; და როცა ეს პრეტენზია ცოტა ახირებულად ეჩვენა საბერძნეთის ელჩებს, გელონმა მედიდურად სტევა: „გამოუცხადეთ საბერძნეთს, რომ წელიწადმა გაზაფხული დაჭკარგა.“ ამათი იმისი ოქმა უნდოდა, რომ მისი ჯარი საბერძნეთისათვის იგივე: იქნებოდა, რაც გაზაფხული წელიწადისათვის არსებობდა. საბერძნები და საბერძნეთის არ დასჭირებია არც გელონი და არც მისი გაზაფხული.

ტაზი მა-VII-ი

**საბეჭმნეთის ერთგნული ერთობა. ამფიკილინიები,
მასნები და დღეობები. (jeux)**

სარჩევი. 1. საბერძნეთის პოლიტიკური ორგანიზაცია. ბერძნულ ბეჭმების თვის-თვისობა. 2. საბერძნეთის ერთგნული ერთობა. ჩამომავლობა და ენა. 3. საქონი კულტი; ამფიკილინია. 4. დელფის ტაძრის სიძველე და შენიშვნელობა. 5. დელფის მისანი, 6. დელფის მისნის პოლიტიკური და ზნეობრივი გავლენა. 7. დღეობები საბერძნეთში. 8. ოთხი უმთავრესი დღეობა. 9. დღეობების გავლენა ბერძენთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზედ.

1. საბეჭმნეთის ბოლოტიკური თარგანიზაცია, ბეჭმნულ თებების თვის-თვისობა. — ჰელადა ანუ საბერძნეთი არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს და არ განიგებოდა ერთ და იმავე კანონებით; იგი შესდგებოდა მრავალ პატარა თემებისაგან; ხშირად რამდენიმე თემი ერთ ლიგას, კავშირს, შეადგენდა, მაგრამ თვითეულ თემის უმთავრესი და მუდმივი საზრუნავი საგანი დამოუკიდლებობისა და პირადობის დაცვა იყო. ეს განკერძოების სიყვარული, რომელსაც ეგრე ხელს უწყობდა ქვეყნის გეოგრაფიული პირობები, თავის თავად გასაკიცხი არ იქნებოდა, რომ ამას ზედ არ დართოდა მეზობლის სიძულილი, მის დამცირების სურვილი: და გაზვიადებული წარმოდგენა თავის თავზე. შურიანობა და ულრმესი თავმოწონეობა იყო ამ ერის ორი უმთავრესი ნაკლი; ზომიერების გრძნობით უაღრესად დაჯილდოვებული ბერძენი სრულებით ჰკარგავდა ამ გრძნობას, როცა იგი ან თავის ქებას ან მეზობლის დამცირებას იწყებდა. შური, მტრობა მეზობლისადმი იმდენათ ჰქონდა-გამჯდარი ბერძენს ძვალ-რბილში, რომ სა-

ფრთხილო იყო რომელიმე თემის ქებით მოხსენება, თუნდ დამსახურებულიც ყოფილიყოს ეს ქება. ისტორიკოსი პეროლოტესი, მაგალითად, დიდის ბოლიშით და წინასიტყვაობით ბედავს მოხსენოს ათინელების დამსახურება მთელ საბერძნეთის წინაშე ბერძნ-სპარსელთა ომიანობის დროს, იმდენად ეშინოდა, მიღვომით ლაპარაკი არ დაეწამებინათ მისთვის არა-ათინელებს.

2. ბერძნთა ეროვნული ერთობა; ჩამომაგდლა და ენა. მიუხედავათ ნაჩვენებ თვის, თვისობისა, მიუხედავათ თემების მეტოქეობისა და მტრობისა, არსებობდა ერთი ბერძნთა ერი, ერთი პელადა, ბერძნთა საერთო სამშობლო, რომლის საზღვრებს იქით იწყებოდა ბარბაროსების ქვეყანა. ეს რეალური ნამდვილი ერთობა, რომელიც ხშირად ილახებოდა ხოლმე სხვა და სხვა პოლიტიკურ მიზეზების გამო, რამოდენიმე მიზეზის შედეგი იყო: ბერძნები ერთის სისხლის, ერთის ჩამომავლობისანი იყვნენ — ყველა ბერძნების მამა-მთავარი, მათის გადმოცემით, პატრიარქი ჰელენი იყო. ამიტომაც ბერძნები ძმები იყვნენ, მათ აერთებდა ჩამომავლობის წმინდა (ბერძნის შეხედულობით) ერთობა. „მოგვშორდით, ვინც ელინი არ ხართ“ ა, გამოაცხადებდნენ ელევზისის ქურუმები საიდუმლო ღვთის მსახურების დაწყებამდე. მეორე შემაერთებელი კავშირი იყო ენა. რასაკვირველია, საბერძნეთში ბევრი კილო კავები (დიალეკტები). იყო, მაგრამ ბერძნს ბერძნის ყოველთვის ესმოდა.

3. საერთო კულტი; მოფიკაციანია მესამე ბერძნთა შემაერთებელი კავშირი იყო რელიგიურ გრძნობათა და წარმოდგენათა ერთობა: უძველეს დროიდან ბერძნებს საერთო ღმერთები ჰყავდათ, რომელთაც საერთოდ სწირავდნენ მსხვერპლებს. სოფლები, ჭალაქები გზავნიდნენ ერთი მეორის დღეობაზე წარმომადგენლებს (თეორიებს), რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ მსხვერპლის შეწირვაში და შექცევაზე მობაში. ეს ჩვეულება თან და თან განვითარდა, გავრცელდა და ბოლოს გაჩნდა იმისთანავე დღეობები, რომლებშიაც მონაწილეობას.

რლებდა მთელი საბერძნეთი. შეელ დროიდანვე ამ რელიგიურმა ძმობამ მიიღო განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც ამფიკტიონის უძახდნენ (ამფიკტიონი იყო ჰელენის ერთი შვილთაგანი, რომელმაც, გადმოცემით, პირველად დაარსა უშესანიშნავესი ამფიკტიონია). ამფიკტიონია იყო რამდენიმე თემის რელიგიური კავშირი, რომლის დანიშნულება რომელიმე ღმერთის დღეობის დღესასწაულობა, მისი ტაძრის შენახვა და დაცვა იყო. თავდა-პირველად ბევრი იყო ამ გვარი კავშირები, მაგრამ ყველაზედ დიდ-მნიშვნელოვანი და სახელგანთქმული დელფის ამფიკტიონია იყო. ამ რელიგიურ ძმობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ზოგიერთ მკვლევარს იგი ბერძენთა ფელერატიული კავშირი ეკონა. ქალაქები რომ არ ვახსენოთ, ამ ამფიკტიონიაში იღებდა მონაწილეობას თორმეტი თემი: თესალიელი, ბეოტიელი, დორიელი, ოონიელი, პერებელი, მაგნეზიელი, ლოკრელი, ოტეელი, აქეელი, ფოკეელი, დოლოპი და მალიელი. ტერარიით, de iure, ამფიკტიონის ყველა წევრი თანასწორი იყო, ყველას ერთგვარი უფლება ჰქონდა; მაგრამ საქმით კი ხან სპარტანელები ბატონობდნენ, ხან ათინელები, იმის მიხედვით თუ ვინ უფრო ძლიერი იყო. ყოველ წევრს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა; ამ წარმომადგენელთა კრება შეადგენდა რელიგიურ საბჭოს. რამდენიმეჯერ ამ საბჭოს პრლიტიკურ კითხვების შესახებაც მოუხდენიათ დადგენილება, მაგრამ საზოგადოდ მას დიდ გავლენა არ ჰქონია ბერძენთა პოლიტიკურ საქმეების მსვლელობაზედ: მან ვერ მისცა ბერძენთა ერს ერთობა, რომელიც მისთვის ესე საჭირო იყო მაკედონელებთან თუ რომაელებთან ბრძოლისათვის:

4. დელფის ფამიას სიძველე და შემცირება. საამფიკტიონიო კრებული ხან და ხან დემეტრას ტაძარშიაც (თერმოპილთან) იყრიდა თავს. უმთავრესი ბინა ამ კრებულის საიყო დელფი. „თუ ვინმე გასძარცვავს ღვთის ტაძარს ან იცნობს მძარცველს ან ცუდი განზრახვა იქვს ტაძრის შესახებ, ჩვენ მას დავსჯით ფეხით, ხელით, ენით ან რო-

გორც შეგვეძლება“ . ამ გვარი იყო ძველი საამფიკტიონიო ფიცი, მაშასადამე ამფიკტიონიის მნიშვნელობა . დამოკიდებული იყო იმ კულტის მნიშვნელობისაგან, რომლის დაცვა-დაფარვა იყო დანიშნულება , ძმობისა, როგორც ზემოთ-მოყვანილი ფიციდან სჩანს, და რომლის ცოდნა საჭიროა რაღანაც . აპოლონის კულტი ჰქონდის დიდი ეროვნული კულტი იყო. დელფის ტაძარი უძველეს დროს ეკუთვნის; იგი მდებარეობდა საბერძნეთის უველურეს მხარეს, მიყრუებულ ხეობის ბოლოს, რომელსაც დაპყურებს პარნასის მწვერვალი ; აქ ამოსჩქეფს სამი დაუშრეტელი წყარო, - რომელთაგან ყველაზედ ცნობილია კასტალია. აქ, გრილ დათნით დაჩრდილულ შადრევანებთან, აირჩია აპოლონმა თავისი სამყოფი ადგილი. პირველში ეს ღმერთის სადგომი ღარიბი და წაკლებად პატივუებული იყო, მაგრამ შემდეგში აყვავდა და მთელ საბერძნეთის სალოცავი შეიქნა. ამ დროისთვის აქ მთელი სოფელი გაშენდა; მას განაგებდნენ ქურუმთა გვარები ამფიკტიონიის წევრების მფარველობის ქვეშ : აპოლონის ტაძარი ჰქონდის საერთო კერა შეიქნა, მხოლოდ აქ გრძნობდნენ ბერძნები, რომ ისინი ძმები იყვნენ.

5. დელფის მისახი. დელფის მისანი იყო ის უმთავრესი საშუალება, რომლითაც აპოლონმა განამტკიცა და გაავრცელა . თავისი გავლენა არა თუ მთელ საბერძნეთში, ბარბაროსების ქვეყნებშიაც კი. ბერძნებს სწამდათ, რომ ღმერთები, რომელთაც არა გამოეპარებათ რა ქვეყანაზე, ხანდახან ატყობინებენ სიკვდილის სუსტ შვილებს . თავიანთ ნებას და სურავილს. ეს შეტყობინება ხდება ფიზიკურ ნიშნების საშუალებით : მზის ან მთვარის დაბნელებით, მიწის ძერით, გადამდებ სენის გაჩენით ან სახოცარ ცხოველების დაბადებით. აი ამ ნიშნების ახსნისაც და გადმოცემის ნიჭის ჰქვია მისნობა. ცხოვრების არც ერთი აქტი საბერძნეთში უმისნოდ არ მოხდებოდა; არც ერთი სახელმწიფო ისე საქმეს არ დაიწყებდა, რომ ჯერ მისანსა და ღმერთებს არ დაჰკითხებოდა. უფრო ხშირად დელფის მისანსა მიმართავდნენ მომავალ ბედის საკითხავად. აპოლონი, ბერძნები

ბის რელიგიაში, იყო დიდებულ ძევსის წინასწარმეტყველი და შუამავალი; იგი ატყობინებდა აღამიანებს ძევსის ნებას პითის საშუალებით. პითია ქალი იყო და ეკუთვნოდა იმ მისან ქალების კატეგორიას, რომელნიც ჯძველეს დროიდგან იყვნენ საბერძნეთში და რომელთაც სიბილებს ეძახდნენ. პითია დაჯდებოდა სამფეხა-სკამზე გამოქვაბულთან, საიდგანაც ამოდიოდა გამაბრუებელი ოშეივარი, რომელიც მას დროებით გონებას უკარგავდა. ოშეივარისაგან გაბრუებული და გონება დაბნეული ქალი დაიწყებდა ლაპარაკი, უფრო ხშირად უაზროდ; აპოლონის ქურუმები სწერდნენ ამ სიტყვებს, შემდეგ გალე-ქსავდნენ და ამ ფორმით გადასცემდნენ პასუხს მკითხველს. უფრო ხშირად ეს ლექსი გაუკეთდა ან ორაზროვანი იყო; მაგრამ ხან და ხან მისი აზრი მეტად ცხადი და გარკვეული იყო, ნიშანში განსაზღვრული მიზანი ჰქონდა ამოდებული და ხშირად დიდი სამსახური გაუწევია სახელმწიფო მოღვაწეები-სათვის. ამიტომაც დელფის მისანს დიდი გავლენა და სახელი ჰქონდა. მაგრამ დადგა ისეთი დროც, როცა შორს გამჭვრე-ტი ადამიანი მიხვდა, თუ რა სარგებლობის გამოტანა შეიძ-ლება ამ გავლენისა და სახელისაგან. მოყიდული ქურუმები ისე ალაპარაკებდნენ აპოლონს, როგორც ამას მომყიდველის სურვილი და ინტერესი მოითხოვდა. პითია თავის სამფეხა-სკამიდან ხან „ლაკონელობდა“ ხან „ფილიპობდა“ და ამ გვა-რად ნელ-ნელა დაკარგა გავლენაცა და სახელიც.

6. დელფის მისნის ბოლიტიფერი და ზეობრივა გაგ-აენა. დელფის მისანი ამფიკტიონიასთან კავშირის მიზეზით, უცხოელის წინაშე. ბერძენთა სამშობლოს წარმომადგენელი იყო: იგი იყო ბერძენთა ერთობის გრძნობისა და იდეის შემ-ნახველი და დამცველი; დელფის მისანმა აღიარა ის პრინციპია, რომლის ქალით არც ერთ ბერძნის თემს არ შეეძლო დაჰკია-თხებოდა რასმე აპოლონს, თუ მას რამე მტრული განზრახვა ჰქონდა თავის მეზობლის წინააღმდეგ, და აღკრძალა ბერძნი-საგან ბერძნის დამონება. გარდა პოლიტიკურ გავლენისა, ზე-ობრივი გავლენაც ჰქონდა დელფის მისანი. აპოლონი ცველა

როდი აძლევდა თავის ბრძნულ რჩევას; წმინდა ღმერთთან შარტო წმინდა გულის პატრონი უნდა მისულიყო; ტაძარში შესვლამდე მთხოვნელი კასტალის წყაროს წყლით უნდა განწმენდილიყო და ეს უმნიშვნელო ცერემონია არ ყოფილა: „კეთილ კაცისთვისო, ეუბნებოდა პითია მლოცველებს, ერთი წვეთიც საკმარისი არის, ავ კაცს კი ოკეანეს წყალიც ვერ განბანს“. აპოლონისთვის დაფარული არა არის რა, იგი მიშვედარია ავის კაცის განზრახვებს, ღმერთის განცდა იგივე ცუდი საქმეა. სპარტიატი გლევკოსი, რომელსაც მიბარებულის მითვისება უნდოდა და აძაზედ აპოლონს შეეკითხა, დასჯილ იქმნა მთელ თავის ოჯახით მარტო ამ განზრახვისათვის. არც მარტო სიწმინდე კმარა, საჭიროა კაცმა იცნოს თავის თავი: „იცან თავი“—აი რა იყო ამოკრილი ოქროს ასოებით დელფის ტაძარზედ. თუ თავს იცნობ, შეგიძლია დასძლიო გულისთქმანი და მიმართულება მისცე გონებას: ამ გვარ აზრების მუდმივ ქადაგებით დელფის ღმერთი საბერძნეთის. ზეობრივ აღმზრდელად შეიქნა.

7. დღეობები საბერძნეთში. ბერძნების ერთობას, რომელიც მუდმივ განსაცდელში იყო ხოლმე წვრილ-წვრილ თემების ერთმანერთთან ცილაობით, ხელს უწერობდა იგრეთვე დღეობები, რომელნიც ბერძნულ დღესასწაულთა არსებით ნაწილს შეადგენდნენ. დღეობები ძველის-ძველი მოვლენაა ბერძენთა ცხოვრებაში. ილიადაში მოხსენებულია დღეობა, რომელიც აქილესმა გაუმართა ბერძენთა მთავრებს თავის მეგობრის პატროკლოსის მოსახსენებლად; თამაშობაში გამარჯვებულთათვის დამზადებული იყო ჯილდოლ—ცხენები, ლამაზრტყვები და სხვ. მაგრამ ჰომიროს არ აქვს ნახსენები არც ერთი ისეთი დღეობა, რომელზედაც ყველა ბერძნები იკრიბებოდნენ. საერთო დღეობები უფრო გვიან გახდნენ ბერძენთა ტომის ერთ უმთავრეს დაწესებულებად. თავდაპირველად უთუოდ ყოველ პატარა თემს თავისი დღეობა ჰქონდა; შემდეგ რამდენიმე ქალაქი თანდათან, რელიგიურ მიზეზების გამო, შეიქნა იმ დიდ ფედერაციების ცენტროებად, სადაც

საბერძნეთის ყოველ კუთხიდან მოდიოდა ხალხი დღეობაში და თამაშობაში მონაწილეობის მისაღებად. დღეობის მომწყობი და გამწერიგებელი ქალაქი ხელ-უხლებლად იყო აღიარებული დღეობის გათავებამდე, ე. ი. მცერი ვერ შემოესევოდა, მის ტერიტორიას; სამაგიეროდ, არც მას შეეძლო ომი დაეწყო ვისმესთან; იგი გზავნიდა ბერძნთა ფველა ქალაქებში ყვავილების გვიჩვინით მორთულ ელჩებს, რომელთაც უნდა გამოეცხადებიათ, რომ დღეობა იწყება და მაშასაღამე მშეიღობიანობის დარღვევის უფლება არავის ჰქონდა.

8. ოთხი უმთავრესი დღეობა. საბერძნეთში ოთხი უმთავრესი დღეობა იყო: ოლიმპიის, პითიის, ისტმისა და ნემეისა.

ოლიმპიის დღეობა იყო პელოპონეზის დღესასწაული, რომელიც თან და თან ბერძნთა ეროვნული დღესასწაული შეიქნა. იგი იმართებოდა ოლიმპიელ ძევსის პატივსაცემლად ოლიმპიაში (ელიდა). ამ დღეობის დაწესებას ბერძნები ჰერკულესს აწერდნენ. მაგრამ მისი რეგულიარული დღესასწაულობა დაიწყო მთლიან 776-ში ქრისტეს დაბადებამდე. ამ წელში ელეველებმა ქვაზედ ამოსჭრეს თავიანთ მოქალაქე კორებოსის სახელი, რადგანაც მან ყველას აჯობა სირბილში, და მთელმა საბერძნეთმა აქედან დაიწყო თავის წელთ-ალრიცხვა. რადგანაც ოლიმპიის დღეობას ოთხ წელიწადში ერთხელ დღესასწაულობდნენ, ამიტომაც ბერძნული ქორონიკონი—ოლიმპიადა—უდრიდა ოთხ წელს. თავდაპირველად დღეობა ერთ დღეში თავდებოდა, შემდეგ კი მთელი ხუთი დღე გრძელდებოდა და ყოველ კუთხიდან მოსული ბერძნები ეჯიბრებოდნენ ერთმანერთს ჭიდაობაში, სირბილში, დიდ რგოლების გაღასროლაში, გადახტომაში და მარულაში (დოლში).

პითიის დღეობა დელფიში იმართებოდა ამფიქტიონების თავმჯდომარეობით. იგი დაიწყო 586 წელს ქრისტეს დაბადებამდე. აქ გარდა ფიზიკურ ვარჯიშობისა, მუსიკაში და მოლექსეობაშიაც გაუჯიბრდებოდნენ ერთმანერთს ბერძნები. ამ დღეობაში იონიელების გავლენა სჭარბობდა.

ისტმის დღეობა კორინთის ყელზე იმართებოდა პოსეიდონის პატივსაცემლად და ნემეისა ნემეიში (არგოლიდა) ნემეელ ძევსის პატივსაცემლად. ამათ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ, აქ დორიელები სჭარბობდნენ სხვა ბერძნებს. პირველი შაიშუმ 582-ში, მეორე 573-ში ქრისტეს დაბადებამდე.

9. დღეობების გაფლენა ბერძენთა ფიზიკურ და ზნეობა. რაგ განვითარებაზედ. ზემოდ ნახსენებ დღეობებს დიდი გავლენა ჰქონდათ ბერძენთა ტომის ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზედ. ბერძნების შეხედულებით საღი სულისათვის საღი და უნაკლო სხეული იყო საჭირო, მათი ეროვნულ აღზრდის დედა აზრი ეს იყო. ჯანმრთელობასა და ღონებზედ ზრუნვას მიზნად ჰქონდა არა მარტო კარგი მეომრების აღზრდა, არამედ კეთილშობილ და გონიერ ჩამომავლობის შექმნაც. ბერძნებისათვის სხეულისა და სულის ზშვენიერება განუყოფელი იყო, ამიტომაც ბერძენთა დღეობების თამაშობანი სხეულის უბრალო ვარჯიშობა წოდი იყო. საბერძნეთმა აღმაღლა და გააკეთილშობილა ისინი მით, რომ განაძევა მათგან ყოველი ანგაარება და მატერიალურ მოგების სურვილი. როდესაც თერმოპილში მოსულ სპარსელებმა გაიგეს, რომ მიუხედავად სიშიშარ მდგომარეობისა, ბერძნებს თავი მოუყრიათ ოლიმპიაში და იქ ერთმანერთს ეცილებიან უბრალო დაფნის გვირგვინის დამსახურებისა და შოვნისათვის, მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მართლაც ერთად-ერთი ჯილდო, რომელსაც გამარჯვებულს აძლევდნენ, იყო ზეთის ხილის ან დაფნის გვირგვინი. მხოლოდ ერთი სპარსელი, ტრიტანტები, არტაბანის შვილი; მიხვდა ამ ზნეობრივ შეხედულების სრულ სიდიადეს. როდესაც მან გაიგო, რომ გამარჯვებულის ჯილდო მარტო დაფნის გვირგვინი იყო, ვერ მოითმინა და ყველა აქ მყოფთა წინაშე ხმა-მაღლა წამოიძახა: „დასწუყევლოს ღმერთმა! საღწამოგვიყვანე, მარღონიუსო! აქ ხომ სიმღიღრისათვის არ იბრძვიან, არამედ სახელისათვის“. სახელი! აი ის უანგარო და უაღრესი მიზანი, რომლისათვისაც ბერძნები ჯიბრში უდგნენ ერთმანერთს და ცილაობდნენ თავიანთ დღეობა.

ბებზედ: გამარჯვებულის სახელს დიდის ამბით გამოაცხადებდნენ შეკრებილ ერის წინაშე; სამშობლო ქალაქი აღტაცებით ეგებებოდა მას და უდიდესი მგლსნები ქებას ასხამდნენ თავიანთ ლექსებში; სპარტაში კი ერთად-ერთი ჯილდო დღეობებზედ გამარჯვებულ სპარსიტისა ბრძოლის დროს პირველ რიგში ყოფნა იყოა სახელმოვნობის გრძნობისა და თავი განწირულების საჯარო პატივისცემის შედეგი იყო ის გარემოება; რომ საბერძნეთი ზნეობრივად ისევე უცილობლად მაღლა იდგა სხვა ძეველ ხალხებზედ, როგორც უცილობელი იყო მისი ორტისტიული და ონტელეკტუალური უპირატესობა.

თავი მე-VIII-ი

სპარტა და მისი შოთარიკური და სოციალური წესწყობაღება (ჯავურგოსი).

სანქციი.—1. სპარტას სამხედრო ძლიერების მიზეზები.—2. სპარტანელ პირველ მეფეთა ლეგენდალური ისტორია.—3. დორიელების ლაკონიაში დასახლება და სინელენი, რომელნიც მათ აქ გამოსცადეს.—4. ლიკურგოსი.—5. მისი კონსტიტუცია. ორი მეფე და მათი უფლება-უპირატესობანი.—6. სენატი (გერუსია).—7. ეფორები.—8. ლიკურგოსის კონსტიტუციის უმთავრესი ხასიათი.—9. ლიკურგოსის მიერ მიწის განაწილება.—10. სპარტას დაბალი წოდებანი: ჰილოტები.—11. პერიოკები.—12. აღზრდის სამსედრო ზასიათი.—13. სპარტიატის ბავშვობისა და ახალგაზლობის დრო.—14. დავუკაცებული სპარტიატის ყოფაქცევა და მოვალეობანი.—15. სპარტიატთა საერთო სადილები და მათი ნამდვილი ხასიათი.—16. სპარტიატების სამხედრო ირგანიზაცია და დისკიპლინა.—17. სპარტას ბატონობის ხასიათი.—18. ცვლილებანი, რომელიც განიცადა ლიკურგოსის მიერ შემოღებულმა სოციალურმა წესწყობილებამ,—19. სპარტას წვლილი კაცობრიობის ისტორიაში.

1. სპარტას სამსედრო ძლიერების მაზეზები. დორიელებშა დაარსეს პელოპონეზში სამი სახელმწიფო — არგოლიდა, მესე-

ნია და ლოკონია; ამათგან უძლიერესი ლაკონია შეიქნა. ამ მიზნისათვის აქ ბუნება და ადამიანი თანხმობით მოქმედებდნენ. მდ. ევროტასის ჭალა სწორედ ზედ-გამოჭრილია ძლიერ მეომართა აღზრდისათვის. როცა იქ ჩრთილოეთიდან მიღიხართ; ასე გვინდიათ - ციხის დაბალ და ნოტიო ეზოში შეხვედით. უკან კლდიანი ნაცრის ფერი გორაკები, მარჯვნივ—ტაი-გეტის უზარმაზარი კედელი თავის მოჩხრიალე ჩანჩქერებით, მარცხნივ—პარნონის მთები; პირდაპირ ზღვისაკენ—მალლობების მთელი რიგი, რომელიც თვალთაგან ფარავს ლაკონის უბის ცისფერ ტალღებს. როცა ამ ოთხ კედელშუა ხართ, როცა ხედავთ, რომ კარებს, როცა გინდათ, დაპკეტთ, ადვილად მიხვდებით, თუ რათ არ დასჭირდათ სპარტიატებს თავიანთ ქალაქის ხელოვნურად გამაგრება. ამ გვარ მდებარეობის ქალაქისათვის საშიშია მარტო შიმშილი, მაგრამ აქ ბუნებამ ჰყო იგი უზრუნველი: ჭალის შუა ნაწილი. მეტად ნაყოფიერია. მაგრამ თუ ადგილის ბუნება ხსნის იმ ფარემოებას, რომ სპარტიატები მეომრები გახდნენ, მას არ შეუძლია აგვისნას, რატომ ისინი გარდა მეომრებისა არა შეიქმნენ რა. ამ მოვლენის მიზეზები უნდა ვეძიოთ თვით დორიელთა ტომის ხასიათში, იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომელთა შორის იგი ვითარდებოდა, და იმ დაწესებულებებში, რომელთაც მტკიცედ ემორჩილებოდა.

2. სპარტას მეფეთა დაბენდადური ისტორია. ლეგენდით, ლაკონიის პირველ მეფეს ლელეგს ჰყავდა შვილი ევროტასი და შვილის შვილი ქალი სპარტა, რომელიც ცოლად გაჰყვა ლაკედემონს, ძევსისა და ნიმფა ტაიგეტეს შვილს. ერთი სახელოვანი ჩამომავალთაგანი ლაკედემონისა იყო ტინდაროსი. ტინდაროსის ცოლს ლედას ჰყავდა ორი ვაჟი-კასტორი და პოლუქესი, ეგრედ წოდებული დიოსკურები, ლაკონიის ეროვნული გმირები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა საგმირო ხანის ცველა დიდ საქმეებში და რომელნიც, სიკვდილის შემდეგ, შეიქმნენ ზღვის კეთილი ღმერთები, ფურთვნისა და დელვის. დამამშვიდებელნი. წყნარ მენელაოსით იწყება ახალ.

დინასტიის — ატრიდების მეფობა; მაგრამ ატრიდების მეფობა ხანგრძლივი არ ყოფილა: მალე დაბრუნდნენ ჰერაკლიდები ევრისთენესი და პროკლესი, არისტოდემის შვილები, და დაიპყრეს ლაკონია: ამათმა შვილებმა, აგისმა და ევრიპონტმა, დაარსეს ორი ახალი დინასტია (აგიდები და ეკრიპონტიდები), რომელთა წარმომადგენელნი ერთად მეფობდნენ სპარტაში.

3. დორიკებას დაკანიაში მასეფა და სიმნივენი, რომელნაც მათ აქ შეხვდათ. რაც უნდა დაუჯერებელი იყოს ზემოდ მოთხრობილი ლეგენდალური ამბავი, ერთი რამ მეტად საგულისხმო და მართალია ამ ლეგენდაში: დორიელები ევროტასის ჭალაში მოსვლისათანავე ვერ გაბატონებულან ამ მხარეში. სანამ მას ხელში ჩაიგდებდნენ, ხანგრძლივი და სასტიკი ომები დასჭირდათ წინედ დასახლებულ აქეელებთან. თავდაპირველად სპარტა იყო მხოლოდ სამხედრო საოპერაციო ბაზისი; აქეელთა არისტოკრატია სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ახალმოსულებს, რომელთაც საგებით ვერ გაიმარჯვეს მოწინააღმდეგებზე: სადაც ძალამ ვერ გასჭრა, იქ დორიელები მორიგების გზას დაადგნენ და ამ გვარად დაარსდა ახალი სამეფო, რომელიც უეჭველად შესდგებოდა როგორც დორიელ, ისე აქეელ ელემენტებისაგან. ამითი აისნება დორიელებისათვის არა ჩვეულებრავი მოვლენა — რომეფობის არსებობა: სპარტაში ორი სამეფო სახლი ჩყო, ერთმანერთისაგან განკერძოებით. მცხოვრები; დამოუკრებაც კი არ მომხდარა მათ შორის, თვითეულს მათგანს საკუთარი ისტორია და მატიანე, საკუთარი სასახლე და სასაფლაო ჰქონდა.

4. დიკურგასი. როგორიც უნდა იყოს ორ მეფეთა არსებობის მიზეზი, მათ ვერ მოახერხეს აეცილებინათ თავიანთ სამეფოსათვის არეულობა და უწესობა, და რომ პოლიტიკური და სოციალური ცვლილება არა, რომელიც, გადმოცემით, ლიკურგოსმა მოახდინა, დორიელთა ახალი სახელმწიფო დაიღვებოდა. როდის ცხოვრობდა ეს ლიკურგოსი, არ ვიცით; შეიძლება მე-IX-ე საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტეს დაბადე-

ბამდე. იგი მეფეების ნათესავი იყო და მცირე-წლოვან ტახტის მეიკვიდრეს მზრუნველობდა. სანამ რეფორმას მოახდენდა, ლიკურგოსმა ბევრი იმოგზაურა; იყო იმანიაში, საიდგანაც ჰომიროსის პოემები მოიტანა, კრეტაში, ომლის წესწყობილება სპარტას ჰგავდა, ეგვიპტეში, ლიბიაში და ინდონეტანშიაც, სადაც იგი უნდა გაცნობოდა ბრაჟმას ქურუმებს. საბერძნეთში რომ დაბრუნდა, იგი მივიღა რჩევის საკითხავად დელფის მისანთან, რომელმაც მას მიახლოებასთანავე შემდეგის სიტყვებით მიმართა: „ლიკურგოს, მოუახლოვდი ჩემს მდიდარ საკურთხევლებს, შენ, ძევსისა და უკვდავ ღმერთების საყვარელო კაცო; შენ თვითონ ღირსი ხარ, რომ ღმერთის სახელი გიწოდო, იმდენად დიადი და სხვა ადამიანზედ უმჯობესი ხარ“. ამასთანავე პითიამ გაუმჯობენა, თუ რა ცვლილებანი უნდა შემოელო მას სპარტაში. ლიკურგოსიც, დელფის ღმერთის დახმარებით და მფარველობით, შეუდგა რეფორმის საქმეს.

5. ლიკურგოსის კანიტიატუცია; თუ მეფეთა უფლებანი და უშიარესობანი. ლიკურგოსის მიერ შემოღებული რეფორმა პოლიტიკურიც იყო და სოციალურიც. როგორც პოლიტიკურ რეფორმას, მას მიზნად ჰქონდა მეფის გავლენის და მნიშვნელობის შემცირება და სენატის (გერუსია) გაძლიერება; როგორც სოციალურ რეფორმას, მას მიზნად ჰქონდა მიეცა დორიელებისათვის განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელსაც უნდა განემტკიცებია და უზრუნველ ეყო მათი ლაკონიაში ბატონობა. ორი სამეფო დინასტია დატოვებულ იქმნა, რადგანაც ორ-მეფობას თავისი უპირატესობა ჰქონდა: ორ-მეფობა გარანტია ტირანიის წინააღმდეგ—ერთი მეორეს შურის თვალი უყურებს და ნებას არ მისცემს გაძლიერდეს; გარდა ამისა ორ-მეფობის შენახვას რელიგიური ტრადიციაც თხოულობდა: ორი მეფე ლაკონიის ძველ მფარველების, დიოსკურების, წარმომადგენელიად ითვლებოდნენ. მეფეების უპირველესი მოვალეობა იყო მთვარ-ქურუმობა— ისინი იყვნენ ღმერთებისა და ხალხის შუამდგომელნი, ესენი ნიშნავდნენ სპარტას წარ-

მომადგენლებს დელფის შისნის წინაშე. დღესასწაულებზე, საერთო პურის ჭამის დროს, მეფეებს ეკუთვნოდა პირველი ადგილი, მათ ორი ულუფა (საჭმლისა და ლვინისა) მოერთ-მევოდათ. მათვე ეკუთვნოდა დაკლულ ბატკნების ტყავებიც. ყველა, გარდა ეფორებისა, ფეხზე უნდა მდგარიყო მათ წინაშე. როცა მეფე მოკვდებოდა, განსაკუთრებულის პატივის ცე-მით ასაფლავებდნენ: თვითეულის სახლიდან ორ-ორი წარმომა-დგენელი მოდიოდა, სამგლოვიაროდ ჩატარებული და ნაცარ გა-დაყრილი; სახალხო კრების ადგილი (აგორა). და სასამართლო-ები დაკეტილი იყო და ათი დღის განმავლობაში ქალაქში მწუხარებისა და გლოვის ხმა ისმოდა; რამდენიმე ათასი მოტირალი ქალი და კაცი მისდევდა გადაცვლილ მეფის გვამს; ჩვეულება-იყო, ხმამალლა ეძახნათ, რომ ახლად გარდაცვლილი მეფე საუ-კეთესო მეფე იყოო. ამ გვარიცერემონიები; ამდენისავე გულ-წრფელობით, სხვაგან და სხვა დროსაც ხდებოდა და ხდება.

6. სენატის ან გერუსის უფლება და მდივანება. მე-ფეების ეს გარეგანი პატივი და დიდება სრულებით არ შეეფე-რება მათ ნამდვილ ძალასა და გავლენას. მათ მხოლოდ ერთი ღირს-შესანიშნავი უფლება ჰქონდათ, ეს არის ომის გამოცხა-დების და დაწყების უფლება; ისინი იყვნენ ჯარის მთავარა-სარდლები და ომის დროს მათ ახლდა განსაკუთრებული ამაღლა, რომელიც ასის კაცისაგან შესდგებოდა; შემდევში მხოლოდ ერთი მეფე მიღიოდა ლაშქრობაში, მეორე სახლში რჩებოდა. ყველა სხვა საქმეებში მეფეთა უფლება შეზღუდული იყო სე-ნატის ან გერუსის უფლებებით. გერუსია—უძველესი დაწესე-ბულებაა; იგი შესდგებოდა 28 ოჯახის უფროსისაგან (მამასახ-ლისი), რომელთაც ირჩევდა ხალხი და რომელნიც უნდა ყოფი-ლიყვნენ არა ნაკლებ 60 წლისა. ამორჩეული გერონტი (გე-რუსის წევრი) სიკვდილამდე რჩებოდა გერუსის წევრად. ორი მეფე ამ კრებულის წევრები იყვნენ, მაგრამ მათაც ისეთივე უფლებანი ჰქონდათ, როგორც დანარჩენ წევრებს. სახელმწი-ფოს ყველა საქმეები გერუსის ხელში იყო. დანარჩენი სპარ-ტიატები ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის მართვა-

გამგეობაში. თვეში ერთხელ, ძველ, მთვარეზე, გერონტები მოუყრიდნენ თავს გაშლილ მინდორზე სრულ-უფლებების მქონებელ სპარტიატებს (დორიელებს); წარუდგენდნენ მათ თავიანთ წინაღადებებს და შეკრებილი ხალხიც საქმის განუსჯელად და განურჩეველად ჰოს ან არას ამბობდა. ლიკურგოსის შემდეგ არ გაუვლია ერთ საუკუნეს და გერუსიამ ის უფლებაც კი მიითვისა, რომ არღვევდა საერო კრების გადაწყვეტილებას, თუ იგი არ მოსწონდა.

7. ეფთაჲება. ზემოდ აწერილი წმინდა არისტოკრატიული წეს-წყობილება შეიცვალა, უთუოდ მესენიელებთან ომების დროს, ახალ ელემენტის შემოღებით: შექმნეს ახალი ინსტიტუტი—ეფორატი; ეფორებს, რიცხვით ხუთს, ირჩევდა ყოველ წელს საერო კრება. თავდაპირველად ეფორების და ნიშნულება იყო, წინააღმდეგობა გაეწია მეფეებისა და სენატი-სათვის (გერუსია), როცა ესენი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ამ ახალ მაგისტრატის წყალობით მეფეებმა დაჲკარგეს ის ცოტა ძალაც კი, რომელიც მათ დარჩენიდათ. ორი ეფორი ყოველთვის თან ახლდა მეფეს ლაშქრობის დროს; მათ შეეძლოთ დაესაჯათ მეფე, მაგ. დაენგრიათ მისი სახლკარი. თვითონ გერუსიამაც დაჲკარგა თავისი ძლიერება და გავლენა: შერჩა მხოლოდ უფლება ომის გამოცხადებისა და მშვიდობიანობის ჩამოგდებისა. ყველა საქმეებში, როგორც შინაურში, ისე გარეშეშიც, ეფორები შეიქმნენ სრული ბატონები. ეფორატი იყო ერთის მხრივ დემოკრატიული დაწესებულება, რადგანაც ყოველ სპარტიატს შეეძლო გამხდარიყო ეფორი, მეორე მხრივ, დესპოტიური, რადგანაც იგი თავის მოქმედების ანგარიშს არავის აძლევდა.

8. ლიკურგოსის მიერ შემთხვებული სოციალური წეს-წყობილება; მისი უმთავრესი ხასიათი. სპარტის პოლიტიკური წეს-წყობილება, მიუხედავათ ჭოვიერთ განსაკუთრებულ თვისებებისა, წარსულის ნაანდერძევია: სკიპტრას მტარებელი მეფეები, მამასახლისთა კრებული გერუსია, საერო კრება, რომელიც აცხადებს თავის სურვილს „ჰოს“ და „არა“-თი-ყველას.

ამას ჩვენ ვხედავთ ჰომიროსის დროსაც. ახალი და თავისებური საქმე, რომელიც ლიკურგოსმა შეასრულა; არის სოციალური წესი, რომელიც სპარტაში შემოილო. მის მზგავსაც ვერსად საბერძნეთში ვერ ვპოვებთ. რამოდენიმეთ კრეტა ჩამოგავს ამ მხრივ სპარტას; მაგრამ მას აკლია სპარტას კანონმდებლობის ერთი შესანიშნავი თვისება: სამხედრო დისკალინა და სასტიკი აღზრდა ახალგაზდობისა.

ლიკურგოსის აზრით, ამავე აზრის იყო მაშინ მთელი საბერძნეთი და რომი, ადამიანი არსებობს მხოლოდ საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის. დაბადებიდან სიკვდილის დღემდე იგი საზოგადოებას ეკუთვნის. მას სხვა ინტერესი არ აქვს გარდა საზოგადოების ინტერესისა, მისი მიზანი საზოგადოების კეთილდღეობაა. ჩვენის შეხედულებით, ჩვენ თავისუფალი ვართ სახელმწიფოს წინაშე ყოველივე მოვალეობისაგან, თუ მოვიხადეთ ის მოვალეობანი, რომელიც გვაწევს, მაგ. სამხედრო ბეგარა და სახელმწიფო გადასახადები. სპარტაში კი სპარტანელი სახელმწიფოს მუდმივი მოვალეა: იგი თავისთვის როდი სცხოვრობს, თავისთვის როდე მუშაობს; მისმა პირადმა გემოვნებამ, სურვილმა, მიღრეკილებამ ქედი უნდა მოიხაროს უფრო საზოგადო ეგოისმის წინაშე და მას ადგილი დაუთმოს. ამ მხრივ ძველი ოემი (*polis*) საშუალო საუკუნოების რელიგიურ ორდენებს ჩამოჰვავს. ორივე შემთხვევაში პიროვნების თავისუფლება მსხვერპლად ეწირება საზოგადოებას.

ეს ინდივიდუალური თავისუფლება სრულებით არ ჰქონდა ძველ სპარტანელს ისეთ საქმეშიც კი რომელიც, ეხლა წარმოადგენს უთვალსაჩინოებს ნიშანს ადამიანის დამოუკიდებლობისას; მაგ. საკუთარების უფლების მოხმარება და ბავშვების აღზრდა თავისუფალი როდი იყო: თუ რამე საკუთრება გაქვს, გაქვს თემისათვის და არა შენთვის, ამიტომაც თემის ნებადაურთველად საკუთრების გადაცემ-გადმოცემა შეუძლებელია; თუ ცოლს ირთავ და შვილები გყავს, ესეც თემისათვის და არა შენთვის, ამიტომაც თემი არა თუ თვალყურს აღევნებს ბავშვების აღზრდას, თვით მთელი აღზრდის საქმე მითვისებული აქვს და.

კერძო აღმიანს არავითარი უფლება არ აქვს შიგ გაერიოს. მაგრამ რა აზრი ექნება პირად თავისუფლების მოსპობას, თუ მოქალაქეთა შორის ქონებრივი უთანასწორობა არსებობს? სიმღიდოები ცუდი მრჩეველია: მღიდარი ყოველთვის თავისუფლებას ნდომობს; თავისუფლების მოსპობა თანასწორობას თხოულობს: მარტო თანასწორობას შეუძლია ანუგეშოს და ვისუფლების დამკარგველი აღამიანი. ვნახოთ, რა ღონე იღონა ლიკურგოსმა სპარტაში ამ გვარ წესის შემოღებისათვის.

9. მიწის განაწილება. პლუტარხოსი ამას შემდეგ ნაირად გადმოგვცემს: ლიკურგოსი ხედავდა, თუ რა ცუდი შედეგი მოსდევდა ქონებრივ უთანასწორობას და ამიტომ შეუდგა სპარტას ტერიტორიის ახალ განაწილებას დორიელ სპარტიატთა შორის. შან გაჰყო ეს ტერიტორია 9000 ნაჭრად; თვითეული ნაჭერი ერთი და იმავე ღირსების იყო, ასე რომ, როცა ერთხელ ლიკურგოსი დასეირნობდა ყანების შეს დროს და უველგან თანასწორ მომკიდის ხედავდა, ღიმილით მიუბრუნდა თანამხლებლებს და სთქვა, რომ სპარტას ტერიტორია წააგავს მამულს, რომელსაც ბევრი ძმები ფლობენ. ამ ნაჭრების სყიდვა-გაყიდვა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ცხადია ძველი უთანასწორობა ისევ თავს იჩენდა. ამიტომაც მიწის მესაკუთრე თვით თემი იყო და სპარტიატები მხოლოდ მფლობელნი. მფლობელთ არც გაყიდვა, არც ანდერძით გადაცემა შეეძლოთ; მამული მამიდან შვილზე გადადიოდა: ჩვენ ეხლა ამ გვარ წესს მაიორატს ვეძახით. თუ მამრობით სქესის მემკვიდრე არ იყო, მიწა თემს უბრუნდებოდა და მეფების განკარგულებაში იყო.

10. დაბალი წადებანი სპარტაში; ჟილტები. სპარტიატი არც მიწის დამმუშავებელი ყოფილა. არც ერთ მწერალს, რომელსაც კი სპარტიატის ჩვეულებრივი ცხოვრებაა აუწერია; არა აქვს ნახსენები, რომ სპარტიატი თვითონ ამუშავებდეს მიწას; იგი არა თუ თვითონ არ არის მუშა, არც მომვლელი და განკარგულების მიმცემია; სოფელში სრულებით ვერ ვხედავთ სპარტიატებს. მათი მიწები თითქმის რგივე სა-

შუალო საუკუნეების სამხედრო ფოედებია, რომელთათვის ისინი მოვალენი იყვნენ ემსახურნათ თემისათვის; მიწებს ამუშავებდნენ მონები ან უკეთ რომ ვსთქვათ, ყმები, რომელთაც ჰილოტები ერქვათ. ეს ჰილოტები სრულებით არ ჩამოჰვავდნენ თავიანთ მდგომარეობით ათინისა და რომის მონებს; მართალია, ესენიც მონები იყვნენ, მაგრამ მიწაზედ მიკრულნი: ამუშავებდნენ მიწას, აძლევდნენ მფლობლებს შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს, რომლის მომატება არ შეიძლებოდა, დასარჩენს თავისთვის იტოვებდნენ. „საზღვარ გარედ“ მათი გაყდვა აღკრძალული იყო; აღკრძალული იყო აგრეთვე მათი განთავისუფლებაც, ე. ი. მათი განთავისუფლების უფლება მართო სახელმწიფოს ჰქონდა; მაშინ მათ ნეოდამოდებს ეძახდნენ.

ამ გვარვდ, ერთის მხრივ, ჩვენ ვხედავთ სპარტიატს მიწს მფლობელს, რომელიც იღებს მიწისაგან განსაზღვრულ ჩენტას, მაგრამ რომელიც თვითონ არ ამუშავებს მას, მეორე ჭრივ ყმებს; რომელნიც მიკრული არიან მიწაზედ და იღებენ მწის შემოსვლის ნარჩენ ნაწილს.

11. ლაკონიის ჟერიეკები. გარდა სპარტიატებისა და ჰილოტებისა ლაკონიაში სცხოვრობდნენ კიდევ ჰერიეკები (მიდა-მოცში მცხოვრებნი-perioikoi). უნაყოფიერესი ნაწილი ლაკონია დორიელებს ეკუთვნოდა და მათ შორის იყო განაწილებური; ნაკლებ ნაყოფიერი ნაწილი, რომლის უდიდეს ნაწილს მთა-გორები შეადგენენ, ლიკურგოსმა დაჲყო 30,000 ნაჭრ და მისცა ადგილობრივ მკვიდრთ; აი ამათ ეძახდნენ ჰერიებს; რიცხვით ესენი სამჯერ მეტი იყვნენ, ვიღრე სპარტები. ჰერიეკები ამუშავებდნენ მიწას, ტაიგეტის მაღნებს, წენ წელოსნები და ვაჭრები. მიწა მათი საკუთრება იყო, მულტ მეფებს აძლევდნენ გადასახადს. მათ არ ჰქონდათ საში არავითარი პოლიტიკური უფლება და არ იღებდნენ ნაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

12. ლაკონიის აღზრდის წმინდა სამხედრო ჩასათო. მიწის ჟარ განაწილებით, ლიკურგოსმა მატერიალუ-

რად უზრუნველ ჰყო სპარტიატები; ამიტომაც მას შეეძლო, მოეთხოვა მათგან, ეცხოვრათ მხოლოდ თემისათვის; და მერე რა არის თემის უპირველესი მოვალობა? მტრისაგან თავის დაცვა. კანონმდებლის მოვალეობა? იზრუნოს ამ თავის დაცვისათვის და ყოველ მოქალაქისაგან მეომარი შექმნას. სპარტიატებიც მეომრები იყვნენ და მათი ოლზრდაც წმინდა სამხედრო.

13. სპარტიატის ბავშვება და ახალგაზღვობა. დაბადებისათანავე პატარა სპარტიატი თემისაკუთრება ხდებოდა. მაშის მიჰქონდა იგი დანიშნულ ადგილას, რომელსაც ლესხე ერქვა. აქ გამოიკვლევდნენ მის აგძულებას და თუ ახლად დაბადებული სუსტი ან მახინჯი იყო, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო: ტაიგეტზე მიატოვებდნენ. რა საჭირო იყო თემისათვის სუსტი და ავათმყოფი ბავშვი, რომელიც ვერ შესძლებდა მეომრობას და შემდეგში შექმნიდა ულონო და გამოუსადევარ ჩამომავლობას? თუ ბავშვისალი და ლონიერი იყო, იგი მაშინ, ვე ჩაიწერებოდა როგორც ახალი წევრი. შვიდ წლამდე დედასთან რჩებოდა; შვიდი წლიდან კი იწყებოდა მისი სამხედრო ოლზრდა. ზამთარ-ზაფხულ იგი ფეხშიშველი და თავშიშველი დადიოდა, მთელი წელი ერთ ტანისამოსს ატარებდა, საბანს ვერ დაიხურავდა, საგები მისი—ჩალა ან ჭივა იყო. საჭმელი ისე უბრალო და ცოტა ეძლეოდა, რომ შეტარა სპარტანელი ხშირად იძულებული იყო ქურდობა ჩაედინა კუჭის გამოსაძლომად; ამასთან მუღმივი ფიზიკური ვარჯიშობა, რომლის მიზანი სხეულის გამაგრება იყო: სირბილი, გადახტომა, ჭიდაობა, დისკოსის (რგოლი) სროლა, სამხედრო ცეკვა (გრალით), რომელსაც პირჩიხე ერქვა. მათი მეთვალყურე აღმზრდელები, შესტიგოფორები (მემათრახეები) შეუბრალებლად სცემდნენ პატარა რა სპარტიატებს. ცემას მეტად დიდი როლი ჰქონდა დათმობილი სპარტიატის ალზრდაში. ყოველ წლივ, არტემიდის ტაძრის წინ, უწყალოდ სცემდნენ ახალგაზღდა სპარტიატებს და ესენი არჩევდნენ სიკვდილს, ვიდრე ჩივილს ან ტირილს. ეს ცერემონია სპარტანელების ეროვნული დაწესებულება შეიქნა და არსებო-

ბდა ლიკურგოსის კანონების მოსპობის შემდეგაც. სპარტანელ ბავშვისათვის სირცხვილი იყო, დაენახვებინა სხვისთვის, რომ მას ტკივა რამ ან იტანჯება. ერთხელ ერთმა მათგანმა მეღა მოი. პარა და ტუნიკის (პერანგი) კალთას ქვეშ დამალა; მეღამ მუცელი გამოულრნა და ბავშვს კრინტი არ დაუძრავს, ისე მოკვდა: სიკვდილი არჩია გამოტეხას და ტკივილების გამჟღავნებას. ამ მუდმივ ფიზიკურ ვარჯიშობას, რომელიც ქმნიდა ძლიერსა და მომთმენ მეომარს, უნდებოდა თითქმის მთელი დრო და სწავლისა და გონების განვითარებისათვის სპარტიატს. ალარ ეცალა. სამხედრო საქმეებშიაც სპარტანელი უფრო ღონესა და გამძლეობას იჩენდა, ვიდრე მოხერხებას და მოსაზრებას: ამ მხრივ მათ ხშირად ასწავლეს ჭკუა ათინელებმა. ბავშვები უფრო ხშირად წერაკითხებასაც არ სწავლობდნენ; ხელოვნება და ლიტერატურა განდევნილი იყო სწავლის პროგრამიდან; სამაგიეროდ მუსიკა სავალდებულო იყო, მაგრამ ესეც სამხედრო მიზნით: ბავშვის ყური უნდა შეჩვეოდა სამხედრო მოძრაობის პარმონიას, რიტმს. საზოგადოთ მუსიკას სპარტაში ყველან ჰქონდა ოდგილი: ყოველ დღესასწაულზე, ყოველ სადღესასწაულო ცერემონიის დროს ორპირად შლეროდნენ სხვა და სხვა მომძერალთა გუნდები. ჯერ შოხუცებულების გუნდი დაიწყებდა: „ერთ დროს ჩვენც ვიყავით ახალგაზღანი, ძალ-ლონითა და ვაჟკაცობით ალსავენი“. ამაზედ ახალგაზღები უპასუხებდნენ: „ჩვენც ეხლა ვართ მაგისთანანი; ვისაც სურს, შეუძლია გამოგვცადოს“. ბავშვები ამ სიტყვებით დაათავებდნენ: „ჩვენც ერთ ლროს ეგეთები შევიქნებით და თქვენზე უმჯობესებიც“.

14. დავაუგანებულ სპარტიატის ქცევა და მოვალეობა. ამ გვარად აღზრდილი ოცი წლის შესრულებული სპარტიატი სპარტის კანონმდებლის იდეალის განხორციელებაა. სიარული მისი მშვიდი და დინჯია; თვალები მას ყოველთვის ძირს აქვს დახრილი, ხელები მოსახურავ ქვეშ; სახის გამომეტყველება გარეგნად მშვიდი და სერიოზული; ნამდვილად კი იგი გულზვავი და ამაყია, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეკუთვნის

ვ ნიკუთრებულ ჯიშს, ყველა სხვა ჯიშზე მაღლა მდგომარეს ვაუკაცობითა და მამაცობით. იგი სიამოვნებით იტანს ყოველ გვარ გაჭირვებას და ტკივილს, რადგანაც სჯერა; რომ ყველა ამის მიზანია დაუმტკიცოს ქვეყნიერობას, თუ რა დიდი მანძილია ნამდვილ სპარტიატსა და სხვა აღამიანთა შორის. ამ მიზნის მიღწევისათვის სპარტანელი არ ზარობდა მთელ სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც და სწორედ ეგრეც იყო: სპარტანელი მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში თემს ეკუთვნოდა. ოცი წლის სპარტანელ ჯარის კაცი ხდებოდა; ოცდა ათის წლის მოქალაქობრივ უფლებებს იძენდა. ამის შემდეგაც იგი თემის მონა რჩებოდა; იგი მოვალე იყო ცოლი შეერთო, რადგანაც თემი მეომრებსა და მოქალაქეებს საპიროებდა. უცოლშვილო კაცის მდგომარეობა შეტად გაჭირვებული იყო სპარტაში. ერთი ახალგაზრდა სპარტანელი ფეხზე არ წამოუდგა მთავარ სარდალს (დერვილიდასს) და როცა გაკვირვებულმა მიზეზის გაგება მოინდომა: „შენ არ გყავს შვილები, რომელთაც შეეძლებათ ერთ დღეს მეც წამომიდგენ ფეხზედო“, უპასუხა სპარტანელმა. სპარტანელს კერძო ოჯახი და სახლი აქვს, მაგრამ მას უფლება არ აქვს მშვიდობიანობის დროსაც კი მთელი დრო მას მოანდომოს, სახლში დარჩეს: მან უნდა მიიღოს მონაწილეობა სისიტიაში ან საერთო ნატოში. როცა მეფე აგისმა, ათინიდან დაბრუნებულმა, მოისურვა ცოლშვილში ეპამი პური და იქ მიეტანათ მისი კერძი, უარი უთხრეს და ისიც იძულებული შეიქნა დამორჩილებულიყო. ყველას ერთნაირი ტანისამოსი უნდა სცმოდა; კანონი ამ მხრივ უბრალო წერილმანებსაც ეხებოდა; მაგალითად, კანონით ულვაშების ტარებაც აღკრძალული იყო. ყოველი მოქმედება, ყოველი ქცევა თემის კონტროლს ექვემდებარება; დაბადებიდან სიკვდილამდე სპარტანელი თემის მზრუნველობის ქვეში იმყოფება. ვინც კი დაიბადებოდა ამ დიდ სამხედრო მონასტერში, რომელსაც სპარტა ერქვა, იგი ვერასოდეს ვერ განთავისუფლდებოდა თემის ლეგალურ (კანონიერ) განუწყვეტელ ტრანიისაგან.

ა. სისიცეები (საერთო ნადიმები) სპარტაში და შათა
ხასიათი. სპარტიატების საზოგადოებრივ ცხოვრების მეტად
თავისებური მოვლენა სისიტიები იყო. ჯერ გამორკვეული არ
არის, თუ საიდან წარმოსდგა ეს ჩვეულება, არის იგი ნაშთი
პირვანდელ კომუნისა თუ ლრკურგოსის შიერ შემოღებულ სამ-
ხედრო ორგანიზაციის ერთი მხარეა. სისიტია არსებობდა აგრე-
თვე კუნძულ კრეტიზედ, მაგრამ უფრო სხვა ხასიათისა, ვიდრე
სპარტაში. კრეტელები სისიტისათვის გადადებულნენ ხოლმე
წლიურ შემოსავლის ერთ ნაწილს; თვით სისიტის ესწრებოდა
ყოველი კრეტელი, ქალი იქნებოდა იგი თუ კაცი, ლაკედემონის
სისიტის კი ძველ კომუნის უბრალო ნიშანიც კი არ ატყვი. .
ჯერ საერთო პურის ჭამა სპარტაში მხოლოდ ერთი იყო—სა-
ლაშოს; ამ ნადიმს ესწრებოდნენ მხოლოდ დორიელი მამაკაცები
და ამათში მხოლოდ ისინი, რომელთაც შეეძლოთ მოეტა-
ნათ სულზე სანოვაგის განსაზღვრული რაოდენობა. არც
ერთ სრულ უფლების მქონებელ სპარტიატს არ შეეძლო არ მიე-
ღო მონაწილეობა ამ საერთო ნადიმში და ვინც გაღარიბების
გამო ვერ შესძლებდა აესრულებინა ეს მოვალეობა, სპარ-
ტიატი ან, თვით სპარტანელების ტერმინი რომ ვინმართ,
„თანასწორი“ აღარ იყო. როგორც ვხედავთ, ამ დაწესებულე-
ბაში დემოკრატიული არა არის რა, რადგანაც ლარიბი ვერ
სარგებლობდა მითი. ამ საერთო ნადიმის ნამდვილ ხასიათის
გასაცნობად საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ იყო იგი მო-
წყობილი. სიტყვა „საერთო“ იმას კი არ ნიშნავს, რომ ყვე-
ლა ერთ სუფრაზე ისხდნენ, სრულებითაც არა: მონადიმენი
ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ დაყოფილი და თვითეული ჯგუფი
თავ-თავის პატარა ოთახში ისხდა, თვითეული ამისთანა ოთა-
ხი ვიწრო წრე იყო, სადაც ყველას როდი შეუშეებდნენ. ახალ
წევრისთვის კენჭი უნდა ეყარათ; კენჭად ხელით დარგვალებულ
პურის გულს ხმარობდნენ. ეს პატარა წრეები ემსგავსებოდა
სამხედრო პანსიონებს, სადაც მხოლოდ სასიამოვნო პირებს
მიიღებდნენ ხოლმე. რაც სუფრაზე ითქმოდა, ის გარეთ არ უნ-
და გამოსულიყო, უმთავრესი საჭმელი იყო ცნობილი შავ-

წვნიანი გარეულ ღორის ხორცი, რომელმაც სახე დაუშანება სირაკუზელ ტირან დიონისოსს. სიბარიტელმა, რომელმაც გასინჯა ეს საჭმელი, გულწრფელად წამოიძახა: „ვფიცავ იუპია ტერს, ეხლა კარგად მესმის, რატომ არ ეშინიათ ლაკედემონელებს სიკვდილისაო;“ ამითი იმის თქმა უნდოდა, რომ ისევ სიკვდილი სჯობს ამისთანა ცხოვრებასთ.

16. სპარტანელების სამხედრო ორგანიზაცია და დისცი-
ლიის. პლატონი სპარტას ადარებს დაბანაკებულ ჯარს და
სამართლიანადაც: ოცის წლიდან სამოცამდე ყოველი სპარტა-
ნელი ჯარის კაცი იყო. სპარტანელების ქვეითი (პოპლიტები)
და ცხენოსანი ჯარი, შესდგებოდა ექვსი „მორასაგან“, (morai)
მორაში ითვლებოდა 400-დან 900-მდე ჯარის კაცი; მორა
იყოფოდა ენომოტიებად, ენომოტიაში იყო 25 კაცი. მორა—
ეხლანდელი ბატალიონია. სპარტანელების ჯარის უმთავრესი
ლირსება იყო სასტიკი დისკიპლინა, მშვიდობიანობის დროს
მუდმივი სამხედრო ვარჯიშობა, ომისთვის მზად-ყოფნა და
მწყობრი მოძრაობა. დანარჩენი ბერძნები დიდის ხნის განმავლობა-
ში განცვითრებით და შიშით შესცეროდნენ ლაშქრად გამოსულ
სპარტანელების ჯარს. მართლაც, დიდებული და თან შიშის
მომგვრელი იყო სპარტანელების სალაშქროდ გამოსვლა: სპარ-
ტანელი ჯარის კაცი, რომელიც სახლში სრულებით ყურად-
ღებას არ აქცევს ჩატანას, დღეს, ომის დროს, საუ-
კეთესოდ არის გამოწყობილი; მისი გრძელი თბა, რომელიც
ბეჭებზედ სცემს მას, შემუშლია ყვავილებით; წამოსხმული
აქვს წითელი მოსასხამი, ასე რომ ჯარის-კაცების რიგი წარმო-
ადგენს სისხლის ფერ რაზმს, რომელსაც ხელში ბრჭყვიალა
რკინის წვერებიანი შუბები უჭირავს. როდესაც ეს თით-
ქოს სისხლში შელებილი ფალანგა (რაზმი) დაიძვროდა. და
მტრისაკენ მტკიცედ და მრისხანედ წავიდოდა, თვით უმამაცე-
სიც კი უნებურად უკან-უკან დაიწყებდა ცქერას. მაგრამ რაც
შეეხება სამხედრო ხელოვნების განვითარებას, სპარტანელები
ბოლოს უკან ჩამორჩნენ სხვა ბერძნებს, რომელთაც ისინი ერთ-
დროს დაცინვითა და ზიზლით უყურებდნენ..

17. სპარტან ბატონიბის ხასიათი დაკონიაში. თუმცა სპარტან ელები შეიარაღებულ ერს წარმოადგენდნენ, ისინი იშვიათად ომიბდნენ ომისათვის; მათი პოლიტიკის ნიშანდობლივი თვისება-სიფრთხილე იყო, მათი სამხედრო მომზადების უმთავრესი მიზანი ახალ ქვეყნების შექენა როდი იყო; არა, მათ შინაც ბევრი საქმე ჰქონდათ: პერიეკები და ჰილოტები, რომელთა რიცხვი ბევრით აღემატებოდა სპარტან ელების რიცხვს, ყოველ წამს მზად იყვნენ თავიდან მოეშორებინათ. სპარტან ელების ბატონობის მძიმე უდელი. თვით სპარტან ელები არა-სოდეს არ ყოფილან რიცხვ-მრავალი; ლიკურგოსის დროს მა-თი რიცხვი 9000-ს არ აღემატებოდა; ამ რიცხვს შემდეგში აკლებებოდა, თორემ არ ემატებოდა. ამ დაკლების მიზეზები იყო ომები, ცოლის შერთვის შესახები კანონი; რომლის ძალით სპარტიატის უთუოდ სარტიატის ქალი უნდა შეერთო, უცხოელების მოქალაქედ არ მიღება და სხვა და სხვა შემთხვე-ვის გამო სპარტიატის უფლების აყრა. უფლებებს ჰკარგავდა არა თუ დანაშაულობისათვის დასჯილი სპარტიატი, არამედ ისიც, ვინც ოშში სიმხდალეს გამოიჩენდა ან მტერსს ტყვედ ჩაუგარდებოდა, ვინც უცოლო დარჩებოდა, ვინც არსებულ წესების. მიხედვით არ იყო აღზრდილი ან არ შეეძლო თავი-სი წილი სანოვაგე მიეტანა საერთო ნადიმისათვის. პლატეის ბრძოლის დროს 5000 ათასი სპარტიატი იყო; 120 სპარტი-ატის დაკარგვა პელოპონეზის. ომიანობის დროს ერის საში-ნელ უპედურებად იქმნა ჩათვლილი; აგის მე-IV-ეს დროს მხოლოდ 760 სპარტიატილა დარჩა. სპარტა დაეცა იმიტომ კი არა, რომ ხალხი არ ჰყავდა, არამედ იმიტომ რომ მოქა-ლაქენი აღარ იყვნენ.

18. ცვლილებანი, რომელიც განიცადა დიკურგოს მი-ერ შემთღებულმა სოწიალურმა წესწეობილობამ. დრომ ბევ-რი სხვა ცვლილებაც მოახდინა ლიკურგოსის ცონსტიტუცია-ში. ლიკურგოსმა თანასწორ ნაჭრებად გაჲყო ლაკონიის ტერ-იტორია, მაგრამ ამასთანავე აუკრძალა სპარტიატებს მუშაობა. სპარტიატებს არ ჰყოფნიდათ სხვისგან დამუშავებულ მიწის

შემოსავალი. ამიტომაც ისინი იძულებული შეიქნენ ვალი აე-
ლოთ და მიწები დაეგირავებინათ; პელოპონეზის ომიანობის
შემდეგ მიწა, რომელიც მანამდე მუდა ერთის ხელში უნდა
დარჩენილიყო, ამოძრავდა: დავალიანებულ სპარტიატს ნება
მიეცა უანდერძოს თავისი მიწა მოვალეს; რამდენიმე ხნის გან-
ივლობაში მთელი ტერიტორია დიდ მესაკუთრეების ხელში
გადავიდა. ლიკურგოსმა ნება მისცა ქალებს მოელოთ მზითევი
მოძრავ ქონებით და ჰქონოდათ ფულები; ამას შედეგად ის
მოჰყვა, რომ სპარტანელი ქალი, ისედაც თავისუფლად აღზრდი-
ლი, შეიქნა საერო ქონების პატრონი; სპარტის ამაყი მეომ-
რები, რომელთაც მთელი საბერძნეთი ემორჩილებოდა, სა-
ხლში თავიანთ ცოლების მორჩილი იყვნენ.

ოქროსა და ვერცხლის ფულის აკრძალვით ლიკურგოსს
უნდოდა სპარტის ფუფუნებისა და სიმღიდრისაგან დაფარვა; მა-
გრამ ძალით ადამიანის ბუნების გადაკეთება შეუძლებელია და
ის, რისაც ლიკურგოსს ეშინოდა, თან და თან შემოიპარა სპარ-
ტაში. ძველ დროის ფანატიკური მიმდევრები მწარედ ჩიოდ-
ნენ და ყვიროდნენ, ქვეყანა იღუპებათ. მეფე აგის მე II-ემ,
რომლის წინაშე მის თანა მედროვეებს ძველ ჩვეულებების
მიტოვებას უსაყვედურებდნენ, სამართლიანად შენიშნა: „რო-
ცა მე პატარა ვიყავ, მამაჩემიც ამას მეუბნებოდა და რო-
ცა მამა იყო პატარა, მასაც იმპსვე ეუბნებოდენ“.

19. სპარტეს წვლილი გაცობითობის ისტორიაში: სპა-
რტა იყო მხოლოდ სამხედრო სახელმწიფო. მას არ უანდერძებია
კაცობრიობისათვის არც მგოსნები, არც არტისტები, არც ფილო-
სოფოსები და არც მეცნიერები. სპარტას ცივილიზაციას არა
შეუქმნია რა. თუ ერი მარტო გონების ნაწარმოების მიხედვით
დაიფასება, მაშინ სპარტას არა გაუკეთებიარა და კაცობრიო-
ბის ისტორიაში არა შეუტანია რა. მაგრამ ერი ფასობს არა
მარტო ხელოვნებითა და მეცნიერებით, დასაფასებელია. აგრე-
თვე მისი ზნეობრივი ხასიათი და ლირსებანი. მეტად სასტიკი
და არა ადამიანურია ის ძალ-დატანება, რომელსაც სპარტანე-
ლი იტანდა თავის თემისაგან, მაგრამ სპარტიატის ჭაფის-თავის

უარყოფაში, თემისათვის მუდმივ თავგანწირვაში, მის ვიწრო
მაგრამ ამაყ მამულის სიყვარულში იმდენი ძალა და სიღიაღეა,
რომ ლირსია მისი სახელი დარჩეს კაკობრიობის მახსოვრობა-
ში. მათი გამარჯვებანი სამხედრო ველზე დავიწყებულია, მა-
გრამ მამულიშვილობის მაგალითი, რომელიც სპარტანელებმა
უჩვენეს კაცობრიობას, დაუკიწყარია, მიუხედავად გავლილ
ოცის საუკუნისა.

თავი მე-IX-ე.

სპარტას ომები პელოპონეზში.

სარჩევი 1. სპარტანელების პირველი ომიანობა; მესენიაში შესევა.
2. მესენიელების დამარცხება; ითომეს მთაზედ შეფარება. არისტო-
დემოსის მოლვაწეობა და სიკვდილი. 3. მესენიელების აჯანყება-
არისტომენესის მოლვაწეობა. 4. სპარტანელები ისევ იმარჯვებენ;
ტირტეოსის სამხედრო სიმღერები; მესენის საბოლოო დაპყრობა;
5. არკადის ნაწილის დაპყრობა. 6. დანარჩენ პელოპონეზის და-
მორჩილება.

1. სპარტანელების პირველი ომიანობა; მესენიაში შე-
სევა. სპარტა შესანიშნავად იყო მომზადებული ბრძოლისათ-
ვის; სპარტანელ ახალგაზიდობას ომი სწყუროდა და მეზობ-
ლებმა მალე იგრძნეს სპარტანელების უპირატესობა სამხედრო-
საქმეში. პირველად საქმე დასავლეთით დაიწყო., ახალგაზიდ-
ლაკონელები, ნადირობის ღროს, ხშირად გადადიოდნენ
ტაიგეტის თოვლით მოსილ ქედზედ და შურის თვალით უცქე-
როდნენ მდინარე პამიზოსის მდიდარ ჭალის ვენახებს და ზეთის
ხილის ბალებს. აქელების ბატონობის ღროს, ეს ყვეყანა,
ლაკოდემონს ეკუთვნოდა; სიმდიდრეში ჩაფლული მისი მცხოვ-
რებნი მეტად დამძიმებული სჩანდნენ და შორიდან მაყურე-
ბელს ადვილად ეგონებოდა, რომ ისინი მტერს წინააღმდეგო-
ბას ვერ გაუწევდნენ. განა მეტი მიზეზი იყო საჭირო, რომ
სპარტანელებს მესენიის დაპყრობა გადაეწყვიტათ?

ომიანობა დაიწყო ჩხუბით, რომელიც საზღვარზე მდებარე არტემიდის ტაძარში მოხდა. რამდენიმე სულ ახალგაზდა სპარტანელი ქალურად გამოეწყო და ისე მიეიღა ტაძარში. მათმა გრძელმა ტანისამოსმა, გვირგვინებმა, რომელიც სახეს ფარავდა, და მორცხვობით თავის დაჭრამ ყველა მოატყუვილა; მაგრამ უცებ სპარტანელებმა იშიშვლეს დამალული ხანჯლები და იქ მყოფ მესენიელებს ეცნენ. მიუხედავად ამ ხრიკისა და მოულოდნელ დატაკებისა, სპარტანელები იძულებული შეიქნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ახალი შეტაკება მოხდა; მიზეზი იყო ხარები, რომელნიც ერთ ლაკონიელს მოეპარა მესენიაში. სპარტანელები საიდუმლოდ მოემზადნენ ომისათვის და ერთ მშვენიერ ლამეს, ომის გამოუტხადებლად, დაეცნენ მესენის ქალაქ ამფეიის; ამითი იწყობა მესენის ომიანობა; ეს უნდა მომხდარიყოს 743 წელს ქრისტეს დაბადებამდე.

2. მესენიელების დამარცხება; ითომეს მთავარ შეფარდება; არისკოდემოსის მოდგაწეობა და სიკვდილი. ამ შემოსევით იწყება ის ეპიური ბრძოლა, რომლის ხმას, რასაკვირველია გაზვიადებულსა და განდიდებულს, ჩვენამდე მოუღწევია. მესენიელებმა იარაღს ხელი მოჰკიდეს, მაგრამ, რაღგანაც ყველგან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ შემოსეულებს, იმათ მოუყარეს თავი თავიანთ ძალებს კლდოვან ითომეზედ, რომლის კალთები სრულიად, ბატონობდნენ მიღამოებს. ამასთანავე ისინი შეეკითხენ დელფის მისანს; როცა მისანის პასუხი მოვიდა, გოდება და ტირილი გაისმა მთელ მესენიაში; ფეხი აპოლონი ადამიანის მსხვერპლს თხოულობდა. აი ეს პასუხიც: „მიწის ქვეშეთის ღმერთებს ბნელ ლამეში უნდა დაუკლათ ახალგაზდა ქალწული, ამორჩეული წილის ყრით ეპიტოსის. გვარიდან; თუ ამ გვარში ვერ მოინახოს, სხვა გმირმა წარმოადგინოს ნებით თავისი ქალი და მისი დაღვრილი სისხლი. ბოლოს მოულებს თქვნს უბედურებას“. ბევრი იტირეს, მაგრამ ბოლოს მაინც ბედს დამორჩილდნენ. წილი ხვდა ლიცისკოსის, მესენიელ დიდებულის, ქალს, მაგრამ მა-

କବିତାରେ

წელიწადი შეცხრვა

გამოდის ურველ თვე

ფასი უკნალ „მომდევა“ ბაბზაგნით:

საზღვარ-გარედ:	სალეთობა	სალეთობა	
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით	13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსის თვით	7 მან.
სამი თვით	4 მან.	სამი თვით	5 მან..

8066 „მიუაგვე“ მთელის ფლით გამოიცერს, „ცნობის ფურცელი“ სურათიდან დამატება უფასოდ დაკმოდა.

ଭ୍ରାତାଙ୍କ ପ୍ରକାଶନକୁ ଦେଖିଲୁଗାରେ ମୁହଁମାନ ପାଇଁ ଏହାର ଅଧିକାରୀ ପାଇଁ ପରିଚୟ ଦିଲୁଗାରେ ଥିଲା ।

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, კურნალი მოამბის⁴ ოედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანჭის ღიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერლა დღესის გამოცვლისათვის ერთი პანე უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: **Тифлесъ, Редакция „Моамбе“.**

კურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს რედაქტირა შეასწორებს და შეამკლებს: ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა ორდაქციაზი უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,— მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასტეკლად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უწინა იყო. უკვე ა-
ლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახე
ურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გა-
მოუფზავნოს რედაკტიას.

პირასპირ მოლაპარაკება ჩედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-
უქმებს. გარდა, შუადღიდან ნაშუადლევის ორ საათამდინ.

რედაქტია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მომწერთ, რომელთაც კ ურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქტიას წარმო უგზავნონ აგრძელვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღება ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიულია. წინააღმდეგ შემ-თხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

၁၂၁

ქართული პერსონა

გამომცემელი

ଲୋକିର୍ଦ୍ଦରେ ଖାଦ୍ୟବିନାନ୍ତରେ